ვის მიწას ჩუქნის დე-ფაქტო კოკოითი რუსებს?! A2

ერთად ვეძებოთ გამოსავალი A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 12 ივლისი, 2004 წელი. №163 (712)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### კოკოითის ბოდვა ეუთო-საც გადასწვდა



ედუარდ კოკოითის განცხადებები საქართველოს უშიშროების მინისტრს ვანო მერაბიშვილს სასაცილოდ არ ჰყოფნის და იგი თვითმარქვია პრეზიდენტის ნათქვამს აგონიაში მყოფის ბოდვად მიიჩნევს.

A3

## ეკონომიკა

### თურქული კრედიტის გასტუმრება სასამართლოზეა დამოკიდებული

ფინანსთა სამინისტრო სკანდალურად ცნობილი თურქული კრედიტის მევალე სუბიექტებიდან აქტიურ ამოღებას იწყებს.

A4

## უცხოეთი

### სერბეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



ტადიჩის სტრატეგიული ამოცანა სერბეთის ევროკავშირში ინტეგრაციაა.

A5

## საზოგადოება

### მდელის ორი მხარე



ყოველ ზაფხულს ყვარლის წინაშე ერთი და იგივე პრობლემა დგას – ღვარცოფით წალეკვის საშიშროება.

A6

## სამართალი

### ვინ არის სისასტიკით ცნობილი ოსი ბოევიკი, რომლის გადაცემასაც კოკოითი ითხოვს

A7

## ამინდი

| | 12/7 | 13/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 33 |
| ქუთაისი | 34 | 37 |
| ბათუმი | 34 | 38 |
| სოხუმი | 32 | 34 |
| ფოთი | 33 | 37 |
| თელავი | 28 | 32 |
| ზუგდიდი | 34 | 37 |
| გორი | 28 | 32 |
| ახმეტა | 28 | 32 |
| ჭიათურა | 32 | 36 |
| გაგრა | 30 | 33 |
| სამტრედია | 34 | 37 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9251 |
| ევრო | 2.3829 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5634 |
| რუბლი | 0.0661 |

# „ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია"

### საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა ოსურ მოსახლეობასთან



*"მათთვის, ვინც სომხებს ვერ იტანს, სომეხი ვიქნები, ვინც ოსებს ვერ იტანს - ოსი, ვინც აზერბაიჯანელებს - აზერბაიჯანელი," - პრეზიდენტის ამ სიტყვებმა ოვაცია დაიმსახურა.*

იური ლობოდინის ფოტო

ლელა მჭედლიძე

"ნაღდი პრეზიდენტი, ჩვენი პრეზიდენტი!"- ასე ემშვიდობებოდა აქციის დასასრულს მიხეილ სააკაშვილს გუშინ კანცელარიასთან შეკრებილი ხალხი. ოსური წარმოშობის მოსახლეობა, რომელიც "სამხრეთ ოსეთში" მშვიდობის მოთხოვნით, დედაქალაქში გორიდან, რუსთავიდან, კასპიდან, ბაკურიანიდან - სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდა.

სახელმწიფო კანცელარიასთან მისული ხალხი რუსეთის მაღალჩინოსნებს ედუარდ კოკოითის მოსკოვში წაყვანას სთხოვდა და ოსი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე ქართულ-ოსურად საუბრობდა. საქართველოს პრეზიდენტიც აქციის მონაწილეებს ოსურად მიესალმა.

**"საქართველოს მთავრობას ომი რომ სდომებოდა, ამაზე მეტი მიზეზი რა უნდა ჰქონოდა, როგორიც გატაცებული და დაჭრილი ხალხია. ყველაფერს ვაკეთებთ, ბევრ რამეს ვყლაპავთ, რათა ომი არ დაიწყოს. მერწმუნეთ, ერთ წელიწადში ცხინვალი და ჯავა ჩვეულებრივად მოახდენს ინტეგრაციას საქართველოში.**

**კონტრაბანდის გზა გადაკეტილია. შემოსავლის სხვა წყარო იქ არ არსებობს. მინდა დავეხმარო ამ ხალხს, მაგრამ ისიც იციდნენ, რომ იმ ნაყარ-ნუყარ ხალხს, "ბომჟებს", რომლებსაც სისხლის დაღვრა სურთ, გვირაბს იქით გავყრით, რადგან მათ აქ არაფერი ესაქმებათ. ეს ჩვენი სამშობლოა.**

**ქართული სახელმწიფო ჩვეულებრივი რეჟიმით ცხოვრობს, არც რაიმეს ინიცირების სურვილი გვაქვს და არც შეტევაზე გადასვლის. მინდა, ეს თქვენს ახლობლებსაც განუმარტოთ. ამ დღეებში სულ ვხვდებოდი ოს ხალხს,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოპერაცია - "იმედის ჩაშხამება"

ნიკა იმნაიშვილი

მოგვწონს თუ არა, ეს ეპიზოდი სამუდამოდ აღიბეჭდა საქართველოს მრავლისმნახველ ისტორიაში: მთელი რუსეთისა და მსოფლიოს დასანახად, ათეულობით ქართველი ჯარისკაცი, ცხვრის ფარასავით გამორეკეს ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე და იქვე, სამარცხვინოდ დააჩოქეს ტელეკამერებისა და დამცინავი ზიზღით ტუჩათამაშებული მოსკოველი ჟურნალისტი გოგონების თვალწინ.

საოცრად სიმბოლური სურათია, რომელიც უზუსტესად გამოხატავს იმას, თუ როგორ ცდილობს რუსეთი საქართველოს დაჩოქებას მოკავშირე სეპარატისტების მეშვეობით. პოლიტიკა ხომ საკუთარი ინტერესების სხვისი ხელით განხორციელების ხელოვნებაცაა!

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ოპერაცია, რაც სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა სოფელ ვანათში განახორციელა, დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და განზრახული შედეგიც მთლიანად გამოიღო: მისმა ავტორებმა ბრწყინვალედ გაითვალისწინეს ქართული ფსიქოლოგია, ქართული მენტალიტეტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვარიაციები იმპერიულ თემაზე

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობამ, რეაქციული დეპუტატების მსგავსად, ნიღაბი ჩამოიხსნა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ "დებატებით", ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო სეპარატიზმს.

ორი ოსეთის ცნებისა და ოდესღაც (1774 წ.) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ერთიანი ოსი ხალხის კვლავ იმპერიაში მიბრუნების რეაქციულ მოთხოვნას, რუსეთის სპიკერატმა "ისტორიულად მიზანშეწონილი და იურიდიულად კორექტული ფორმულირება" უწოდა. ქალბატონი ვიცე-სპიკერის ლიუბოვ სლისკას ამ განცხადებამ პრაქტიკულად განსაზღვრა რუსეთის პარლამენტის მიერ სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით მიღებული პოლიტიკური განცხადების შინაარსი. დუმამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო ეს განცხადება და დოკუმენტი ისევ სამართლებრივ საკითხთა კომიტეტში მიაბრუნა საბოლოო სახის მისაცემად.

ამის შემდეგ დეპუტატები ბანკეტზე გაიქცნენ, სადაც საზეიმო

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 განხილვა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

# ცხინვალის რეგიონის წარჩინებული მოსწავლეები გრანტით დააჯილდოვეს



ვახო ხარაზიას ფოტო

განათლების მინისტრი წარჩინებულ მოსწავლეს ჯილდოს გადასცემს.

შაბათს, 10 ივლისს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში განათლების მინისტრ კახა ლომაიასთან, თბილისის მერ ზურაბ ჭიაბერაშვილთან და ქართველ მწერლებთან ერთად ოსი და ქართველი ეროვნების სკოლის მოსწავლეები ჯერ საქართველოს ჰიმნს ისმენდნენ, შემდეგ კი აჭარულსა და "ხინდს". საზეიმო ცერემონია მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა, რათა ცხინვალის რეგიონის წარჩინებული მოსწავლეები 100-100 ლარის ოდენობის გრანტით დაეჯილდოებინათ. **"თქვენ ხართ ის თაობა, ვინც უნდა შეცვალოს ეს ქვეყანა; უნდა შეცვალოს ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის"**, - ასე მიმართა თბილისის მერმა ცხინვალის რეგიონის მოსწავლეებს. დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა კი ბავშვებს უთხრა, რომ **"სადაც კარგი სწავლა, კარგი განათლება იქნება, იქ არანაირი კონფლიქტი არ იარსებებს, რადგან განათლებულ ადამიანებს ბევრი რამის გააზრება შეუძლიათ"**. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ თქვა, სამინისტრომ არც კი განიხილა კითხვა, თუ რომელი რეგიონიდან უნდა დაეწყოთ წარჩინებული მოსწავლეების წახალისების პროგრამა. ხსენებული პროგრამა ცოტა ხანში მთელ საქართველოს უნდა მოიცვას. კახა ლომაიამ მოსწავლეებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **"ჩემო მეგობარო ბავშვებო, ჩვენ ყველანი ძალიან ვხარობთ, რომ ამ მძიმე დღეებში ეს ზეიმი მაინც შედგა. მინდა, მადლობა გითხრათ, რომ ის დაშინებისა და მუქარის წლები ჩვენზე ნაკლებმა მაინც ერთად და ამაყად გამოიარა. მე მჯერა, რომ მალე დადგება დრო, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ცხინვალში შევა და იმ მშვიდობიან და ღია ომში დაღუპული ოსი მეომრების მშობლებს ისეთივე გულწრფელად, როგორც ქართულ ოჯახებს უსამძიმრებს. საქართველოს მომავალი დღეს თქვენს რეგიონში წყდება"**.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ოს და ქართველ ბავშვებს რესტორანმა "მაკდონალდსმა" უმასპინძლა.

*24 საათი*

# კონფლიქტის ზონაში

ცხინვალთან ახლოს მდებარე ქართულ სოფელ თამარაშენში ოსური ბანდფორმირების წევრებმა 10 ივლისს, გვიან ღამით, ცეცხლი გახსნეს. სროლები ყუმბარმტყორცნიდან და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, დაახლოებით, 20 წუთი გრძელდებოდა. დაცხრილულია სოფლის ქართული საშუალო სკოლის შენობა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომელთა ინფორმაციით, დაჭრილები ან დაღუპულები არ არიან.

■ ■ ■

ცხინვალში ჩავიდა რუსეთის ფედერაციის საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი. მასთან ერთად იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გოგა ხაინდრავა. ისინი შეხვდნენ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებთანაც კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების გარდა, ოსური მხარის მიერ დაპატიმრებული სამი ქართველი პოლიციელის - სურმავას, კობალაძისა და დურგლიშვილის გათავისუფლების საკითხიც განიხილეს.

■ ■ ■

პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვში მუშაობას შეუდგა საგანგებო საკოორდინაციო შტაბი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს. შტაბის შემადგენლობაში შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი, ქართული სამშვიდობო ძალებისა და რეგიონის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები შედიან. მისი მიზანია კონფლიქტის ზონაში ვითარების განმუხტვა და ქართული მხარის კოორდინირებული მოქმედება. პრეზიდენტის განცხადებით, პირველი შედეგები უკვე სახეზეა, რაც კონფლიქტის ზონაში ვითარების შედარებით სტაბილურობაში გამოხატება.

"ოქრუაშვილის ერედვში ჩასვლამ დადებითი შედეგები უკვე გამოიღო. იგი კონფლიქტის ზონაში დარჩება მანამ, ვიდრე ვითარება ბოლომდე არ განიმუხტება", - აცხადებს პრეზიდენტი სააკაშვილი.

■ ■ ■

ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე თეიმურაზ მამსუროვი ცხინვალს დეპუტატთა ჯგუფთან ერთად ეწვია. მამსუროვის განცხადებით, ვლადიკავკაზიდან ცხინვალში იგი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მორალური მხარდაჭერისათვის ჩავიდა. თეიმურაზ მამსუროვი, თვითმარქვია პრეზიდენტი კოკოითი და ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ზნაურ გასიევი ცხინვალის ცენტრში ხალხს სიმხნევისკენ მოუწოდებდნენ.

■ ■ ■

პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა პრეზიდენტის საჩუქრის - ჰუმანიტარული ტვირთის სოფელ ავნევში ჩატანა და განაწილება წარმატებით მოახერხა. სააკაშვილის საჩუქარი როგორც ქართველმა, ასევე ავნევში მცხოვრებმა ოსი ეროვნების მოქალაქეებმაც მიიღეს. თუმცა, საჩუქრის გადატანის დროს, ფრონეს ხეობაში ინციდენტი მოხდა: კოლონას ოსი შეიარაღებულები დაესხნენ თავს და ერთი მანქანა წაართვეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაპირისპირებაში სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და ადგილობრივი პოლიცია ჩაერთო, ფქვილით დატვირთული "კამაზი" დააბრუნეს.

სოფელ ავნევში ინციდენტის შემდეგ რამდენიმე წუთში გამოჩენილმა რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილემ ვალერი ევნევიჩმა კომენტარი ამ ინციდენტთან დაკავშირებით გააკეთა.

მისი განცხადებით, სოფელ ავნევში, ფრონეს ხეობაში მხოლოდ იმიტომ ჩავიდა, რომ კარგი ამინდი იყო და სოფელი უნდა დაეთვალიერებინა. რაც შეეხება ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ სვიატოსლავ ნაბძოროვს, იგი საკმაოდ აღელვებული იყო და ამ ინციდენტის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქართული კორტეჟი ტყვიავის საგუშაგოზე ცხინვალის გავლით დაბრუნებულიყო. ნაბძოროვის უსაფრთხოების გარანტია ამჯერად მყარი აღმოჩნდა და შიდა ქართლის გუბერნატორმა, ჟურნალისტებთან ერთად, ცხინვალის გავლით, ქართული მხარის კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნება შეძლო.

■ ■ ■

ცხინვალში, ცენტრალურ მოედანზე გაიმართა აქცია, რომელშიც 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აქციის მონაწილეებმა დაგმეს ოსი ეროვნების მოქალაქეთა ქმედება, რომლებმაც სოფელ ტყვიავში საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი აქცია გამართეს. "თქვენ გაქართველებული ოსები ხართ. ჩვენ კი საკუთარი ენის შენარჩუნება შევძელით. ახლა დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა გვინდა. ჩვენი ბრალი არ არის, თუ თქვენ ამაში მონაწილეობის მიღება არ შეგიძლიათ. ყველა თავის არჩევანს აკეთებს", - აცხადებდნენ მიტინგის ორგანიზატორები.

მომიტინგეებს სიტყვით მიმართა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა: "მე ვამაყობ, რომ ოსი ხალხის შვილი და რუსეთის მოქალაქე ვარ. ჩვენ არასდროს დაგვიმალავს, რომ ჩვენი მიზანი საქართველოსგან დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა". მან მადლობა გადაუხადა საკუთარ სამართალდამცველებს, რომლებმაც, ფაქტობრივად, "ერთი ტყვიის გასროლის გარეშე ქართველი პოლიციელები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს".

ცხინვალის დე-ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ ჯავის რაიონში თავი მოიყარეს დიდი რაოდენობით მოხალისეებმა, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, "დაიწყებენ ბრძოლას სამხრეთ ოსეთის გათავისუფლებისთვის". მისივე თქმით, მოხალისეებს შორის ჩრდილოეთ ოსეთის, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები არიან.

■ ■ ■

საქართველოს უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, ზნაურის რაიონის მილიციის უფროსმა თემალ კოზაევმა ზნაურის რაიონის ახლომდებარე სოფლების 40 წლამდე ასაკის მამაკაცები დაიბარა. განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი იყო იმ პირებზე, რომლებიც 1991-1992 წლებში იარაღით ხელში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

სამინისტროს ინფორმაციით, სულ გამოძახებული იყო 60 ადამიანი. მათ კატეგორიული უარი განუცხადეს თემალ კოზაევს იარაღის აღებასა და საბრძოლო ქმედებებში მონაწილეობაზე და დასძინეს, რომ 1991-1992 წლებში ისინი ქართველების წინააღმდეგ ჩართულები იყვნენ ავანტიურაში, რომლის შედეგადაც ორივე მხარე დამარცხებული გამოვიდა. დაპირისპირებას კი მოჰყვა უაზრო მსხვერპლი და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გაღატაკება, რაც დღემდე გრძელდება.

■ ■ ■

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ლევ მირონოვისა და ედუარდ კოკოითის ცხინვალში გამართული შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ სეპარატისტული მთავრობა ოსების მიერ დაკავებულ სამ ქართველ პოლიციელს გაათავისუფლებს.

*მოამზადა გიორგი ასანიშვილმა*

# საქართველოს ოსი ეროვნების მოქალაქეთა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი

ჩვენ, საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების მოქალაქენი, აღშფოთებას გამოვთქვამთ ედუარდ კოკოითისა და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის პროვოკაციულ მოქმედებებთან დაკავშირებით. ჩვენ ვთხოვთ ჩვენს პრეზიდენტს, ქართველებისა და ოსების პრეზიდენტს, ჩვენს მთავრობას, არ აჰყვეს რუსეთის რეაქციული ძალების ხელში დანაშაულის იარაღად ქცეულ კოკოითს, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიზანმიმართულად ცდილობს ჩაითრიოს ქართველი და ოსი მოქალაქეები ახალ, სისხლისმღვრელ ომში.

ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს ხელისუფლებას, პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით, რომელიც მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით იბრძვის ქართველი და ოსი ხალხების საუკუნოვანი ძმობისა და ნათესაობის აღსადგენად, ჩვენი სამშობლოს, საქართველოს ასაყვავებლად.

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენს ზრუნვასა და მხარდაჭერას უკვალოდ არ ჩაუვლია, მოსახლეობა ნდობისა და იმედის თვალით უყურებს თქვენს ხელისუფლებას. ჩვენ თქვენი სიბრძნისა და მოთმინების იმედი გვაქვს.

გთხოვთ, არ დაუშვათ ოს და ქართველ ხალხებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირება. ჩვენ, საქართველოს ოს მოქალაქეებს არ გვინდა სისხლისღვრა. ჩვენ მკაფიოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ ვემიჯნებით იმპერიალისტური და არადემოკრატიული ძალების მიერ მართულთა დანაშაულებრივ სურვილს – კვლავ ჩაითრიოს ქართველები და ოსები უგუნურ, უაზრო დაპირისპირებასა და სისხლისღვრაში. ჩვენ საქართველოში მცხოვრები ოსები, ვადასტურებთ, რომ ქართველებთან არაფერი გვაქვს გასაყოფი და ჩვენ საკუთარ ნათელ და ღირსეულ მომავალს ვხედავთ მხოლოდ ჩვენს თანამოქალაქეებთან, ქართველებთან მშვიდობიან თანაცხოვრებაში. მოვუწოდებთ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ჩვენს დებს და ძმებს, არ აჰყვნენ პროვოკაციას, გამოიჩინონ მათთვის დამახასიათებელი სიბრძნე და, ქართველებთან ერთად, ყველაფერი გააკეთონ მშვიდობისა და დემოკრატიის შენარჩუნებისათვის, ჩვენი საერთო სამშობლოს, საქართველოს მთლიანობისათვის.

*რუსუდან კუზიცოვა - ფილოლოგი, მზია ხეთაგური – პოეტი, ქეთი ხეტეშვილი - ფილოლოგი, მარინა გაგიევა – დიპლომატი, თენგიზ გაბოითი – ეკონომისტი, მზია ხეტეშვილი – პედაგოგი, იზო ტიგიევა - ფილოლოგი, მაია ხუბულური – პედაგოგი, დალი სანაშვილი – მედიცინის მუშაკი, ფატი ფიტარაშვილი – პედაგოგი, ნუნუ თოგოშვილი – დიასახლისი, ლია კუსრაევა – მუსიკათმცოდნე.*

*სულ 89 ხელმოწერა.*

# საქართველოს რერიხის საზოგადოების ღია წერილი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან, და შესაბამისად, რუსეთის ფედერაციასთან მიერთების აუცილებლობის შესახებ, იმის საფუძველზე, რომ სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში ერთი ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ, უდიდეს აღშფოთებასა და, ამავე დროს, უდიდეს გაკვირვებას იწვევს ( დუმის მიერ მეორე საფუძვლად სახელდება ის, რომ სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. ამ განცხადებით დუმა უბრალოდ კონსტატაციას უკეთებს იმ ფაქტს, რომ სუვერენული სახემწიფოს - საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეობა უკანონოდ აქვთ მინიჭებული, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას).

განვიხილოთ დუმის განცხადებაში მოყვანილი ერთ-ერთი საფუძველი – "ერთი ეთნოსის წარმომადგენლები". რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ირიცხება ავტონომიური რესპუბლიკა ყალმუხეთი. ამ რესპუბლიკის მკვიდრნი, წლების წინ, რელიგიური მოტივებით, მონღოლეთიდან გასახლებულ ადამიანთა შთამომავლები არიან, რომლთა წინაპრებმაც თავის დროზე რუსეთს სთხოვეს თავშესაფარი. შეგახსენებთ, რომ მადლიერმა ყალმუხებმა (მადლიერება კეთილშობილური გრძნობაა) არსებითი წვლილი შეიტანეს 1812 წელს რუსეთის მიერ ნაპოლეონის დამარცხებაში. ყალმუხები მონღოლურ ენაზე მეტყველებენ, უბრალოდ მათი ენა ოდნავ მოძველებულია, ისინი მე-17 საუკუნის მონღოლურით საუბრობენ. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მონღოლებს თავისუფლად შეუძლიათ ყალმუხებთან მშობლიურ ენაზე ურთიერთობა.

ასე რომ, თუ სახელმწიფო დუმის ლოგიკას მივყვებით, მონღოლეთმა თავისუფლად შეიძლება მოითხოვოს ყალმუხეთის მონღოლეთის შემადგენლობაში შეყვანა, იმ მარტივი მოტივით, რომ ყალმუხეთსა და მონღოლეთში ერთი ტომის ადამიანები ცხოვრობენ.

გავაგრძელოთ: რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არის ასევე ებრაული ავტონომიური ოლქი, რომლის სახელწოდებიდანვე ცხადი ხდება, თუ რომელი ეთნოსის წარმომადგენლებითაა იგი დაკომპლექტებული. ანუ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ლოგიკის თანახმად, ისრაელს შეუძლია მოითხოვოს ამ ოლქის ისრაელის შემადგენლობაში შეყვანა? ან იქნებ ორივე სახელმწიფოს – მონღოლეთსაც და ისრაელსაც აქვთ უფლება უვიზო სატრანსპორტო კორიდორი მოითხოვონ თავიანთ ანკლავებთან დასაკავშირებლად?

ამ საკითხებითაა დაკავებული დღეს ევროპულ ნაციონალურ უმცირესობათა ფედერალური კავშირი. ამ კავშირის პოზიციაა – ნაციონალურ უმცირესობათა კულტურული და ენობრივი ავტონომიების ხელშეწყობა და, ამავე დროს, სეპარატიზმზე და საზღვრების შეცვლაზე უარის თქმა. ასეთივეა ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის და გაერო-ს პოზიციებიც. ასე რომ, ქართულ-ოსური ურთიერთობების ცოცხალი, მაგრამ ნაიარევი ურთიერთობების "გაჯანსაღების" ალტერნატივა ბუნებაში არ არსებობს. რომელი ნორმალური ადამიანი დაასახელებს ომს, როგორც შესაძლო ალტერნატივას? ცხადია, ეს ურთიერთობები ერთიან ქართულ ორგანიზმში უნდა "გაჯანსაღდეს". "გაჯანსაღებისთვის" კი, ცხადია, საჭიროა პოზიტიური ინფორმაციების და პოზიტიური ემოციების გაცვლა-გამოცვლა. საამისოდ კი, თავის მხრივ, საჭიროა ხელოვნების ერთობლივი ფესტივალების (კლასიკური, საესტრადო, თეატრალური, სახალხო), ერთობლივი სამხატვრო გამოფენების, სამეცნიერო სემინარების ორგანიზება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შედგეს ფერმერთა შეხვედრები, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება სოფლის მეურნეობის თანამედროვე მოწყობასთან დაკავშირებით. მომუშავე, საქმიან ადამიანებს სალაპარაკო თემა არასოდეს დაელევათ, მოხდება გამოცდილების გაზიარება. სამხრეთ ოსეთის, როგორც კულტურული და ენობრივი, ასევე პოლიტიკური განვითარების ყველა წინაპირობა შექმნილია: ჩვენი პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთს არანაკლებ ავტონომიას ჰპირდება საქართველოს შემადგენლობაში, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთს აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

და ბოლოს აკადემიკოს რერიხის სიტყვებს გავიხსენებთ: "ჭეშმარიტად, მოკლეა დრო! არ დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი. და ავანთოთ გულში კოცონი და დაუყოვნებლივ განვახორციელოთ ჩვენს სინამდვილეში კულტურისა და მშვიდობის ნათელი საწყისები. მსოფლიოს დროშის ქვეშ, მძლავრი ერთიანი გულისცემით გავწიოთ წინ მაღალი ნათელისკენ."

ხოლო რუსეთის სახელმწიფო დუმას რუსულ ანდაზას შევახსენებთ: "შუშის სახლში მცხოვრები ქვებს არ ისვრის".

*საქართველოს რერიხის საზოგადოების აქტივის სახელით*
*საქართველოს რერიხის საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ თავაძე*

# ჰუმანიტარულ აქციებში იმერეთიც ჩაერთო



*ოსი ბავშვები დავით მუმლაძემ ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში მიიყვანა.*

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის და საჩხერის რაიონის გამგებლის ინიციატივით, საჩხერის მოსაზღვრე ოსური სოფლის მკვიდრი ბავშვები, ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" დასასვენებლად წაიყვანეს. მანამდე კი ოსი ბავშვები ქუთაისში ჩამოვიდნენ, სადაც ბაგრატის ტაძარი და ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი მოინახულეს. დასასვენებლად წაყვანილი ოცი ბავშვიდან, ყველაზე უფროსი 18 წლისაა, უმცროსი კი სამი წლის. ამიტომაც მას ზღვაზე გამგზავრება დედასთან ერთად მოუწია. **"ქუთაისში სტუმრად არიან ჩვენი სისხლი და ხორცი - ოსი ბავშვები. ისინი მხოლოდ გავლით არ არიან ქუთაისში, არამედ მათ მოინახულეს ბაგრატის ტაძარი, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი,"** - განაცხადა რწმუნებულმა დავით მუმლაძემ.

საჩხერის რაიონის გამგებლის ინფორმაციით, ოსი სეპარატისტები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ბავშვები დაეშინებინათ და ჩაქვში გამგზავრებისთვის ხელი შეეშალათ. მათ ხუთ ბავშვს დასვენებაზე უარი ათქმევინეს, თუმცა ბავშვებისა და მათი მშობლების უმეტესობამ არ დაუჯერა სეპარატისტების მუქარას, თითქოსდა ქართული მხარე მათ ჩასვლისთანავე დაატყვევებდა. **"საჩხერის რაიონის მიმდებარე ოსურ სოფლებში შეიარაღებული ადამიანები არ ჩანან, მაგრამ არსებული მდგომარეობის გამო მოსახლეობა შეშფოთებულია. სინაგურში მოქმედებს ჯავის პოლიციის განყოფლება და ერთ-ერთი რწმუნებული, გვარად გაგიევი, ძალიან აქტიურობდა, რომ ეს ბავშვები ჩვენთან არ წამოსულიყვნენ. მან მოახერხა 5 ბავშვის დაშინება. ჩვენც დათმობა ვამჯობინეთ და ვინც ოსური სოფლებიდან გადმოვიდა, ისინი წამოვიყვანეთ,"** - განაცხადა საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ.

პრეზიდენტის რწუნებული დავით მუმლაძე კი, უახლოეს ხანში, სოფელ სინაგურში მცხოვრებ ოს პენსიონერებს კურორტ საირმეში დაასვენებს.

*ბექა სისაური*
*ქუთაისიდან*

# დაპატიმრებული გამომძიებლების ახლობლებმა პატრიარქს მიმართეს

*გუშინ ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს დაკავებული გამომძიებლებისა და მათი ხელმძღვანელის ახლობლები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდნენ.*

როგორც ცნობილია, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აქტიური როლი ითამაშა იმ ბათუმელი სტუდენტების ბედის გადაწყვეტაში, რომელთათვისაც ქალაქიდან გასვლის ნებართვის მიცემის გამო, გამომძიებლები და მათი ხელმძღვანელი დააკავეს. სწორედ ილია მეორეს დაუკავშირდა აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე, იგი კი, თავის მხრივ, სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას, რომ იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დაკავებული მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძის დაპატიმრების საქმეში ჩარეულიყვნენ.

გუშინ კი კათოლიკოს-პატრიარქმა ვაკე-საბურთალოს პოლიციის საგამოძიებო სამსახურის მიერ დაპატიმრებული უფროსის ზაზა მესხის დედა და ერთ-ერთი გამომძიებლის, გიორგი ძიძიგურის მამიდა შეხვდნენ. მათ პატრიარქს სამართლიანობის მიღწევაში დახმარება სთხოვეს.

როგორც ჟურნალისტებს გამომძიებელ გიორგი ძიძიგურის მამიდამ ნანა ძიძიგურმა განუცხადა, სამივე გამომძიებელი უკანონოდაა დაკავებული, რაც ყველამ კარგად იცის, ამიტომ სიმართლის მხარდასაჭერად პატრიარქს თხოვნით მიმართეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი ირაკლი ანდრიაძე აცხადებს, რომ საკითხის სამართლებრივი განხილვა საპატრიარქოს პრეროგატივა არ არის, თუმცა ისინი, მისი მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებენ და სათანადო პირებს შუამდგომლობით მიმართავენ.

გარდა ამისა, დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები მიმართავენ პრეზიდენტსა და გენპროკურორს, რათა გამოძიება ობიექტურად წარიმართოს.

ამავე დროს, მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძის ადვოკატმა მათთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. ადვოკატ ქეთი ბექაურის თქმით, ახალგაზრდების მიმართ შეფარდებული პატიმრობის ღონისძიება უნდა გაუქმდეს, რადგან ისინი თავიდანვე უკანონოდ იყვნენ დაკავებულები. საოლქო სასამართლოში პროცესი, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება. ჩახვაძე და მიქელაძე დღემდე ძებნილებად ითვლებიან. ისინი ამჟამად ბათუმში იმყოფებიან.

საოლქო სასამართლოში, აგრეთვე, გასაჩივრებულია იმ გამომძიებელთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ვაკე-საბურთალოს რაიონის სამ გამომძიებელს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ. გამომძიებლების ერთ-ერთი ადვოკატის ზურაბ ტაბიძის თქმით, პროცესი, სავარაუდოდ, 15 მარტს გაიმართება. მისივე თქმით, გამომძიებელთა მოქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ არსებობს და მათთვის ჯარიმის გადახდის დაკისრებაც კი არ იყო მართებული.

*24 საათი*

# შალიკიანი იმუნიტეტის მოხსნას აპროტესტებს

ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატ ბონდო შალიკიანისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის სანქცია, რომელიც თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ 7 მარტს გასცა, ადვოკატებმა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. შალიკიანს ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვა, რაც ჯარიმით ან 3 წლამდე პატიმრობით ისჯება. ბონდო შალიკიანმა გამოძიებას ჩვენება არ მისცა. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ აპროტესტებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას მისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. ბონდო შალიკიანის დაპატიმრებას მისი ოჯახის წევრები - დედა და მეუღლე სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობით აპროტესტებენ და ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრას ითხოვენ.

*მედია-ნიუსი*

# შევარდნაძე პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკას მხარს უჭერს

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მხარს უჭერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეულ კურსს, რომელიც სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში კრიზისული სიტუაციის დარეგულირებაზეა გამიზნული.

შევარდნაძე იმედს გამოთქვამს, რომ "ჯანსაღი აზროვნება დაამარცხებს უგუნურებას" და ამ კურსს გაიზიარებენ როგორც ქართველები, ისე ოსები, რუსული სამშვიდობო ჯარები კი ქართველებისა და ოსების შერიგებაში დადებით როლს შეასრულებენ.

შევარდნაძე აცხადებს, რომ "ახლა უკვე მიღწეულს ვკარგავთ", თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი პრეზიდენტ სააკაშვილის კურსს მხარს უჭერს.

*მედია-ნიუსი*

# ვის მიწას ჩუქნის დე-ფაქტო კოკოითი რუსებს?!

გუშინ თვითმარქვია პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ცხინვალის ცენტრში მიტინგზე გამოსვლისას დაიფიცა: ისტორიულ სამართლიანობას აღვადგენ და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას რუსეთის შემადგენლობაში შევიყვანო.

ვის მიწას აძლევს რუსებს კოკოითი? - ეს არის კითხვა, რომელიც ყველა ქართველის გულში ტრიალებს, როცა კოკოითის უპასუხისმგებლო გამოსვლებს ისმენს.

ზუსტად ასი წლის წინათ, ერთ-ერთი პირველი ქართველი სოციოლოგი და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე ნაშრომში "სამშობლო და მამულიშვილობა" წერს, რომ ძირძველ ქართულ მიწას ოსი ხიზნები იკავებენ და ირწმუნება, რომ ამგვარი ქმედების შედეგად ქართველ ხალხს განსაცდელი მოელის:

**"რა განსაცდელი მოელის ქართველ ხალხს?**

**ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა ოსების მიგრაცია. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ერთ-ორად მატულობს გადასახლება ფრონის ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები. ამ სოფლების გაშენების გამო მოისპო ტყე, ზომით 8,500 დესეტინა საფალავანდო მამულში.**

**სად და ვის მიწაზე სახლდებიან ოსები?**

**დროებით ვალდებული გლეხებისაგან ჩამორთმეულ ჩამონაჭრებზე: თუღვა, თერეგვანი, ახალ-შენი, ხუნდის უბანი, ტყის უბანი, ნაბაკევი და შინდარა დროებით ვალდებულ გლეხებს ეჭირათ. თანდათან ამ სოფლებში მკვიდრდებიან ხიზანი ოსები, წორბისში სცხოვრობდნენ ქართველი გლეხები, გვარად მაისურაძეები, ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათის გვარისა და მოდგმისა აღარ სცხოვრობს იქ. მათ ადგილზე ხიზნები დამკვიდრდნენ. იმავე მოვლენას ვხედავთ ცისიაში, სადაც ქართველები სახლობდნენ და დღეს იქ მათი ხსენებაც აღარ არის. ახალშენში დიდი ხანი არ არის, რაც დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამონაჭრები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ. იგივე მოხდა ავნევში. სოფელ ყორნისში ამ ორმოცდაათი წლის წინათ 7 კომლი ხიზანი იდგა, დღეს მემამულეების მეცადინეობით, 120 კომლი ხიზანი სცხოვრობს. მთლად ხერხეულიძეების მამული დღეს ხიზნების ხელშია. ტატიშვილების მამულშიაც იგივე ამბავია. ეს მამული ზომით 2000 დესეტინაა. აქ გაშენდა შვიდი სოფელი ოსებისა. ამ ბოლო დროს სოფელ ოქონაში მემამულეებმა დაასახლეს 14 კომლი ხიზანი. ოქონელ გლეხებს წაართვეს 148 დესეტინა მამული, ცალკე სოფლად გამოჰყვეს და დაარქვეს სოფელი "გიორგი წმინდა". სოფელ ავლევშიაც აქაურმა მემამულეებმა ხიზნებს მისცეს წვრიმალა ტყე სამუშაოდ. დღეს ავლევში 14 კომლი ხიზანი სცხოვრობს...**

**... აღმოჩნდა, რომ ჟამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვაოდა, დღეს ოდნავღა მოსჩანს ქართული ეროვნების ნაშთი. ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარე თუ გნებავთ, სწორედ აქ არის. ქართველ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში სასაცილოდაც არ ჰყოფნით ამ საგნის შესახებ ლაპარაკი - ეგ ხომ შოვინისტობაა, ეგ ხომ ნაციონალისტობაა და სხვა ამგვარი. საქმე კი უბრალო გაუგებრობაშია - ჩვენ არც მისვლა მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკვის აზრი გვაფრთოვანებს - ჩვენ გვინდა დავუკარგოთ ემიგრაცია-იმიგრაციას სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა, რომ გაბატონებული ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს იგი. ემიგრაცია-იმიგრაციის მოუწესრიგებლობას იმისთანა სერიოზული და სავაგლახო მნიშვნელობა აქვს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუწყნარებელი სილაჩრეა."**

აი, რას ფიქრობდა ერთი საუკუნის წინ, 1907 წელს არჩილ ჯორჯაძე იმ პრობლემაზე, რომელიც დღევანდელ საქართველოში ყველაზე აქტუალურია და რომლის უყურადღებოდ დატოვება დღეს გაცილებით უფრო დიდ "შეუწყნარებელ სილაჩრედ" შეიძლება ჩაითვალოს. არჩილ ჯორჯაძის ნააზრევის ამ მცირე მონაკვეთის გადაკითხვისას კიდევ უფრო მწვავედ ისმის შეკითხვა - ვის მიწას ჩუქნის დე-ფაქტო კოკოითი რუსებს?!

# სს "ფოთის გემთსაშენი" სამგზავრო ავტობუსების წარმოებას იწყებს

სს "ფოთის გემთსაშენი", უახლოეს მომავალში, გერმანული კორპორაცია "მან"'-ის დაკვეთით, სამგზავრო ავტობუსების წარმოებას დაიწყებს, - ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს სს "ფოთის გემთსაშენი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ შალვა წაქაძემ განუცხადა. მისი თქმით, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ევროპის ქვეყნების სატრანსპორტო ბაზარზე თავად დამკვეთი უზრუნველყოფს. სტატისტიკით, ევროპის ბაზარს ყოველწლიურად 40 000 ახალი ავტობუსი სჭირდება. წაქაძის განცხადებით, გერმანელ პარტნიორს სს "ფოთის გემთსაშენი"-ს ტექნიკური პოტენციალი სრულიად აკმაყოფილებს, ხოლო რაც შეეხება პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიას, მას დამკვეთისგან მიიღებს. ქართული საწარმო მალე იმ შეკვეთას შეასრულებს, რომელსაც ადრე "მან"-ის პორტუგალიელი და თურქი პარტნიორები ასრულებდნენ.

გერმანელების ინტერესი ქართული კომპანიის მიმართ განაპირობა იაფმა მუშახელმა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის პერსპექტივამ, ასევე სამრეწველო ობიექტის ტრადიციებმა და გამოცდილებამ. საგულისხმოა, რომ რამდენიმე წლის წინ, აღნიშნული კორპორაცია ფოთის გემთმშენებელი ქარხნის მიერ წარმოებული წყალქვეშა ფრთიანი გემების რეალიზაციითაც იყო დაკავებული. მომავალ კვირას ქარხნის ხელმძღვანელობა პორტუგალიაში, ქ. კატანოს გემთმშენებელ ქარხანაში ტექნოლოგიას გაეცნობა და დაკვეთილი პროდუქციის დოკუმენტაციას წამოიღებს. წაქაძის თქმით, პირველი ავტობუსი "ფოთის გემთსაშენი"-ს ხარჯებით აშენდება (დაახლოებით 90 000 ევრო).

ავტობუსის მშენებლობის პერიოდში ფოთში ჩამოვა "მან"-ის სერთიფიცირების ჯგუფი, რომელიც სერთიფიკატის გაცემისთანავე, ქართულ მხარესთან კონტრაქტს გააფორმებს. საწარმოს ხელმძღვანელობის აზრით, დაკვეთის მოცულობამ წელიწადში 1000 ცალი უნდა შეადგინოს. "მან"-ის ავტობუსები ორი სახის იქნება – 48-ადგილიანი "საქალაქო" და 40-ადგილიანი "აეროპორტი-საქალაქო". ქარხნის ხელმძღვანელობა 19 ივლისს შეხვდება კორპორაციის წარმომადგენლებს გერმანიაში. წაქაძის განცხადებით, სამომავლოდ, ავტობუსების წარმოების პროექტის გარდა, სს "ფოთის გემთსაშენის" მიერ წარმოებული ჩქაროსნული გემების რეალიზაციის საკითხიც იქნება განხილული.

საგულისხმოა, რომ პარტნიორული ურთიერთობები გერმანიაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მონაწილეობით დამყარდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი მოსკოვში გაემგზავრა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით იგი რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს შეხვდება. ბეჟუაშვილის თქმით, იგი შეეცდება, დაარწმუნოს ივანოვი, რომ საომარი მოქმედებების განახლებისა და ვითარების ჩიხში შესვლის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მოსკოვს დაეკისრება. წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თბილისში 12 ივლისს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები უარყოფენ ინფორმაციას საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პრესსამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ ალექსანდრ დრობიშევსკის განცხადებით, საქართველოს მხრიდან გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთის მფრინავ აპარატებს ქვეყნის საჰაერო სივრცე დაერღვიოთ, სინამდვილეს არ შეესაბამება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი**. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებაზე გუშინ ისაუბრეს. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრა როგორც რუსეთისთვის, ისე აშშ-სთვის კატეგორიულად მიუღებელია. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია"

პირველი გვერდიდან

**ორ-ორ, სამ-სამ კაცს, მათ შორის, მოქმედ მინისტრებს და სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებს. არავის უნდა ომი, ერთი კაცის გარდა, რომელსაც თავისი პატარა გარემოცვა ჰყავს.... ადრე ამბობდნენ, სააკაშვილი ოსია, სააკაშვილი სომეხიაო. მათთვის, ვინც სომხებს ვერ იტანს, სომეხი ვიქნები, ვინც ოსებს ვერ იტანს - ოსი, ვინც აზერბაიჯანელებს - აზერბაიჯანელი. ოსები აქედან არ უნდა წავიდნენ. უნდა წავიდეს ის ხალხი, ვინც მათ ვერ იტანს. ოსები ჩვენი განუყრელი ნაწილია,"** - სააკაშვილის ამ სიტყვას აქციაზე შეკრებილი ხალხი გამამხნევებელი შეძახილებით ( "მალადეც" მიშა, მართალი ხარ!") შეხვდა.

ქვეყნის მეთაური კონფლიქტის დროს დაზარალებულებს ხელის შეწყობას დაჰპირდა: დამწვარი კარ-მიდამოს სანცვლოდ, სახლისა და მიწების მიცემას; სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებთათვის სკოლებში ოსური ენის გაძლიერებულ სწავლებას (და არა მხოლოდ მეოთხე კლასამდე, როგორც ეს ახლაა); ყველაფერს იმისათვის, **"რომ ამ პატარა და ბრილიანტივით გასაფრთხილებელმა ხალხმა"** თავი საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ იგრძნოს. მით უფრო, რომ **"ახლა თბილისში უკვე სხვა ხალხი ზის და არა ისეთი, როგორიც ადრე, 1992 წელს იჯდა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ედუარდ კოკოითია".**

■ ■ ■

**"დიდი მადლობა, რომ აქ მოსვლა გაბედეთ!"-** პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაბედულება მასთან შესახვედრად მისულ ოსური წარმოშობის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს მოუწონა, დაახლოებით ოცამდე კაცს. დელეგაციას ვლადიმერ გუცაევი ხელმძღვანელობდა. მიხეილ სააკაშვილმა ამ შეხვედრაზე განაცხადა, რომ დღეისათვის ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავებაში დიდი წვლილი ედუარდ შევარდნაძეს და მის ხელისუფლებას მიუძღვის. თუმცა, პრეზიდენტის აზრით, ახლა რეალურად საქართველოს შიდა კონფლიქტის ნაცვლად, საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებასთან გვაქვს ადგილი. **"ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია და არა ცხინვალი. ეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხია. 10 ივლისს რუსეთის დუმის მიერ მიღებული განცხადება სრულიად პროვოკაციული ხასიათის იყო, რომელიც ხელისუფლებასთან ჟირინოვსკიზე მეტად დაახლოებულმა პირებმა წამოაყენეს. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ საქართველო ამგვარ პროვოკაციას წამოეგება, ძალიან ცდება, რადგან ჩვენ სახელმწიფო ვართ და ასე ადვილად ვერ დაგვაშინებენ. თუ იქიდან აგრესია იქნება, მზად ვართ, თავი დავიცვათ. პრეზიდენტმა პუტინმა აღმითქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მშვიდობა იყოს,"** - ასეთი იყო სააკაშვილის შეფასება.



ვახო ბასილიას ფოტო

*"პრეზიდენტის პოლიტიკა სწორი და სამართლიანია. საქართველო უნდა გამთლიანდეს," - თქვა შეხვედრიდან გამოსულმა ვლადიმერ გუცაევმა.*

თითქმის იგივე ითქვა დახურულ შეხვედრაზეც. ამ შეხვედრაზე სააკაშვილმა ის წინადადებები გაიხსენა, რომელიც მას ადრეც ჰქონდა და ახლაც ძალაში რჩება: უმაღლეს სასწავლებელში ოსური წარმოშობის ახალგაზრდებისათვის 100 ადგილის გამოყოფა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში კი მათთვის, დაახლოებით, 10 პორტფელის გათვალისწინება. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, კოკოითთან სალაპარაკო არაფერი აქვს. "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტი მისთვის საეჭვო წრეებიდან მოსული პიროვნებაა, რომელიც რუსეთის რეაქციული ძალების წარმომადგენელთა დაკვეთას ასრულებს.

**"რაც მიხეილ სააკაშვილმა ილაპარაკა, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ორივე მხარეს მდგარმა ხალხმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სისხლისღვრა ავიცილოთ,"** - აცხადებდა შეხვედრიდან გამოსული მაია საბოშვილი. **"პრეზიდენტის პოლიტიკა სწორი და სამართლიანია. საქართველო უნდა გამთლიანდეს,"** - ეს უკვე ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა.

# ვარიაციები იმპერიულ თემაზე

პირველი გვერდიდან

ვითარებაში აღნიშნეს საგაზაფხულო სესიის დასრულება. დუმის ამ სესიის "საგმირო საქმეთა" შორის რამდენიმე კანონ-პროექტი, მათ შორის – პრესის შესახებ კანონში მთელი რიგი შესწორებების შეტანა, რის შედეგადაც დამოუკიდებელ ტელეარხ "ნტვ"-ზე ხელისუფლება შეიცვალა და პრაქტიკულად დაიხურა დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ინფორმაციული პროექტები.

თუმცა, ეს ყველაფერი თამაშია იმასთან შედარებით, რაც დუმამ უკანასკნელ სხდომაზე ჩაიდინა სამხრეთ ოსეთზე "მკაცრი" განცხადების მიღებით. დამოუკიდებელი რუსი ექსპერტების აზრით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, ფაქტობრივად, საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა განახორციელა. ანალიტიკოსები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ ეს დოკუმენტი რამდენიმე დღე იწერებოდა რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ კაბინეტებში და იგი სწორედ პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიციის გამომხატველია.

ასეთ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებენ თავად რუსი პარლამენტარები და აცხადებდნენ, რომ პარლამენტი სულაც არ გამოხატავს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას, რომ ისინი სულაც არ არიან "ჯიბის" კანონმდებლები. მაგრამ, ეს საკენკი დუმის დერეფნებში მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი დამლაგებლებისთვის თუ გამოდგება. ყველამ მშვენივრად იცის, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო პრეზიდენტ პუტინის ყველა მითითების უსიტყვო შემსრულებელია.

"შეაჩერეთ სააკშვილი, სანამ იგი კრანსოდარის მხარემდე არ ჩამოსულა!" - გაჰკიოდა ვიქტორ ალქსნისი. დეპუტატი საველიევი (რომელიც აჭარის კრიზისის დღეებში ასლან აბაშიძის თვითმფრინავში მოხალისე მძევლად ჩაჯდა) კი, ითხოვდა საქართველოს დასჯას პროვოკაციული განცხადებებისა და კონფლიქტის სამხედრო ესკალაციის გამო. ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელი დუმაში არსენ ფაძაევი განცხადების ტექსტის მიღებას უკვე დაგვიანებულად მიიჩნევდა. მისი სიტყვებით, იგი 10 ივლისს შუადღისას ესაუბრა ედუარდ კოკოითს, რომელმაც რუსეთის პარლამენტის საჩუქარი აღარ მიიღო იმ უბრალო მიზეზით, რომ რუსეთის პარლამენტს ადრე უნდა განეხილა ოსი პარლამენტარების მიმართვა რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანებაზე.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი ფაქტი: ამ დღეებში მოსკოვი ფართოდ აღნიშნავს ჩრდილოეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების 220 წლისთავს.

მერიდიანი

# ქართული სამშვიდობო დანაყოფი დაატყვევეს

*ყოველდღიური დამოუკიდებელი ავსტრიული გამოცემა „დერ შტანდარტი" დაუყოვნებლივ გამოეხმაურა სამხრეთ ოსეთში უკანასკნელ დღეებში განვითარებულ მოვლენებს და 2004წ. 9 ივლისს ამ თემისადმი მიძღვნილი სტატია საერთაშორისო მიმოხილვის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. სტატიას თან ერთვის რუსული სატელევიზიო არხის მიერ გავრცელებული, დატყვევებული ქართველი მშვიდობისმყოფელების ფოტო კომენტარით: „რუსულმა სატელევიზიო არხმა უჩვენა სამხრეთ ოსეთში დატყვევებული ქართველები. თბილისი კი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებაზე უარის თქმაზე ფიქრობს."*

მარკუს ბერნათი

**საქართველოს აჯანყებული პროვინციის, სამხრეთ ოსეთის გასამხედროებულმა ჯგუფებმა ცენტრალური მთავრობის 40 ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა მშვიდობა მოსკოვის მიერ სამხედრო მეთოდებით მხარდაჭერილ პროვინციაში.**

სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის სამხედრო დაჯგუფებებმა, ხუთშაბათს ღამით, სეპარატისტულ პროვინციაში დაატყვევეს ქართული სამშვიდობო დანაყოფის 40 ჯარისკაცი და დაიკავეს ქართველებით დასახლებული სოფელი.

ჯარისკაცების დატყვევებამ და აღნიშნული ფაქტის ამსახველი კადრების გავრცელებამ რუსეთის საინფორმაციო არხებით, მნიშვნელოვნად გაამწვავა სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის უკანასკნელი კვირების მანძილზე არსებული დაძაბულობა. რუსული საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" ინფორმაციით, დაკავებული სოფლის, ვანათის მიდამოებში, რომელიც 20 კილომეტრით არის დაშორებული ცხინვალიდან, პანიკა დაიწყო.

პრემიერმინისტრ ჟვანიას განცხადებით, ქართულ საკონტროლო პუნქტთან ორმხრივი სროლის შედეგად, ორი ჯარისკაცი დაიჭრა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ულტიმატუმი წაუყენა რუსულ არმიას, რომელიც, ქართულ და ოსურ დანაყოფებთან ერთად, პროვინციაში მშვიდობის დაცვას უნდა აკონტროლებდეს, ფაქტობრივად კი, „პრეზიდენტ" კოკოითის რეჟიმს იცავს.

ჟვანიას განცხადებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება რუსული დანაყოფების მიმართ ნდობა, ამიტომ მათ ორი საათის განმავლობაში უნდა უზრუნველყონ ქართული დანაყოფის გათავისუფლება. ჟვანიას ულტიმატუმი ისე ამოიწურა, რომ 40 ჯარისკაცი არ გაუთავისუფლებიათ. სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტი" ედუარდ კოკოითი მრავალგზის შეეცადა დაემცირებინა საქართველოს მთავრობა და განაცხადა, რომ ჯარისკაცებს მხოლოდ მათ დედებს გადასცემდა, რისთვისაც ისინი ცხინვალის მისადგომებთან უნდა მისულიყვნენ.

რეგიონული კონფლიქტების მოგვარების სფეროში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, ვითარება საგანგაშოა. მას დაგეგმილი აქვს მოსკოვში მოლაპარაკებების გასამართად გამგზავრება.

1992 წლის შეთანხმების ძალით, რუსეთი, საქართველო და სამხრეთ ოსეთი უფლებამოსილნი არიან, თითოეულმა 500 ჯარისკაცი განალაგოს ამ პატარა, 4000 კვადრატული კმ ფართობის პროვინციაში. ჯარისკაცების დატყვევება, რომელთაც ცხინვალის განცხადებით, არ ჰქონდათ სოფელ ვანათში ყოფნის უფლება, მოჰყვა ქართული არმიის მიერ ოთხშაბათს ჩატარებულ ოპერაციას. თბილისმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დააკავა რუსული სამხედრო კოლონა და კონფისკაცია გაუკეთა ათიდან ორ სატვირთო ავტომანქანას, რომლებშიც, ქართული მხარის მონაცემებით, სხვა შეიარაღებასთან ერთად, 300 რაკეტა აღმოჩნდა. საქართველოს უშიშროების მინისტრის განცხადებით, „ეს შეიარაღება მაინცდამაინც არ უნდა სჭირდებოდეს სამშვიდობო ძალებს". თბილისსა და ცხინვალს შორის კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა 2003 წლის ნოემბერში, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. სახელმწიფოს მეთაურ სააკაშვილსა და პრემიერ ჟვანიას გარშემო შემოკრებილმა რეფორმატორებმა, კავკასიური რესპუბლიკის კვლავ გაერთიანების პირობა დადეს და უკვე უზრუნველყვეს აჭარის დაბრუნება. ამჯერად კი საფრთხეს გრძნობს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, რომელიც თავს რუსეთიდან შემოტანილი კონტრაბანდით იფინანსებს.

# კოკოითის ბოდვა ეუთო-საც გადასწვდა

*ედუარდ კოკოითის განცხადებები საქართველოს უშიშროების მინისტრს ვანო მერაბიშვილს სასაცილოდ არ ჰყოფნის და იგი თვითმარქვია პრეზიდენტის ნათქვამს, ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, აგონიაში მყოფის ბოდვად მიიჩნევს.*



*ვანო მერაბიშვილს კოკოითის განცხადებები ღიმილს ჰგვრის.*

გუშინ, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩთან ლევ მირონოვთან შეხვედრის დაწყებისთანავე ქართველ მზვერავებზე დაიწყო საუბარი, რომლებიც, მისი თქმით, ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან და საქართველოს ხელისუფლება მათდამი არავითარ ყურადღებას არ იჩენს.

თვითმარქვია პრეზიდენტის განცხადებით, ოსეთის სამართალდამცველებს რამდენიმე ათეული ქართველი ეროვნების მოქალაქე ჰყავს დაკავებული, რომელთა ჩვენებით, ისინი სამხრეთ ოსეთში საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებებს ასრულებდნენ. მისივე თქმით, დაკავებულთა რაოდენობა ორ ათეულს აღემატება. დე-ფაქტო პრეზიდენტის თქმით, დაკავებულები აცხადებენ, რომ დაზვერვით სამუშაოებს გასამრჯელოს საფასურად ასრულებდნენ. ამასთან, როგორც კოკოითი ამბობს, მათ საქმიანობას, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია აფინანსებდა.

კოკოითი კონფლიქტის ზონაში მოქმედ ეუთო-ს მისიას პროქართული პოზიციის დაკავებაში ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ მათი ქმედებები არ შეესაბამება იმ ფუნქციებს, რომელსაც ისინი უნდა ასრულებდნენ.

**"ხშირ შემთხვევაში, დაკავებული ქართველები, რომლებიც ამჟამად იზოლატორში იმყოფებიან, ქართული მხარისთვის უგზო-უკვლოდ არიან დაკარგული და ქართული მხარე ამაზე არაფერს ამბობს. დაკავებული ქართველების სადაზვერვო საქმიანობას ეუთო აფინანსებს,"** - აცხადებს კოკოითი.

საქართველოს უშიშროების მინისტრი კოკოითის ამ განცხადებებს არასერიოზულს უწოდებს. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალში სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად სპეციალურად ხალხის შეგზავნა არ სჭირდება.

**"ცხინვალიდან ერთ კილომეტრში რამდენიმე ქართული სოფელია, გარდა ამისა, ჟურნალისტები, როცა უნდათ, შედიან და გამოდიან რეგიონში და იქ მიმდინარე პროცესებს მთლიანობაში აშუქებენ. თავად ცხინვალში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობიდანაც უმეტესობა ჩვენი მხარდამჭერია. ასე რომ, ჩვენ სრულად ვფლობთ ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ და სპეციალურ სადაზვერვო სამუშაოებს არ ვაწარმოებთ,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა გუშინ ჩატარებულ ბრიფინგზე.

რაც შეეხება სადაზვერვო სამუშაოს ეუთო-ს მხრიდან დაფინანსებას, მერაბიშვილის თქმით, **"ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ეუთო ჩვენს დაზვერვას დააფინანსებს. მაგრამ ასეთი განცხადების გაკეთება ნიშნავს, რომ კოკოითმა საერთოდ არ იცის, რა ორგანიზაციაა ეუთო და რა ფუნქცია ეკისრება მას".**

*24 საათი*

ძირითადი ტენდენცია

# ოპერაცია - "იმედის ჩაშხამება"

პირველი გვერდიდან

არც ერთი სხვა აქცია მისთვის ასეთი მტკივნეული და გამანადგურებელი შედეგის მომტანი არ იქნებოდა, ვინაიდან (გავიხსენოთ ჯერ კიდევ 9 აპრილი) არაფერი იმდენად დამანგრევლად არ მოქმედებს ქართულ ეთნომენტალიტეტზე, როგორც უპასუხოდ დატოვებული შეურაცხყოფა, საკუთარი უმწეობის შეგრძნება.

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ არავითარი "სპეცდანიშნულების რაზმი" ის არ ყოფილა, რომ, ფაქტობრივად, 18-19 წლის ბავშვები აიყვანეს ტყვედ, ამით საქმეს აღარ ეშველება. მოხდა ის, რაც არაფრის დიდებით არ უნდა მომხდარიყო. ოსტატურად განხორციელებული ოპერაციის დამგეგმავ რუს ანალიტიკოსთა ძირითადი მიზანი "სამხრეთ ოსეთის" მოგება როდი იყო მხოლოდ. მათ სურდათ, ერთი დარტყმით ჩაეშხამებინათ საქართველოს ფეხზე წამოდგომისა და წელში გამართვის ის იმედი, რაც ბოლო თვეებში გაჩნდა; კვლავ ამოეტივტივებინათ ეროვნულ ცნობიერებაში 1992-1993 წლების საზარელი ეროვნული მარცხით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმები და განეახლებინათ ეროვნული არასრულფასოვნების შეგრძნება.

ბუნებრივად ისმის კითხვა: მაინც რატომ სჭირდებოდათ საქართველოში წარმოშობილი იმედიანი ატმოსფეროს ჩაშხამება? აქ ემოცია და მხოლოდ შოვინისტური ქვენაგრძნობა არაფერ შუაშია. ყოველ შემთხვევაში, განმსაზღვრელი ნამდვილად არ არის: საქართველოს ფეხზე წამოდგომა და მრავალწლიანი "ძილქუშიდან" გამოსვლა, ნორმალურ ქვეყნად ქცევა, განვითარების ინერციის მოპოვება, აშინებს რუსულ ისტებლიშმენტს და საკუთარი ქვეყნის ინტერესების შელახვად მიაჩნია, რაკი სამხრეთ კავკასიაში საქართველოს სახით ძლიერი, სტაბილური, სწრაფად განვითარებადი ქვეყნის არსებობა ობიექტურად ვნებს მის გრძელვადიან ინტერესებს ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამდენად, კავკასიური მენტალიტეტის გათვალისწინებით, ოპერაციის კიდევ ერთი მიზანი კავკასიელ ხალხთა თვალში საქართველოსა და ქართველი ერის საბოლოო დისკრედიტებაც იყო. ამ მენტალიტეტისათვის ევროპული "არაძალადობა" აბსოლუტურად გაუგებარია. ოსები კი პირიქით: ამით კიდევ ერთხელ წარმოჩინდნენ რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ ურთულეს, მრავალფეროვან, მრავალკონფესიურ და ისტორიული წინააღმდეგობებით აღსავსე რეგიონში.

რაც შეეხება ვანათში მომხდარს – დავაკვირდეთ, რომ ოსებმა დარტყმის ობიექტად აირჩიეს ყველაზე სუსტი და უმწეო ქვედანაყოფი (პოლიციის სკოლის კურსანტები, დაცვის პოლიციის თანამშრომლები და ა. შ.), რომელიც კი კონფლიქტის ზონაშია განლაგებული.

მათთვის იდეალური იყო უსისხლოდ ტყვეთა აყვანა, მაგრამ თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, - უეჭველად იტყოდნენ (წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით) - ჩვენი სამშვიდობო რაზმი იქვე მყოფ ოსური სოფლისკენ მიემართებოდა და ქართველმა ბოევიკებმა ჩასაფრება მოგვიწყვეს, - იძულებული ვიყავით საპასუხო ცეცხლი გაგვეხსნა და ტყვეებიც აგვეყვანაო.

აკი წინასწარ ამზადებდნენ საზოგადოებრივ აზრს, - 7-9 ივლისს დაგეგმილი აგრესიის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს, რამდენ ხანს თვლიდნენ ოპერაციის დეტალებს.

ნაცნობმა ლატვიელმა ჟურნალისტმა, რომელმაც კონფლიქტის ზონა მოინახულა, საინტერესო დაკვირვება გამოაქვეყნა: ქართულ და ოსურ სოფლებში თითქოს ყველაფერი ერთნაირია - ერთნაირად ჩაცმული ადამიანები, ერთნაირი სიღარიბე და ა. შ. მაგრამ, მისი თქმით, არის ერთი განსხვავება: ოსურ სოფლებში მუდმივი დაძაბულობით, შემართებით, მობილიზებულობით თითქოს თვით ჰაერიც გაჟღენთილია; ქართულ სოფელში კი რაღაცნაირი გულარხეინობის, მოდუნების ატმოსფერო სუფევს.

მადლობა ღმერთს, ხელისუფლება ჯერჯერობით ახერხებს რაციონალურად და უემოციოდ მოქმედებას. სწორი აქცენტები და მესიჯები იპოვა პრეზიდენტმა, მაგრამ ვერ გავექცევით იმ სიმართლეს, რომ აჭარაში მარცხით გაცოფებული რუსული სპეცსამსახურები სამაგიეროს გადახდას გააფთრებით ცდილობენ.

საზარელი წყენა და მრისხანება კი უნდა მივმართოთ არა საცოდავი ოსი თანამამემულეების, ცხინვალში დარჩენილი უპატრონო მოხუცებისა და უმწეო ბავშვების (გუშინ, ცხინვალში დიდი და პატარა გულამოსკვნით იძახდა, პუტინი ჩვენს საშველად "კოლხოზნიკით" მოიჩქარის და ვლადიკავკაზს უკვე გამოსცდაო), არამედ ჩვენს ქვეყანაშივე კორუფციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ, რაც არ გვაძლევს საშუალებას, ვიქცეთ აყვავებულ და ჭეშმარიტად ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც ყველასათვის მიმზიდველი და სანიმუშო იქნებოდა და რომლის წინააღმდეგაც მზაკვარი მოწინააღმდეგე თვით ყველაზე დიდოსტატურად გათვლილ ოპერაციებსაც ვეღარ განახორციელებს.


International Finance Corporationa Member of the World Bank Group

## სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

# Philip Morris-ი ჯარიმას გადაიხდის



ევროკომისია Philip Morris-ის მიმართ შეღავათზე მიდის. ევროკომისიამ კომპანიას, სასამართლოში ჩივილის სანაცვლოდ, უხლოეს 12 წელიწადში 1,25 მილიარდი დოლარის გადახდა შესთავაზა. ევროკავშირის ათმა წევრმა ქვეყანამ, რომლებიც მომჩივან მხარეს წარმოადგენდნენ, Philip Morris-ის მიმართ კომპრომისულ გადაწყვეტილებას მოაწერეს ხელი. მიღებული თანხები, ევროკომისიის ინფორმაციით, ტვირთების კონტრაბანდის და ფალსიფიცირების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ევროკომისიამ Philip Morris-ს, RJ Reynolds-ს და Japan Tobacco-ს ნიუიორკის სასამართლოში უჩივლა, იმ ბრალდებით, რომ მათ ევროპაში სიგარეტის კონტრაბანდას გაუწიეს ორგანიზება. ეს ფაქტი კი ევროკომისიას მილიონობით ევრო დაუჯდა. ბრალდებული კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათ მიმართ ყველა სასამართლო პრეტენზიებს მოუღებს ბოლოს და ასევე, საპასუხო სარჩელებს ევროკომისიის მიმართ. კომპანიის მონაცემებით, ევროკავშირში გასაყიდი სიგარეტის 1,5 პროცენტი კონტრაბანდულია, ეს კი დღეში, დაახლოებით, მილიონი ყუთი სიგარეტია.

*24 საათი*

# თურქული კრედიტის გასტუმრება სასამართლოზეა დამოკიდებული

*ფინანსთა სამინისტრო სკანდალურად ცნობილი თურქული კრედიტის მევალე სუბიექტებიდან აქტიურ ამოღებას იწყებს. ამ პროცესში სამინისტროს სასამართლოს დახმარების იმედი აქვს, რადგან ნაწილობრივ, ვალის დროულად გასტუმრება ხელისუფლების ამ უწყებაზეა დამოკიდებული. ამ დროისთვის საქართველოს დავალიანება მეზობელი სახელმწიფოს მიმართ 55 მილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს.*

მარიამ ჯაჭვაძე

საქმე ეხება, დაახლოებით, 12 წლის წინათ, მაშინდელი ხელისუფლების მიერ აღებულ 41-მილიონიან თურქულ კრედიტს, რომელიც 1993 წელს ქართულ მხარესთან ანკარაში გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, სამ წელიწადში უნდა დაფარულიყო.

მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება კრედიტის აღების შესახებ კარგად გაცვეთილ, თუმცა იმ დროისთვის კარგად აპრობირებულ არგუმენტს ემყარებოდა – სესხი კეთილშობილურ მიზნებსა და საშვილიშვილო საქმეს უნდა მოხმარებოდა.

უფრო კონკრეტულად: კრედიტი მთლიანად განკუთვნილი იყო ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან საქონლის შემოტანის დასაფინანსებლად. შეთანხმების თანახმად, თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციის 50 პროცენტი ადგილობრივი წარმოების უნდა ყოფილიყო. 41-მილიონიანი კრედიტი რვა სუბიექტს შორის განაწილდა. აქედან ყველაზე ბევრი - 11 მილიონ 800 ათასი ამერიკული დოლარი პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ მიიღო, 8 მილიონ-ნახევარი – მაშინდელმა ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ, 4.9 – კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ, ზუსტად ამდენივე ერგო შპს „კოკა-კოლა კავკასიონს“ და სს „რუსთავცემენტს“, ოდნავ ნაკლები, 4 მილიონ 750 ათასი – სასმელი წყლის საწარმო „გევას“. თითქმის ორ მილიონნახევარი დოლარი მისცეს შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკას, 1 მილიონ 700 ათასი – ს.ს „არაგვს“. ამ დროისთვის ვალის ძირითადი ნაწილი არც ერთ კრედიტორს არ აქვს გასტუმრებული, მეტიც, რიგ შემთხვევაში, კრედიტორის დღეს არსებული დავალიანება თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ეს 12 წლის წინ იყო. მაგალითად, „კოკა-კოლას“ დღემდე 7.7 მილიონი დოლარი დაუგროვდა, შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის ვალი კი 5 მილიონამდე აღწევს. ზოგიერთი კრედიტორი დღეს უკვე ფიზიკურად აღარ არსებობს და მათი სამართალმემკვიდრეების ვინაობაც ჯერჯერობით გაურკვეველია. ძირითადად, ეს გაუქმებულ სახელმწიფო უწყებებს ეხება.

ცნობისათვის, ამ კრედიტის დაფარვა ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება, თავის მხრივ, ხსენებული მეწარმეები და სამინისტროები ვალდებულნი არიან, ვალი ბიუჯეტში ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. მეზობელ სახელმწიფოსთან კრედიტის დაბრუნების თაობაზე ნაკისრმა ვალდებულებამ დათქმულ ვადას უკვე ცხრა წლით გადააცილა. მთელი ამ დროის განმავლობაში ძირითად ვალს, წლიურ სარგებელთან ერთად, საურავებიც ერიცხებოდა და თურქეთის მიმართ დავალიანება ამ დროისთვის ქართულ ლარებში უკვე 104 მილიონ ლარს აჭარბებს.

დღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ კრედიტის მნიშვნელოვანი ნაწილი არამიზნობრივად დაიხარჯა და, დაპირებული საშვილიშვილო საქმის ნაცვლად, ის მხოლოდ რამდენიმე ბიზნესმენის კეთილდღეობას მოხმარდა.

სხვათა შორის, თურქული კრედიტის განაწილებისა და მისი დახარჯვის საკითხით წინა მოწვევის პარლამენტი საკუთარი მოღვაწეობის ბოლო წელს დაინტერესდა და მაშინდელი ფინანსთა სამინისტროსგან ოფიციალური ინფორმაციაც მოითხოვა. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის შეფასებით, სახელმწიფოს არც ერთი კრედიტის მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არ გამოუჩენია. **„თურქული კრედიტი აბსოლუტურად გაუაზრებლად იყო აღებული, თუმცა მთავარი უბედურება ისაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ვალს, ასეა თუ ისე, იხდის, ხოლო ის სუბიექტები, რომლებმაც ეს თანხები წაიღეს, მის უკან დაბრუნებაზე დღეს არც კი ფიქრობენ,“** - აღნიშნა „24 საათთან“ საუბრის დროს გიორხელიძემ.

თუმცა, ამ კრედიტის მიმართ ფინანსთა სამინისტროს ახლანდელ დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, თითოეულ კრედიტორს ამ ვალის დაბრუნებაზე ფიქრი დღეის შემდეგ მაინც მოუწევს. სამინისტრო მზადაა აქტიურად იბრძოლოს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში თურქული ვალის ბოლო თეთრამდე ამოსაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია. უზენაეს სასამართლოში დევს ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე სარჩელი: „კოკა-კოლას“, „რუსთავცემენტისა“ და პურპროდუქტების წინააღმდეგ. **„ჩვენ მოვითხოვთ, ამ ორგანიზაციების მიერ სრულად იქნეს ის ვალდებულებები დაკმაყოფილებული, რაც მათ რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფოს წინაშე იკისრეს. თურქული კრედიტიდან წელს რამდენის გასტუმრებას მოვახერხებთ, ეს, გარკვეულწილად, სასამართლო გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული,“** - ამბობს მოსარჩელე მხარე, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი სოსო სხირტლაძე. უახლოეს მომავალში სამინისტრო მსგავსი შინაარსის კიდევ რამდენიმე სარჩელის მომზადებას აპირებს, როგორც კი დღეს უკვე არარსებული კრედიტორების სამართალმემკვიდრის ვინაობა გაირკვევა.

# რუბლი ფასს კარგავს

*"24 საათი" ბოლო პერიოდში აქტიურად აშუქებს რუსეთში მიმდინარე საბანკო პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ კვირას ექსპერტების მიერ გამოთქმული ვარაუდები მოსალოდნელ კრიზისთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მართლდება. საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა გუშინ ვლადიმირ პუტინის ეკონომიკურმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა, რომლის თანახმადაც, რუსეთში საბანკო კრიზისი თითქმის უკვე სახეზეა.*

დიანა ჩაჩუა

რუსეთის საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების მიმართ გაჩენილმა უნდობლობამ შეიძლება რუსეთი იქამდე მიიყვანოს, რომ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფულს "მუთაქებში" შეინახავს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამის შედეგად მკვეთრად გაიზრდება ვალუტაზე მოთხოვნილება, რაც, თავის მხრივ, რუბლის მიმართ დოლარის და ევროს კურსის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მსხვილი კომერციული ბანკების მეანაბრეები შედარებით დამშვიდდნენ, რუბლი კვლავ კარგავს პოზიციებს მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში.

პარასკევს დოლარის კურსმა 29.11 რუბლის ნიშნულს მიაღწია. ეს ერთი კაპიკით ნაკლებია, ვიდრე გუშინდელი მაჩვენებელი, მაგრამ მთლიანობაში, ბოლო პერიოდში მიმდინარე ტენდენციებს პასუხობს, რაც, პირველ რიგში, აგორებულ საბანკო კრიზისთან არის დაკავშირებული. მეანაბრეები სულ უფრო ჩქარობენ, მოხსნან დეპოზიტები რუსული ბანკებიდან და საკუთარი დანაზოგი უცხოური ვალუტის ყიდვით დაიცვან.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში თითქმის აღარ დარჩა ნაღდი ფული, რაც, ექსპერტების შეფასებით, რუსეთს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ ახსოვს.

**"კურსის გაზრდა ცენტრალური ბანკის გარეშე ხდება, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე დღის წინ ცენტრალურმა ბანკმა თავისი შესყიდვებით ამის პროვოცირება მოახდინა,"** - განაცხადა "ალბა ალიანსის" ლიდერმა არტემა როშინამ.

რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ სერგეი იგნატიევმა კი აღნიშნა, რომ მან უკვე შეიტანა რუსეთის სათათბიროში კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბანკში ფიზიკური პირების შენატანებსა და საკრედიტო ორგანიზაციებზე გარკვეულ გარანტიებს, რომლებიც, თავის მხრივ, შენატანების დაზღვევის სისტემაში არ შედის.

თუმცა, ყოველივე ზემოთნათქვამის მიუხედავად, ბანკების მეანაბრეებს შორის პანიკა მაინც აშკარად იგრძნობა - ფიზიკური პირების ანგარიშებიდან ფულის ნაკადების გადინება დღითიდღე იზრდება.

როგორც ვარაუდობენ, დოლარის კურსი სულ მალე გაიზრდება, ხოლო მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ოპერაციების შედეგები, დაახლოებით, სამი კვირის შემდეგ იქნება შესამჩნევი.

# „თი-ბი-სი“ ბანკი ბათუმში ფილიალს ხსნის

**თბილისი.** "თი-ბი-სი" ბანკი ახალ ფილიალს ბათუმში ამ თვის ბოლოს და ქობულეთში სექტემბერში გახსნის. პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ბანკის მმართველმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ განაცხადა, რომ “თი-ბი-სი” ბანკი მომსახურების სრულ პაკეტს შესთავაზებს აჭარელ ბიზნესმენებს და იქ მომუშავე უცხოურ კომპანიებს - გასცემს მოკლევადიან ბიზნესსესხებს, იპოთეკურ სესხებს, შეასრულებს საერთაშორისო გადარიცხვებს. ამასთანავე, ბიზნესმენებს შეუძლიათ აირჩიონ საბანკო ოპერაციების ყველაზე კომფორტული, ვიზა-პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების მეთოდი. ბუცხრიკიძე აცხადებს, რომ “თი-ბი-სი” ბანკს აჭარის საბანკო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრების დიდი პოტენციალი გააჩნია. “თი-ბი-სი” ბანკის გარდა, ბათუმში საკრედიტო ხაზები გახსნილი აქვს “პროკრედიტბანკს”, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე, და “საქართველოს ბანკს”, რომლის ორი ფილიალი ბათუმის პორტსა და ნავთობგადამამუშავებელ ტერმინალს ემსახურება. ბათუმში იხსნება ბანკის მე-6 ფილიალი. “თი-ბი-სი” ბანკს 4 ფილიალი აქვს თბილისში და 5 საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გაზეთ "24 საათის" 2004 წლის 30 ივნისის ნომერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიაში **"პოლიტიკისა და სტრატეგიის ჯგუფის კონსულტანტი ფიზიკური რესურსების ოპტიმიზაციის საკითხებში"** მითითებული განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადა გაგრძელებულია 16 ივლისამდე.

## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**13 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), ქართველიშვილის, ბეჟანიშვილის, იმერეთის, ლომთათიძის, ქსოვრელის, ტოროშელიძის, ჭიჭიკო ბენდელიანის, ცისარტყელას, დაისის, დიდი ჯიხაიშის, ტრიკოტაჟის, გრუზინსკის, ჯავის, კნოლევის, კოკინაკის, ქსოვრელის, ქუთათელაძის, ღრმაღელის, ჭიჭინაძის, ჭყონდიდელის, ხრესილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტი შედგება მთელი რიგი კომპონენტებისა და ქვეკომპონენტებისაგან, რომელთაგან თითოეულს კონკრეტული მიზნები გააჩნია.

<u>A. დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების მიზნების გარდაქნა</u>

- **A1. დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების სისტემისათვის ახალი სასწავლო გეგმების შემუშავება და დანერგვა,** რაც უნდა განხორციელდეს შედეგების მიხედვით. კერძოდ, ახალმა სისტემამ მოსწავლეებს უნდა მისცეს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.
- **A2. ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ახალი სისტემის ჩამოყალიბება,** რომელსაც ექნება შესაძლებლობა შეაფასოს სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის მიღწევები, ხელი შეუწყოს განსხვავებული პედაგოგიური მიდგომების შემუშავებას და უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის წინსვლა სწავლის ხარისხის თვალსაზრისით.
- **A3. განათლების სფეროს მუშაკების პროფესიული განვითარება,** რომლის ამოცანაა შექმნას სიცოცხლისუნარიანი, მოქნილი და მდგრადი პროფესიული განვითარების სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს განათლების სფეროს მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.
- **A4. ხარისხიანი სასწავლო მასალებისა და ახალი სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა** ახალი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

<u>B. პოლიტიკისა და მართვის საკითხების გაძლიერება</u>

- **B1. პოლიტიკის შემუშავების განვითარება** მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის გზით; განათლების სისტემის დეკონცენტრაცია (დეცენტრალიზაცია).
- **B2. განათლების მართვის ეფექტური და სანდო საინფორმაციო სისტემის შექმნა.**

<u>C. პროექტის მართვის ხელშეწყობა</u>

- **C1. პროექტის საკოორდინაციო ცენტრის განვითარება და დაფინანსება.**
- **C2. საზოგადოებრივ-საინფორმაციო და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო სტრატეგიის განხორციელება.**

B კომპონენტის მიზანია, ხელი შეუწყოს:

- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე მართვის სიმძლავრეების გაუმჯობესებას, რათა ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებას უფრო ეფექტური, ეფექტიანი და რაციონალური ხასიათი მიეცეს;
- ექსპერიმენტული ინიციატივების განხორციელებას, რათა სისტემა უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახდეს;
- სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბებას, რათა გაიზარდოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საჯაროობა, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება.

ფინანსური ხელშეწყობით სარგებლობს შემდეგი სახის საქმიანობა: ა) ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ემსახურება ეფექტიანობისა და გამჭვირვალეობის ზრდას ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებისას და ყველასათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს რიგი ისეთი გადამჭრელი ზომებისა, როგორებიცაა ახალი ფინანსური ფორმულებისა და დაფინანსების მექანიზმების შემოღება, კადრების მართვის ახალი პოლიტიკის შემუშავება, სკოლების ოპტიმიზაციისა და კონსოლიდაციის გეგმების განხორციელება, სასკოლო შენობებისათვის ახალი სამშენებლო-სარემონტო სტანდარტების დადგენა; ბ) ექსპერიმენტული ინიციატივების განხორციელება დარგის რესტრუქტურიზაციის, მისი ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით; მათ შორის, ცენტრალურ დონეზე და გარკვეულ რაიონებში გამყოფი პაკეტების ექსპერიმენტირება მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა გარკვეული ჯგუფებისათვის, რომლებიც ასეთ სურვილს გამოთქვამენ; გ) განათლების მართვის ეფექტური და სანდო საინფორმაციო სისტემის შემუშავება და ამოქმედება.

<u>B კომპონენტის კოორდინატორი</u>

**ამოცანები და უფლება-მოვალეობები:**

- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მითითებების შესაბამისად უზრუნველყოს კავშირი და ეფექტური თანამშრომლობა შესაბამისი კომპონენტის ქვეკომპონენტებს შორის;
- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორთან თანამშრომლობა კომპონენტის შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას, მოცემული ვარიანტების ანალიზსა და პროექტის განხორციელების პროცესში პრობლემათა გადაწყვეტის გზების შეთავაზებას;
- შესაბამისი ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა წლიური სამუშაო გეგმების შემუშავება და ტექნიკური დავალების შედგენა; აგრეთვე მათთვის დახმარების გაწევა ადგილობრივი და უცხოური ტექნიკური დახმარების ექსპერტების შერჩევაში, რაც შესაბამისი ქვეკომპონეტების შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს;
- B კომპონენტის მოსამსახურეებისათვის ზოგადი რჩევების მიცემა შესყიდვებისა და ფინანსური მართვის საკითხებში პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- ამოცანების დროულად და ეფექტიანად გადაჭრის მიზნით ეფექტური კავშირების დამყარება B კომპონენტსა და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვებისა და საფინანსო განყოფილებებს შორის;
- პროექტით გათვალისწინებული მიზნების დროულად და ეფექტურად რეალიზაციის მიზნით B კომპონენტისთვის განსაზღვრული საქმიანობის სათანადო წესით განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორისათვის დახმარების გაწევა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების, მათ შორის სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტის მომზადება-გადასინჯვის საქმეში;
- კომპონენტის ფარგლებში რეგულარული შეხვედრების დაგეგმვა და მათში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეკომპონენტებს შორის ეფექტური კავშირებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და კონსულტანტების ვიზიტებში მონაწილეობის მიღება და თავიანთ საქმიანობაში მათთვის დახმარების გაწევა;
- ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა ქვეყნის შიგნით ტრეინინგების, აგრეთვე ქვეყნის გარეთ სასწავლო პროგრამებისა და ტურების ორგანიზებაში;
- ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა პროექტის მართვის ანგარიშების (PMR), აგრეთვე პროექტის განხორციელების კვარტალური და ნახევარი წლის ანგარიშების მომზადებაში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- ქართული და ინგლისური (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ენების კარგი ცოდნა
- მეტყველებისა და წერის კარგი უნარ-ჩვევები
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები (Microsoft Office; Microsoft Excel; Microsoft Power Point; და უპირატესობა მიენიჭება PhotoShop-ის ცოდნას)
- გამოცდილება საჯარო სამსახურის საკითხებში (სასურველია)
- საქართველოს განათლების სისტემის ღრმა ცოდნა (სასურველია)
- მრავალმხრივი ამოცანების კოორდინირებისა და გადაჭრის უნარი

**ანგარიშვალდებულება**

B კომპონენტის კოორდინატორი ანგარიშვალდებული იქნება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 22 ივლისი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# სერბეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

გუშინ ბელგრადში სერბეთის ახალი პრეზიდენტის, ბორის ტადიჩის ინაუგურაციის ცერემონიალი შედგა. 27 ივნისს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მემარცხენე ცენტრისტული დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ტადიჩმა ულტრა-ნაციონალისტური რადიკალური პარტიის ლიდერი ტომისლავ ნიკოლიჩი დაამარცხა.

დასავლეთის სახელმწიფოები იმედოვნებენ, რომ ხუთწლიანი საპრეზიდენტო მანდატის ფარგლებში ტადიჩი შეძლებს ბოლო მოუღოს პროდემოკრატიულ პარტიებს შორის არსებულ დაპირისპირებას, რომლებიც ერთ დროს მილოშევიჩის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, შემდეგ კი, თვითონვე ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად იქცნენ.

ახალმა პრეზიდენტმა საზეიმო ფიცი წარმოთქვა პარლამენტის დეპუტატებისა და სერბეთის ხელისუფლების წინაშე.

დემოკრატიულ პარტიას ბორის ტადიჩი სათავეში 2003 წელს პრემიერ-მინისტრის ზორან ჯინჯიჩის სიკვდილის შემდეგ ჩაუდგა. ტადიჩის განცხადებით, მისი მიზანია სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანება; სერბეთისა და ჩერნოგორიის სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცება და კოსოვოს პრობლემის სერბული მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

2002 წლიდან, სამჯერ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, სერბეთს სახელმწიფო მეთაური არ ჰყავდა. აღნიშნულ არჩევნებს, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 50 პროცენტის გამოუცხადებლობის გამო, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. სწორედ ამიტომ, სერბმა პარლამენტარებმა 2004 წლის დასაწყისში მიიღეს კანონი ამომრჩეველთა პროცენტული ბარიერის გაუქმების შესახებ. ბორის ტადიჩი არჩეულ იქნა იმ ამომრჩევლების ხმათა უმრავლესობით, რომლებიც საარჩევნო უბნებზე გამოცხადდნენ.



*ტადიჩის სტრატეგიული ამოცანა სერბეთის ევროკავშირში ინტეგრაციაა.*

არჩევნების დროს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან დიდი იყო ზეწოლა სერბეთზე, რათა მას ჰააგის ტრიბუნალისთვის 1990-იან წლებში ბალკანეთის კონფლიქტების დროს განსაკუთრებულ სისასტიკეში დადანაშაულებული პირები გადაეცა.

როგორც პრეზიდენტმა ტადიჩმა აღნიშნა, სერბეთს ჰააგის სასამართლოსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა მართებს. თუმცა, სხვებს, მათ შორის - პრემიერ-მინისტრ ვოისლავ კოშტუნიცას, გაცილებით კრიტიკული პოზიცია უკავიათ გაერო-ს სასამართლოს მიმართ.

თუმცა, უახლესი ისტორიაც ადასტურებს, რომ ტრიბუნალთან თანამშრომლობის შედეგად, ხორვატია ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, მაშინ, როცა სერბეთს ამაზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ოცნება შეუძლია.

# რუსეთს ადამიანის უფლებების დარღვევისათვის აჯარიმებენ

უკანასკნელ დღეებში რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ ლამის რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებად მონათლული ევროსაბჭოს სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი ინტრიგა ის არის, რომ მოსკოვმა საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევაზე კი არ უნდა აგოს პასუხი, არამედ მოლდოვის. რუსეთი ვალდებულია ოთხ მოლდოველს მილიონ დოლარამდე გადაუხადოს. ასეთი იყო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება. სტრასბურგის სასამართლომ დააკმაყოფილა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დნესტრისპირეთში გასამართლებული მოლდოველების სარჩელი.

კრემლს საკმაოდ ძვირი დაუჯდა 1998 წელს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთება. მილიონი დოლარი დღემდე ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც სტრასბურგის განაჩენით რუსეთმა უნდა გადაიხადოს. თუმცა, მოსკოვმა ცალსახად მიანიშნა, რომ არ აპირებს, ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილოს.

ილია ილაშკუ, ალექსანდრ ლეშკო, ანდრეი ივანტოში და ტუდორ პეტროვ-პოპა, რუსული საინფორმაციო საშუალებების მტკიცებით, 1992 წელს დნესტრისპირეთის კანონიერი (ანუ პრორუსული!) ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ. სასამართლოს მასალებში ნათქვამია, რომ ზემოხსენებული ოთხი პიროვნება 1992 წლის 2-4 ივლისს ტირასპოლში საკუთარ სახლებში დააკავა პირთა ჯგუფმა, რომელთაგან რამდენიმეს სამხედრო ფორმა ეცვა ყოფილი საბჭოთა კავშირის მე-14 არმიის განმასხვავებელი ნიშნით. დნესტრისპირეთის მაშინდელმა დე ფაქტო ხელისუფლებამ დაკავებულებს ბრალი დასდო "ანტისაბჭოთა და დნესტრისპირეთის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საქმიანობაში". ბრალდებაში ფიგურირებდა სხვა დანაშაულებიც, მათ შორის - ორი მკვლელობა. თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების ვერსიით, ეს ოთხი ადამიანი მოლდავური სამხედრო დაჯგუფება "ბუჟორი"-ს წევრები იყვნენ. 1993 წლის დეკემბერში სასამართლომ ილაშკუს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ხოლო დანარჩენებს 12-15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ილაშკუს მიმართ გამოტანილი განაჩენი საბოლოო ჯამში სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი და მან ციხეში მხოლოდ 9 წელი გაატარა. ამ პერიოდში იგი უფრო პრორუმინული განწყობის გახდა და ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ რუმინეთის პარლამენტშიც იქნა დაუსწრებლად არჩეული. მოლდოვის ხელისუფლების სათავეში ვლადიმირ ვორონინის (კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი) მოსვლის შემდეგ, მისი პირადი თხოვნის საფუძველზე დნესტრისპირელებმა ილაშკუ და ლეშკო გაათავისუფლეს. დარჩენილი ორი პირი დღემდე პატიმრობაში იმყოფება.

თავისუფლებაზე მყოფებმა სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ მათი პატიმრობაში ყოფნის პერიოდში დნესტრისპირეთში ვითარებას, რეალურად, რუსეთი აკონტროლებდა და, შესაბამისად, მას უნდა ეგო პასუხი. შედეგად, ევროპის საბჭოს სასამართლომ დაადგინა: რუსეთის მხარე მთავარი დამნაშავეა იმაში, რომ მოლდოველებს დნესტრისპირეთში არაჰუმანურად ეპყრობოდნენ. "რუსეთმა დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლი... ის, რასაც განიცდიდნენ ილაშკუ და დანარჩენები განაჩენის სისრულეში მოყვანის მოლოდინში, უნდა განიხილებოდეს როგორც წამება", - ნათქვამია სასამართლოს განაჩენში. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსულმა მხარემ ილაშკუს 180 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს მატერიალური ზიანისათვის. დანარჩენი პატიმრებისათვის შედარებით ნაკლები თანხაა გადასახდელი – 120 ათასი. ამის გარდა, რუსეთი ვალდებულია თითოეულ მათგანს მორალური ზიანისათვის 7 ათასი ევრო გადაუხადოს. რუსეთს სასამართლო ხარჯების დაფარვაც მოუწევს, რაც 14 ათას ევროს შეადგენს. ჯამში სულ, აღნიშნული განაჩენის საფუძველზე რუსეთს მოუწევს, მილიონ დოლარამდე გაიღოს.

ჯარიმის გადახდა მოუწევს მოლდოვასაც, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე დე იურე იურისდიქციის განმახორციელებელს. თუმცა, მოლდოვამ შედარებით ნაკლები – 60 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს თითოეულ სარჩელზე და სასამართლოს ხარჯების მხოლოდ ნაწილი - 7 ათასი ევრო დაფაროს.

რუსეთი სასამართლოს ასეთმა განაჩენმა აშკარად გააღიზიანა. არ დააყოვნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო განცხადებამ. რუსეთის დიპლომატიურმა სამსახურმა ევროპის საბჭოს სასამართლო ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში დაადანაშაულა. "მოსკოვში შეშფოთებას გამოთქვამენ "ილაშკუს საქმესთან" დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე". რუსეთმა მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო არათანმიმდევრული, სუბიექტური და აშკარად პოლიტიკურად ანგაჟირებული იყო. "იურიდიული თვალსაზრისით, ეს ვერდიქტი, რბილად რომ ვთქვათ, უნაკლო არ არის," - აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება. მთავარი კი, რაც რუსებს არ მოსწონთ, ისაა, რომ თუ ერთ შემთხვევაში ნატო-ელ სამხედროებს იუგოსლავიის დაბომბვა ეპატიებათ, რუსეთის მიმართ "აშკარაა" ორმაგი სტანდარტის გამოყენება. ანუ, რუსები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ მათ ნატო-ს მსგავს სიტუაციაში არ აყენებენ.

რუსეთის პროტესტს ლოგიკურად ის უნდა იწვევდეს, რომ განხილულ შემთხვევაში ექსტერიტორიალური პრინციპია გამოყენებული, თუმცა რუსეთი მხოლოდ მეორე რიგში ახსენებს ამას და, პირველ რიგში, აპელაციას დროის ფაქტორზე აკეთებს. საქმე ის არის, რომ სასამართლოს მიერ განხილული შემთხვევა იმ პერიოდს ეხება, სანამ რუსეთი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას შეუერთდებოდა. პარადოქსულად ჟღერს ის ფაქტიც, რომ რუსეთი წუხილს გამოთქვამს სასამართლოს მიერ უკანონოდ მოპოვებული სამხილების გამოყენების გამო.

მთავარი კი, ალბათ, ის არის, რომ რუსეთს უკვე სერიოზულად აშფოთებს ევროპის საბჭოს სასამართლოს გადაწყვეტილებები. მანამდე, აღნიშნულმა სასამართლომ "გუსინსკის საქმესთან" დაკავშირებით რუსეთს 80 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. შეშფოთების საფუძველი კი ნამდვილად აქვს მოსკოვს - ევროპის საბჭოს სასამართლოში დღემდე შეტანილი სარჩელების თითქმის მეოთხედი (15 ათასი!) რუსეთის წინააღმდეგაა და თუ უკანასკნელის მსგავსი განაჩენები გამეორდა, საფრთხე არამარტო რუსეთის დემოკრატიულ იმიჯს, არამედ ბიუჯეტსაც ემუქრება.


# ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორი

**"BP"-ის დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციის განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "IRA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორის თანამდებობაზე.**

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორი იქნება "BP"-ის მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული პირი იმუშავებს იმ გუნდში, რომელიც პასუხს აგებს იმ მომსახურების ჩატარების, წვრთნებისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების უზრუნველყოფაზე, რაც გათვალისწინებულია დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციის მიზნებისათვის შემუშავებულ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სტრატეგიაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების მომზადებისა და მზადყოფნის ეფექტურობა. ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატოპრი ანგარიშვალდებულია ნავთობის დაღვრაზე რეაგირების უფროსი ოპერატორების წინაშე, არის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გუნდის წევრი და ამდენად, მისი მოვალეობები და პასუხდისმგებლობის სფეროიები განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება შამდეგით:

- ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტებისადმი მტკიცე ერთგულება, მათი სრული გაზიარება და მათთან შესაბამისობა.
- ბპ-ის წესებთან და მოსალოდნელ მოქმედებებთან შესაბამისობის მაღალი სტანდარტები.
- დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის შენობა-ნაგებობებზე არსებული ნავთობის დაღვრაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის რეგულარული მომსახურება მათი მწარმოებლების მოთხოვნათა, მომსახურების მართვის პროგრამისა და მომსახურების მიღებული პროცედურების შესაბამისად.
- ხმელეთზე /წყალზე ნავთობის დაღვრისას საჭირო აღჭურვილობის ტექნიკური მონაცემების, მომსახურების გეგმის, მომსახურების პროცედურების გაცნობიერება და მათი მითხონვნების დაცვა.
- დაგეგმოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხმელეთზე /წყალზე ნავთობის დაღვრაზე რეგირების წვრთვების შესრულებაში და რეალური საგანგებო შემთხვევებში, რომლებშიც მონაწილეობენ ბპ-სა და კონტრაქტორი ფირმების მოსამსახურენი.
- გუნდური მუშაობის, დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღების და კომუმიკაციური უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტები.
- მონაწილეობა დაღვრილი ნავთობის შეკავებისა და სანაპირო ზოლის დაცვის სახელმძღვანელოების მუიდმივი განახლების პროცესში.
- სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება მოითხოვს რეგულარულ გასვლებს, შორეულ ობიექტებზე ყოფნას, მოულოდნელი მობილიზაციისათვის მზადყოფნას და მანქანის უსაფრთხოდ მართვის ჩვევების ქონას.

**საჭირო უნარ-ჩვევები, გამოცდილება და განათლება**

კანდიდატს უნდა ქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და გამოცდილება:

- საინჟინრო განათლება
- წარმოების შესაბამის სფეროშო მუშაობის სამი წლის გამოცდილება, რაც გულისხმობს ინჟინერ-მექანიკოსის ან ინჟინერ-ელექტრიკოსის გამოცდილების ქონას ტუმბოების, გენერატორების, კაბელების და სხვა მობილური აღჭურვილობის მომსახურების გამოცდილების ჩათვლით.
- ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტებით მუშაობის გამოცდილება.
- საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ვითარებაში მუშაობისა და მოქმედების გამოცდილება
- ტრანსპორტის უსაფრთხოდ მართვის გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტები
- კომუნიკაციური, გუნდური მუშაობის, დაგეგმვის, დროის სწორი განაწილების და პრობლემების გადაჭრის ეფექტური უნარჩვევები შრომოს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით მოქმედებასა და კულტურასთან ერთად.

კარგად იცოდეს ქართული და რუსული ენები
ინგლისური ენის ცოდნა მისასალმებელია

<u>განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია</u>

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი CV ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 22 ივლისი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
**დავით აღმაშენებლის გამზირი 123ა**
საქართველო, თბილისი,

# ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

**ფინანსური მენეჯერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის წარმართვა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზი.
- ორგანიზაციის ფინანსური დეპარტამენტის მართვა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- სრული უმაღლესი განათლება ეკონომიკის და მენეჯმენტის სფეროში.
- ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის გამოცდილება.
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)

**ტექნიკური მენეჯერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- ორგანიზაციის ტექნიკური სამსახურების საქმიანობის წარმართვა.

**საკავალიფიკაციო მოთხოვნები**
- სრული უმაღლესი განათლება მენეჯმენტის სფეროში. (სასურველია ტექნიკური განათლებაც.)
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.

**განცხადების მიღების ვადაა 1 ივლისიდან 14 ივლისამდე.**
***დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.***

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge


## ორი სიტყვით

**იაპონია.** გუშინ იაპონიის მმართველმა კოალიციამ არჩევნები მოიგო. იაპონიის 242-ადგილიანი პარლამენტის ნახევარი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ახლდება. ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი ძიუნიტურო კოიძუმი უდგას, პარლამენტში ადგილების უმრავლესობა შეინარჩუნა. უკანასკნელ ხანს კოიძუმის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, რაც გამოწვეული იყო მისი საშინაო რეფორმებით მოსახლეობის უკმაყოფილებით. ამას ემატება ხელისუფლების გადაწყვეტილება ერაყში სამხედრო კონტინგენტის დატოვების შესახებ. **როიტერი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** აშშ-ს პრეზიდენტი მიესალმება გაერო-სა და ავღანეთის არჩევნების მართვის ერთობლივი საბჭოს გადაწყვეტილებას. აღნიშნული შეთანხმებით, ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების ამა წლის 9 ოქტომბერს, ხოლო საპარლამენტო არჩევნების მომავალი წლის გაზაფხულზე დანიშვნა გადაწყდა.

თეთრი სახლის პრესსამსახურის განცხადებით, "ეს არჩევნები ავღანეთის დემოკრატიისკენ ტრანზიციის გზაზე გადადგმული კრიტიკული ნაბიჯი იქნება. ამგვარი გადაწყვეტილება მიუთითებს იმაზე, რომ ავღანეთის მოსახლეობა არ დაუშვებს თალიბებისა და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების თვითნებობას მომავალში. აშშ კი, თავის მხრივ, მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს ავღანეთს ამ ისტორიული არჩევნების ჩატარებაში". **აშშ-ს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური**

# შემაშფოთებელი ტენდენცია

*იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანება წმინდა მიწაზე ქართული ძეგლების ხელყოფის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ორი წლის წინათ იერუსალიმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე უცნობმა პირებმა ელენე კახთა დედოფლის მეჩვიდმეტე საუკუნის წარწერა მოანგრიეს. ქართველ მეცნიერთა დაჟინებული მოთხოვნით, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ამ წარწერის აღდგენას დასთანხმდა. მაშინ ამ ფაქტს ქართველ მეცნიერთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოეხმაურა.*

თამარ დვალი

შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანებამ ქართველ საზოგადოებაში უფრო დიდი რეზონანსი ჰპოვა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ამ თემასთან დაკავშირებით მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები პრესკონფერენციებსა და საპროტესტო აქციებს მართავენ.

ისინი რუსთაველის ფრესკის დაზიანებას ვანდალიზმს უწოდებენ და ქართული სიწმიდეების საქართველოსთვის დაბრუნების ინიციატივით გამოდიან. მეცნიერები იერუსალიმისა და საბერძნეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებს აკისრებენ პასუხისმგებლობას. თუმცა, აქვე ქართველების გულგრილობაზეც მიუთითებდნენ.

"აღშფოთებული ვარ ქართველების გამუდმებული შეცდომებით. თავად საქართველოშიც ვერ ვუფრთხილდებით ჩვენს სიძველეებს, უცხო ქვეყანაზე რომ არაფერი ვთაქვათ. მიმაჩნია, რომ ასეთი დონის ფრესკის წაშლა ქართველმა ერმა გლოვის დღედ უნდა გამოაცხადოს. დღესაც არსებობს ქვეყანა, რომელსაც საბერძნეთი ჰქვია, მაგრამ იქ ნამდვილი ბერძნები არ ცხოვრობენ; არის ეგვიპტეც, მაგრამ იქ ძველი ეგვიპტელები აღარ ცხოვრობენ. არ მინდა, ასევე არსებობდეს საქართველო, მაგრამ აქ ქართველები აღარ ცხოვრობდნენ. ერმა თუ თავისი თვითმყოფადობა არ შეინარჩუნა, დარჩება მხოლოდ სახელწოდება. დღეს უნდა დავდგეთ მაგრად და ყველას სათანადო პასუხი მოვთხოვოთ; ქართველები უსუსურები არასოდეს ყოფილან. მარტო ტირილით და თავის შეცოდებით არაფერი კეთდება", - განაცხადა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელმა ნუკრი ცერცვაძემ.

განათლების ეროვნული კავშირი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ქმედებები თუ იხსნის ქართულ სულიერ და კულტურულ ძეგლებს ვანდალიზმისაგან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა კურთხევით, 2001 წელს ქართველ მეცნიერთა და არქეოლოგთა ჯგუფი წმინდა მიწაზე გაემგზავრა. მათი მიზანი იყო ქართულ სიძველეთა მოძიება, კვლევა და ფიქსაცია. ექსპედიციის შედეგად დაფიქსირდა ქართველთა სახელთან დაკავშირებული 35 მონასტერი, საეკლესიო ნივთები და ხელნაწერი დოკუმენტები. წაკითხულია და კალკაზე გადმოღებულია 90-მდე ქართული წარწერა, მათ შორის - 40-მდე უცნობი. აღინუსხა სხვადასხვა ეკლესიაში დაცული ქართულწარწერიანი ნივთები.

ცოტა ხნის წინათ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი და ფონდი შეიქმნა. თითოეულ ქართველს შესაძლებლობა ეძლევა, თუნდაც, ერთი თეთრი მაინც გადარიცხოს აღნიშნულ ფონდში.

**სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"**
**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11**

# მედლის ორი მხარე

## პრობლემა, რომელიც შეიძლება შემოსავლის წყაროდ იქცეს

მაკა ჯაიანი

*ყოველ ზაფხულს ყვარლის წინაშე ერთი და იგივე პრობლემა დგას – ღვარცოფით წალეკვის საშიშროება. განსაკუთრებული სტრუქტურის მასა იქამდე მდინარე დურუჯს ჩამოაქვს. წლების განმავლობაში სპეციალისტები დურუჯის ღვარცოფს სქელ ბეტონს ადარებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ შენობებიდან მისი გამორეცხვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამ ცოტა ხნის წინათ ქართველმა მეცნიერებმა კიდევ ერთი დასკვნა გააკეთეს – ნატანი, რომელიც დურუჯს ჩამოაქვს და ყვარლის მოსახლეობას შიშით ავსებს, არც მეტი, არც ნაკლები, უნიკალური სამშენებლო მასალა – თიხაფიქალია.*



*ნატანი, რომელიც დურუჯს ჩამოაქვს და ყვარლის მოსახლეობას შიშით ავსებს, არც მეტი, არც ნაკლები, უნიკალური სამშენებლო მასალა თიხაფიქალია.*

იური ლობოდინის ფოტო

### დურუჯი, როგორც პრობლემა

ყვარლისა და მისი რეგიონის 2000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ფაქტობრივად, ყოველ წელს დგას ღვარცოფით წალეკვის რისკის წინაშე. ისტორიული წყაროების ცნობით, 1888 წლიდან 1987 წლამდე ყვარელს 19-მა ღვარცოფმა გადაუარა. განსაკუთრებით დიდი ზიანი ქალაქს 1899, 1906, 1979 წლებში მიადგა. დანგრეული სახლების, განადგურებული მეურნეობებისა და წალეკილი პირუტყვის გარდა, იყო მსხვერპლიც - მხოლოდ 1906 წელს დაიღუპა 50 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 150 ადამიანი. მაშინ ღვარცოფს აკვნებში ჩაკრული ჩვილებიც მიჰქონდა. საშიშროება დურუჯისგან ყვარელს წელსაც დაემუქრა, თანაც - არა მისი ადიდებისთვის ჩვეულ, აგვისტოს თვეში, არამედ - გაცილებით ადრე.

დურუჯი სათავეს კავკასიონის მწვერვალზე, შავ მთაზე იღებს და ღვარცოფების გამტარებელ მდინარედ ითვლება. თოვლის დნობის შემდეგ მისი სათავე წყლით ივსება, ადვილად შლადი ქანებისგან წარმოშობილ ნაშალ მასას აჯერებს, აგროვებს და მერე ერთი ჩვეულებრივი წვიმა კმარა, რომ ქალაქს გდააცხრეს თავს. დურუჯის ღვარცოფის შესაკავებელი პირველი კედელი 1907 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით აიგო. 40-იან წლებში გაკეთდა უფრო მძლავრი გამაგრება, 70-იანი წლებისათვის უკვე კომპლექსური დამცავი მექანიზმის აშენება იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მხოლოდ ერთი საცდელი კედელი აღიმართა. კარგა ხანია, ჯებირები არ გაწმენდილა და დღეს ყვარელს თავს 10 მილიონი ტონა საფრთხე დაჰყურებს.

**"ამ პრობლემის მიზეზი ის გახლავთ, რომ დურუჯი ყოველწლიურად, ნატანის სახით, 400-500 ტონა მასას აგროვებს კალაპოტში და ახლა იგი, თითქმის, 30 მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებს ყვარელს,** - ამბობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ევროგაერთიანების პროექტის ექსპერტი ვაჟა სხვიტარიძე, **- 13-14 წელია, სახსრების უქონლობის, უყურადღებობისა თუ მოსალოდნელი საფრთხის შედეგების გაუცნობიერებლობის გამო, ნატანისგან მდინარის კალაპოტის გაწმენდა, ანუ უმართავი გეოლოგიური პროცესების შედეგად დარღვეული ბუნებრივი წონასწორობის აღდგენა, ამ 13-14 წლის განმავლობაში არ მომხდარა. კალაპოტი კი ნატანით კვლავ ივსება და უკვე ყველა დამცავი ზღუდეც დაფარულია, რადგან მისმა რაოდენობამ 10 მილიონ კუბურ მეტრს გადააჭარბა. ეს ნებისმიერი ტერიტორიისთვის სერიოზული საფრთხეა. თუმცა, ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა, ეს საფრთხე სარგებლობად გადავაქციოთ".**

### დურუჯი, როგორც საშუალება

სპეციალისტებმა დურუჯის პრობლემაზე მუშაობა 1999 წელს დაიწყეს, როცა რუსეთის საჯარისო ნაწილების მიერ ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში დატოვებული ცეზიუმით გამდიდრებული გრუნტის გაუვნებელყოფის საკითხს ამუშავებდნენ. მაშინ ვაჟა სხვიტარიძემ და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა უნიკალური მეთოდი გამოიყენეს – გრუნტისგან ბეტონი შექმნეს და შემდეგ დამარხეს. რაც შეეხება დურუჯს, საქართველოს მუდმივ პრობლემას – უსახსრობას, სპეციალისტებმა მის შემთხვევაშიც მშვენივრად აუარეს გვერდი. მდინარის მიერ ჩამოტანილი მასის კვლევამ აჩვენა, რომ საქმე თიხაფიქალთან - საუკეთესო ცემენტის მისაღებად საჭირო მასალასთან გვქონდა.

**"ევროსტანდარტების მიხედვით, ერთ-ერთი საუკეთესო ცემენტი სწორედ თიხაფიქალიანი ცემენტია. ევროსტანდარტების მიხედვით, ჩვენ ჯერ ვერც ერთ პროდუქციას ვერ ვამზადებთ, დურუჯს კი თავად მოაქვს მასალა საამისოდ. მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს აქვს საუკეთესო საშუალება, თიხაფიქალიანი ცემენტი აწარმოოს. მისი საშუალებით, საქართველოს შეუძლია, ევროსტანდარტებში მოხვდეს და კარგი შემოსავალიც მიიღოს,** - აცხადებს ვაჟა სხვიტარიძე, **- ამ ცემენტით თავისუფლად შეიძლება, საერთაშორისო ბაზარზე გავიდეთ, თუმცა, უმაღლესი ხარისხის ცემენტის დეფიციტი თავადაც გვაქვს. მარტო თბილისის აღდგენას 30 მილიონი ტონა ცემენტი ჭირდება. იმის გათვალისწინებით, რა ოდენობის ცემენტსაც ჩვენი ორი ქარხანა უშვებს, მისი იმპორტის გარეშე, თბილისი 15 წელზე ადრე ვერ აშენდება".**

იმ სახის ცემენტით, რომელზეც ბატონი ვაჟა ლაპარაკობს, თბილისში ბარნოვის ქუჩაზე ორი სახლია აშენებული. ეს მშენებლობა წარმოადგენდა ერთგვარ საწარმოო გამოცდას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ევროგაერთიანების დაფინანსებით ჩააბარა. დურუჯის ნატანის შესაძლებლობების შესწავლა სწორედ მისი "ტასისის" პროგრამით გახდა შესაძლებელი. ასე რომ, ევროპაში საქართველოს კიდევ ერთი საბადოს შესახებ უკვე იციან. მის შესახებ იციან აქაც. ვაჟა სხვიტარიძემ ყვარლის უსაფრთხოებისა და მაღალხარისხიანი ცემენტის წარმოების საკითხის ერთდროულად გადაწყვეტის შესახებ კახეთის ყოფილი სამხარეო ხელმძღვანელობა საქმის კურსში დროულად ჩააყენა, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოჰყოლია. საერთაშორისო ბაზარზეც კი მაღლკონკურენტიანი ცემენტის წამოების სურვილი მაშინდელ ფუნქციონერებს არ მოსჭარბებიათ.

### კიდევ ერთი მხარე

დურუჯის ნატანის შესაძლებლობების შესახებ კახეთის ახალმა ხელმძღვანელებმაც იციან. იციან ისიც, რომ, აგურის გარდა, ამ მასალისგან მაღალი ხარისხის კრამიტი, აფუებული საიზოლაციო მასალა, შავი მინა, კერამიკული ნაწარმი მზადდება; მისი წვრილი ფრაქცია კი სასუქად გამოიყენება. რამდენად მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის თიხაფიქალიანი ცემენტის წარმოება, დაანგარიშებულია. ვაჟა სხვიტარიძის გათვლებით, ყვარელთან ამჟამად დაგროვილი ნატანის მასიდან შესაძლებელია 40-50 მილიონი კვადრატული მეტრი, ანუ 2,28-2,85 მილიარდი ლარის ღირებულებას ფოროვანი ხელოვნური ქვის, 42 მილიონი ლარის ღირებულების კერამიკული აგურის ან კრამიტის და 20,0 მილიონი ტონა ანუ 2,2 მილიარდი ლარის ღირებულების ევროსტანდარტის შესაბამისი ცემენტის დამზადება.

ზემოთ ჩამოთვლილი, დაახლოებით, 200 მილიონი ლარის ოდენობის საბიუჯეტო შენატანია. ამასთან, თუკი სახელმწიფოს ადგილზე მინიქარხნის შექმნა დასჭირდა (10 მილიონი ლარი, პროექტის ავტორების აზრით, ამისთვის სავსებით საკმარისი იქნება), მოსახლეობას დასაქმების მუდმივი ადგილი გაუჩნდება. დურუჯი და ყვარელში მიმდინარე ბუნებრივი მოვლენები ამის გარანტიას იძლევა. ის უმართავი გეოლოგიური პროცესები, რაც ყვარლის მისადგომებთან ყოველ წელს გაურკვეველი ვადით იღებს შესვენებას, ყველა შემთხვევაში მოსაგვარებელია. ჩვენ ან, უბრალოდ, უნდა მოვხსნათ დურუჯის მიერ დაგროვილი ნატანი და სანაგვეზე მის დაბინავებას წლობით ვახარჯოთ მილიონები, ან გამოვიყენოთ ბუნების ეს კაპრიზი და პრობლემა შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ. რომელს აირჩევდა ამ ორიდან გონიერი ადამიანი, საკამათო არ უნდა იყოს.




**აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას**

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ____________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):

____________

____________

სახელი გვარი ________ ________

ასაკი ________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4. გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა:** info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 10/07/04 17:00

# ვინ არის სისასტიკით ცნობილი ოსი ბოევიკი, რომლის გადაცემასაც კოკოითი ითხოვს

*ქართველი სამართალდამცველებისთვის წაყენებული, კოკოითის ულტიმატუმი ასეთია – მძევლადაყვანილი სამი ქართველი ჯარისკაცის სანაცვლოდ, ის ცნობილ კრიმინალს "მარეკას" ითხოვს.*



*მარეკ დუდაევი დაკავებისას დაიჭრა და იგი საავადმყოფოში მოათავსეს*

დაახლოებით, ორი თვის წინ მცხეთაში ჩატარებული სპეცოპერაციისას უშიშროების სამინისტროს სპეცჯგუფის წევრებმა დააკავეს ცნობილი ოსი ბოევიკი, სისასტიკით სახელგანთქმული ნოდარ დუდაევი - "მარეკა". დაკავებისას მან ქართველ ძალოვანებს ცეცხლი გაუხსნა, საპასუხო სროლისას იგი მძიმედ დაიჭრა. "მარეკა" ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი "მარეკას" ბანდა კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება იყო, რომელიც შიდა ქართლში მოქმედებდა და რომლის სახელსაც რეგიონში მომხდარ დანაშაულებათა უმეტესობასთან აკავშირებენ. შიდა ქართლის რეგიონის სამართალდამცველ სტრუქტურებში "მარეკას" ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობების, ძარცვა-ყაჩაღობების, ადამიანისა და მანქანების გატაცების ფაქტებზე 30-მდე საქმე იყო აღძრული და მათი გახსნა წლების მანძილზე ვერ მოხერხდა.

"მარეკას" მეტსახელით ცნობილი ცხინვალელი კრიმინალი ნოდარ დუდაევი ცხინვალის სოფელ ზემო არცევის მკვიდრია. ცნობილმა ბოევიკმა დაჯგუფება თავდაპირველად სამაჩაბლოს ომის შემდეგ შექმნა და ქართული მოსახლეობის, ძირითადად, ქართველი გვარდიელებისა და ომის სხვა მონაწილეების წინააღმდეგ "პარტიზანულ" თავდასხმებს აწყობდა და შურისძიების მიზნით განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მათ. სწორედ "მარეკას" მიერაა მოკლული გორელი მოჭიდავე გია თენაძე, რომელიც "მარეკამ" სოფლის სასაფლაოზე, მისი მეგობარი ბოევიკის საფლავზე მოკლა. ყველა ქართველი მეომარი მან იგივე მეთოდით გამოასალმა სიცოცხლეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მარეკ დუდაევმა და მისი ჯგუფის წევრებმა გაიტაცეს ცნობილი მოჭიდავის კობა კურტანიძის უცხოური მარკის მანქანა, ხელფეხშეკრული კურტანიძე კი მანქანიდან გადმოაგდეს, რის გამოც, ოლიმპიურმა ჩემპიონმა უმძიმესი ტრავმა მიიღო. "მარეკასა" და მის ჯგუფს ბრალდება გაზაფხულზე თამარაშენში მომხდარი მკვლელობა – მათ სიმონ მინდიაშვილი და მისი სამი ვაჟიშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს.

მოგვიანებით, "მარეკას" ჯგუფმა რეკეტიორობა დაიწყო. ისინი დაბანაკებული იყვნენ ღრომის ხეობაში და აკონტროლებდნენ როკის გვირაბს, ერგნეთში მიმავალი ტვირთიდან სოლიდურ წილს იღებდნენ; აკონტროლებდნენ ერგნეთის ბაზრობასაც; იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდით იყვნენ დაკავებული და გატაცებული მანქანებით ვაჭრობდნენ. წლების მანძილზე თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალიდან მანქანების გატაცებას სწორედ ეს ჯგუფი აწარმოებდა. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ "მარეკამ" შიდა ქართლში საქმიანობა რამდენიმე თვით შეწყვიტა, იმის გამო, რომ რუსეთში გააგრძელა კრიმინალური "მოღვაწეობა", შიდა ქართლის მოსახლეობამ ცოტა ხნით ამოისუნთქა. თუმცა, მხოლოდ რამდენიმე თვით. მარეკ დუდაევის მიმართ საქმე პირველად 1993 წელს აღიძრა, დაპატიმრების სანქციაც გაიცა და ძებნაც გამოცხადდა. იგი ორი წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს, მართალია, შეტყობინება ქართველ სამართალდამცველებს გამოუგზავნეს, მაგრამ ქართველი ძალოვანების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მისი ექსტრადიცია არ მოახდინეს და გაათავისუფლეს, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, მას ჩიბიროვიც მფარველობდა.

კოკოითმა ნოდარ დუდაევს სპეცრაზმის უფროსობა უბოძა და ოს ბოევიკთა სარდალი შიდა ქართლში თავის კრიმინალურ საქმიანობას დაპატიმრებამდე აგრძელებდა.

**"ქართველ ჯარისკაცებს კრიმინალებზე არ ვცვლით,"** - ასეთი კატეგორიული პასუხი გასცა კოკოითს საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

*24 საათი*

# ხლებნიკოვის მკვლელობა შეკვეთილია

ჟურნალ "ფორბსის" რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობისთვის რუსი სამართალდამცველები სამ ეჭვმიტანილს ეძებენ. სულ ეს გახლავთ, რაც მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ რუსეთის გენერალურ პროკურატურასა და მოსკოვის მილიციას საზოგადოებისთვის აქვს სათქმელი.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად მოსკოვის პროკურატურას გადაეცა, გამოძიებაზე კონტროლი კი საკუთარ თავზე თვით გენპროკურორმა ვლადიმერ უსტინოვმა აიღო. როგორც ამბობენ, ამ საქმის გამოძიება, წესით, მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქის პროკურატურას უნდა წარემართა, რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე მოხდა დანაშაული, თუმცა, დედაქალაქის პროკურატურის პრესსამსახურის განცხადებით, მოსკოვის პროკურატურას უფრო დიდი გამოცდილება აქვს შეკვეთილი მკვლელობების გამოძიების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, უკვე ცალსახად შეიძლება საუბარი - სამართალდამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პოლ ხლებნიკოვის მკვლელობა შეკვეთილი იყო.

როგორც ცნობილია, ჟურნალ "ფორბსის" რუსული გამოცემის მთავარ რედაქტორს პოლ ხლებნიკოვს გუშინწინ, საღამოს 10 საათზე მოსკოვში, რედაქციის ოფისის შესასვლელთან ელოდნენ და ოფისიდან გამოსულს ცეცხლი გაუხსნეს. ჟურნალისტმა რამდენიმე ჭრილობა მიიღო და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილას მილიციის თანამშრომლებმა სხვადასხვა კალიბრის რამდენიმე ვაზნა იპოვეს. ეს გამოძიებას საფუძველს აძლევს, ივარაუდოს, რომ თავდამსხმელები სამნი იყვნენ.

სამართალდამცველი ორგანოები მკვლელობის ერთ-ერთ ძირითად ვერსიად ხლებნიკოვის პროფესიულ საქმიანობას განიხილავენ.

რუსული წარმოშობის ამერიკელი პოლ ხლებნიკოვი, უწინარეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც ავტორი გახმაურებული სტატიისა "კრემლის ნათლია", რომელიც ბორის ბერეზოვსკისა და მის მოღვაწეობას ეხებოდა. ბერეზოვსკიმ ამ სტატიის გამო სასამართლოში იჩივლა და პროცესიც მოიგო. თუმცა, მოგვიანებით, ხლებნიკოვმა გამოსცა წიგნი, სახელწოდებით "კრემლის ნათლია. ბორის ბერეზოვსკი და რუსეთის გაძარცვა". ხლებნიკოვი 1963 წელს ნიუ-იორკში დაიბადა. დაამთავრა ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტი და ლონდონის ეკონომიკის სკოლა, სადაც დოქტორის ხარისხი მიიღო. ჟურნალ "ფორბსში" 1989 წელს მივიდა, მუშაობდა უფროსი რედაქტორის თანამდებობაზე, წერდა სტატიებს რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკის შესახებ. აწარმოებდა ჟურნალისტურ გამოძიებას. მიმდინარე წლის აპრილში მოსკოვში ჟურნალ "ფორბსის" რუსულენოვანი ვერსიის გამოშვება დაიწყო, უკვე 1 თვის შემდეგ რუსულმა "ფორბსმა" რუსეთის უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა, რითაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

*24 საათი*

# აფხაზების მიერ გატაცებული ქართველი ინჟინერი თავისუფალია

*გალის რაიონის ტერიტორიიდან აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების მიერ ერთი თვის წინ გატაცებული, "ენგურჰესის" მთავარი ინჟინერი აბესალომ ჯაბუა თავისუფალია. თუმცა, სეპარატისტების ხელში მყოფი ყოფილი მძევლის გათავისუფლების დეტალები არ ხმაურდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ აფხაზურმა მხარემ "ენგურჰესის" მთავარი ინჟინერი გუშინ გაათავისუფლა და ის უკვე საკუთარ ოჯახში იმყოფება.*

შეგახსენებთ, "ენგურჰესის" მთავარი ინჟინერი აბესალომ ჯაბუა, რომელიც გალის ტერიტორიაზე ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის იმყოფებოდა, ნიღბიანმა შეიარაღებულმა აფხაზებმა ორ თანმხლებთან ერთად გაიტაცეს. ჯაბუასთან ერთად გატაცებულები ცოტა ხანში გაათავისუფლეს, "ენგურჰესის" მთავარი ინჟინრის ასავალ-დასავალი კი მთელი ერთი თვის განმავლობაში უცნობი იყო.

რაც ყველაზე მთავარია, აფხაზები ერთი თვის განმავლობაში ირწმუნებოდნენ, რომ აბესალომ ჯაბუას გაუჩინარებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ და არც მისი ადგილსამყოფელის შესახებ იცოდნენ რამე, თუმცა პირობას იძლეოდნენ, რომ გატაცებულის საპოვნელად ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ. **"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გატაცებულის პოვნაში დაგეხმაროთ,"** - აფხაზური მხარის ამ განცხადებით მთავრდებოდა ბოლო ერთი თვის მანძილზე, ტრადიციული, ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრები.

ერთი სიტყვით, "ენგურჰესის" მთავარი ინჟინერი რომ მართლაც სეპარატისტებს ჰყავდათ მძევლობაში, მისი გათავისუფლებითაც დადასტურდა. თუმცა, გათავისუფლების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია. როგორ და რანაირად მოხდა აბესალომ ჯაბუას გათავისუფლება, არც უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი აკონკრეტებს.

**"საქართველოს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებმა გათავისუფლების სპეცოპერაცია უიარაღოდ ჩაატარეს. გამტაცებლები, ჯერჯერობით, დაკავებულნი არ არიან, თუმცა ყველა ის ადამიანი, რომელიც აბესალომ ჯაბუას გატაცებაში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაისჯება,"** - აცხადებს ვანო მერაბიშვილი. მინისტრი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აბესალომ ჯაბუას გათავისუფლებაში მძევლადყოფილის ოჯახმა საკმაოდ სოლიდური გამოსასყიდი გაიღო. მერაბიშვილის განცხადებით, ჯაბუების ხელმოკლე ოჯახს თანხის გადახდა არ შეეძლო. როგორც უშიშროების მინისტრი განმარტავს, ჯაბუა გალის ადგილობრივი პოლიციის ძალისხმევითა და სხვა ადამიანების დახმარებით გაათავისუფლეს. **"ამ ღონისძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს მიუძღვით, რომლებიც მთელი ან ხნის განმავლობაში ოპერატიულად მუშაობდნენ და გატაცების ადგილსამყოფელიც დროულად დაადგინეს. უშიშროების რამდენიმე თანამშრომელი ამის გამო უახლოეს ხანში დაჯილდოვდება. მათი ვინაობა, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ხმაურდება,"** - აცხადებს სპეცოპერაციის შედეგით კმაყოფილი უშიშროების მინისტრი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირეთში დააკავეს თბილისის გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს მიერ ძებნილი ოთარ ბერიაშვილი, რომელმაც 1999 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნული ზარაფხანიდან 11.691 ლარის ღირებულების ოქრო გაიტაცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა ნასამართლევი ჯანგულ გელიტაშვილი, რომლისგანაც ამოღებულია 0.7 გრამი ჰეროინი და 0.028 გრამი ჰეროინის შემცველი სითხე. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის დუშეთის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დამნაშავეთა სამყაროს ე. წ. ავტორიტეტი, სენაკელი, ნასამართლევი, კანდიდ ნანეიშვილი, მეტსახელად „ჯიბილო", რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატი „აკმ" მჭიდით და 24 ვაზნით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის სენაკის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში მცხოვრები მიხეილ წურწუმია, რომლის სახლიდან ამოიღეს უნომრო გადაჭრილი სანადირო თოფი და ნიღაბი. პოლიციამ ასევე დააკავა ამავე სოფელში მცხოვრები, ნასამართლევი პაპუნა უბილავა, რომლის სახლიდან ამოიღეს ნომერწაშლილი პისტოლეტი „ვალტერი" მჭიდით და ხუთი ვაზნით. აღნიშნულ საქმეებს საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები დავით გოგოჭური, რომლის სახლიდან ამოიღეს ხელყუმბარა „ფ-1" და 480 გრამი ნედლი მარიხუანა, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთში გაანადგურეს 10 ძირი კულტივირებული კანაფი. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის დედოფლისწყაროს ქვეგანყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს კრიმინალური დაჯგუფების წევრი, წალენჯიხელი, 27 წლის მანუჩარ ქარდავა, რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატი „აკმ" მჭიდით და 25 ვაზნით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის წალენჯიხის ქვეგანყოფილება. პოლიციამ დააკავა, აგრეთვე, კრიმინალური დაჯგუფების წევრი, სენაკელი, ნასამართლევი, 37 წლის ელგუჯა ბერაია, რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატი „აკმ" მჭიდითა და 14 ვაზნით. კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის, 35 წლის სენაკელის ბესიკ დაიანის სახლიდან ამოიღეს ავტომატი „აკმ" მჭიდითა და 24 ვაზნით. აღნიშნულ საქმეებს საგამოძიებო დეპარტამენტის სენაკის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**




## ტენდერის განაცხადი

**ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის**

ფარგლებში ტარდება კონკურსი საუკეთესო სარეკლამო კომპანიის გამოსავლენად, რომელიც შემდგომში გადაიღებს კლიპს პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მიძღვნილ იქნება ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებისადმი.

**პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები:** ვორლდ ვიჟენ ინტერნეშენალი საქართველოში, ევრიჩაილდი, იუნისეფი, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები.

**პროექტის მიზანი:**

- ჩვილ ბავშვთა მიტოვების თავიდან აცილება მარტოხელა დედების დახმარების გზით;
- ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის ალტერნატიული ფორმების განხორციელება: საკუთარ ოჯახში დაბრუნება, შვილობილობა და შვილობა;
- ბავშვთა სახლებში ჩვილ ბავშვთა რიცხვის შემცირება;
- საზოგადოებასა და ოჯახზე დაფუძნებული ბავშვზე მზრუნველობის ალტერნატული სისტემის შექმნა;
- საზოგადოებაზე დაფუძნებული ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკის განვითარება.

***2003 წლის აპრილიდან დღემდე პროექტის დახმარებით მიტოვებას გადაურჩა 83 ახალშობილი!***

**კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ :**

1.კლიპის სიუჟეტი (1წთ-2წთ), რომელიც ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებისადმი იქნება მიძღვნილი. სამწუხაროდ დღესდღეობით საქართველოში უამრავი შემთხვევაა, როდესაც დედები სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებულნი არიან ბავშვები ბავშვთა სახლებში მოათავსონ. ამ კლიპის მიზანიც სწორედ ის არის, რომ საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ამ პროექტის შესახებ.
2. ბიუჯეტი
3. მასალა, რაც უკვე მათ მიერ შესრულებულია (უმჯობესია ლაზერული დისკის სახით)

შემდეგ ელექტრონულ მისამართზე : teapiad@gol.ge (გთხოვთ მიუთითოთ-ტენდერის განაცხადთან დაკავშირებით) ან წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე : ნუცუბიძის ქ. 3, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, საკონტაქტო პიროვნება-თეა ქუთათელაძე(ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი)

ტელ. : 39 11 49/ 39 86 66

ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადაა 15 აგვისტო, 2004 წ.

# ერთად ვეძებოთ გამოსავალი

ბურამ მაღლაკელიძე

საზოგადოება დიდი ხანია ელოდა "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის" გამოქვეყნებას. ეს განპირობებული იყო არა მარტო საკითხის აქტუალურობით, არამედ პირველ რიგში იმით, თუ რამდენად იქნებოდა მასში ასახული დღევანდელი ხელისუფლების ხედვა. წინასიტყვაობაში, რომელიც სამუშაო ჯგუფის სახელით ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა კონცეფციის ტექსტს წაუმძღვარა ვკითხულობთ: "ხაზგასმით გვსურს მივაპყროთ თქვენი ყურადღება ორ პრინციპულ გარემოებას. წარმოდგენილი კონცეფცია დაწერილია მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ და არანაირად არ არის შეთანხმებული და არც დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან." ამ განცხადებამ საზოგადოებაში გაორებული გრძნობა გამოიწვია. ერთი მხრივ, რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ ავტორებს. მაგრამ, ამავე დროს, სამუშაო ჯგუფში საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონი ივლიანე ხაინდრავას მონაწილეობა ეჭვქვეშ აყენებს ამ დებულებას. ცნობილია ისიც, რომ რესპუბლიკური პარტიის ლიდერები, ბოლო დრომდე მაინც, საკმაოდ აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აფხაზურ მხარესთან. ძნელი დასაჯარებელია, რომ მათი კონტაქტები კერძო ხასიათს ატარებდა და არ იყო შეთანხმებული ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარკვეულ წარმომადგენლებთან მაინც.

**საინტერესოა, კონცეფციის ავტორებმა ეს დოკუმენტი ვისი სახელით წარუდგინეს კონფერენციის მონაწილეებს და აფხაზურ მხარეს - როგორც მათი კერძო ინიციატივა (რაც, რასაკვირველია, ნაკლებად საინტერესო იქნებოდა სეპარატისტებისთვის), თუ მინიშნება იმ ნაბიჯებზე, რაზეც შეიძლება საქართველოს ხელისუფლება წავიდეს.**

სხვათა შორის არც კონცეფციის გამოქვეყნების დრო იყო შემთხვევით შერჩეული (30 ივნისი). ის ემთხვევა სოხუმის ხელისუფლების მიერ 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით, ბიჭვინთაში ორგანიზებულ კონფერენციას - "აფხაზეთი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში", რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტისა და ლონდონის არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" ინიციატივით გაიმართა. როგორც პრესა იუწყებოდა, მასში ამერიკელ, ევროპელ და რუს სპეციალისტებთან ერთად ბატონი პაატა ზაქარეიშვილი და ქალბატონი თინათინ ხიდაშელი ღებულობდნენ მონაწილეობას. საინტერესოა, კონცეფციის ავტორებმა ეს დოკუმენტი ვისი სახელით წარუდგინეს კონფერენციის მონაწილეებს და აფხაზურ მხარეს - როგორც მათი კერძო ინიციატივა (რაც, რასაკვირველია, ნაკლებად საინტერესო იქნებოდა სეპარატისტებისთვის), თუ მინიშნება იმ ნაბიჯებზე, რაზეც შეიძლება საქართველოს ხელისუფლება წავიდეს. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ვისთვისაა მაშინ განკუთვნილი განცხადება, რომ "კონცეფცია... არ არის შეთანხმებული და არც დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან". ალბათ ქართული საზოგადოებისთვის. მაგრამ რატომ დასჭირდათ ავტორებს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია კონცეფციაში არსებული ყველა საეჭვო დებულება გავაანალიზოთ (რასაკვირველია ჩემს აზრს მოგახსენებთ), ამიტომ გთავაზობთ, მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხოთ, დასკვნები კი მკითხველმა გააკეთოს.

როგორც გვამცნობენ, "ძირითადი დოკუმენტი შედგება ხუთი ნაწილისა და ორი დანართისაგან". ავტორებს ჩვენს სამსჯავროზე მხოლოდ მეხუთე, მათი შეხედულებით "ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი" გამოაქვთ. არა მგონია დანარჩენი ოთხი ნაწილის გამოქვეყნება რაიმე სირთულეებთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაშინ რატომ არ დაიბეჭდა? თუ სპეციალური (შიდა) მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მათი ანალიზის გარეშე კი ძნელია ავტორების ტაქტიკურ ამოცანებზე ისაუბრო.

ავიღოთ თუნდაც პირველი ნაწილი. როგორც ირკვევა, ის "შეიცავს ქართულ-აფხაზური პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის მოკლე მიმოხილვას. კერძოდ, გაანალიზებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში...."

რატომ დასჭირდათ კონცეფციის შემქმნელებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მიმოხილვა მხოლოდ მეოცე საუკუნიდან დაეწყოთ? იმიტომ ხომ არა, რომ ხელის ერთი მოსმით შეეჯამებინათ ქართული ისტორიოგრაფიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და განეცხადებინათ: "მხარეები ადასტურებენ, რომ ისტორიულად საქართველო აფხაზთა და ქართველთა მიერ შექმნილი სახელმწიფო და მათი საერთო სამშობლოა, აფხაზეთი კი აფხაზი ხალხის სამშობლო, სადაც აფხაზებთან ერთად საუკუნეთა მანძილზე მუდამ ცხოვრობდნენ ქართველები" ("შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", მუხლი 1). ბიჭვინთის, მოქვის, ლიხნის, ბედიის შემოქმედი ქართველებიც ცხოვრობდნენ თურმე აფხაზების სამშობლოში. რას უნდა ნიშნავდეს სამართლებრივი ხასიათის შეთანხმებაში ამ ისტორიული "აღმოჩენის" დაფიქსირება.

**"შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", ფედერალური შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მათი რეალიზაციის გეგმა არ იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდება.**

მუხლი 2. "მხარეები ეყრდნობიან ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი სახელმწიოებრიობის ტრადიციებს და მათი ურყევი ნებაა, აღადგინონ და განამტკიცონ 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დარღვეული ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირები". იურიდიული დოკუმენტი ორმაგი წაკითხვის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: აფხაზი ხალხის რომელ მრავალსაუკუნებრივ სახელმწიფოებრივ ტრადიციებზეა საუბარი? 1992-1993 წლების კონფლიქტმა კავშირი კი არ დაარღვია, არამედ ერთიან ქართულ კულტურულ, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეს მოსწყვიტა აფხაზეთი.

შესაძლოა ვინმეს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, რადგანაც შეთანხმების მე-3 მუხლში უკვე "აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ერთეულთან" გვაქვს საქმე. გასაგები მიზეზების გამო ავტორებმა არ იზრუნეს ამ ტერმინის განმარტებაზე, რადგანაც ესეც დაახლოებით ისეთი პროდუქტია, რომელსაც მეხუთე თავის მეორე პარაგრაფში გვთავაზობენ: "რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე მივიღებთ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკურ მოდელს". ვერაფერი შეღავათია. ახლა დავუკვირდეთ ფედერალური შეთანხმების "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" პრეამბულას: "სარგებლობენ რა სუვერენული უფლებით დააფუძნონ საერთო სახელმწიფო...." ეგებ კონცეფციის ავტორებმა რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხონ და დაარწმუნონ საზოგადოება, რომ აქ არავითარი საშიშროება ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის არ არსებობს: 1. თუ რეფერენდუმმა კონსტიტუციურ შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა, რას ვაკეთებთ? ექნება თუ არა აფხაზეთს უფლება, ისარგებლოს "სუვერენული უფლებით" და "დააფუძნონ საერთო სახელმწიფო" რუსეთთან ან ეთიოპიასთან? 2. როდესაც საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაზე საუბრობთ, თქვენ აღნიშნავთ, რომ "დეცენტრალიზაციის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება საქართველოს რეგიონებისათვის ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების სტატუსის მინიჭება". საინტერესოა, უნდა გაითვალისწინოს თუ არა კანონმდებლობამ იმის შესაძლებლობა (რასაკვირველია ყარაბახის ომის დასრულების შემდეგ), რომ რეფერენდუმის ჩატარება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებშიც იყოს შესაძლებელი? 3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოლაპარაკების პროცესში ორივე მხარე გაცხადებული პროექტების თუ პოზიციების გარდა იტოვებს კიდევ რაღაცას, რისი დათმობაც შეუძლია შეთანხმების მისაღწევად. აფხაზების პოზიცია ცნობილია და დამერწმუნეთ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში არ შეიცვლება. ითვალისწინებს თუ არა ჩვენი "პოლიტიკური და სამართლებრივი შორსმჭვრეტელობა (რისკენაც დასკვნით ნაწილში მოგვიწოდებთ) კიდევ რაიმეს დათმობას და რა შეიძლება კიდევ დავთმოთ? დაბოლოს, როგორ გგონიათ, დევნილები, რომელთა უმრავლესობაც თქვენი კონცეფციის თანახმად აფხაზეთში ვერ დაბრუნდება, რეფერენდუმზე რას მისცემენ ხმას?

**თუ რეფერენდუმმა კონსტიტუციურ შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა, რას ვაკეთებთ? ექნება თუ არა აფხაზეთს უფლება, ისარგებლოს "სუვერენული უფლებით" და "დააფუძნონ საერთო სახელმწიფო" რუსეთთან ან ეთიოპიასთან?**

ამასთანავე, ვინაიდან გათვალისწინებულია, რომ ამ შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ – "აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეები – საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება და აფხაზეთის ხელისუფლება (შემდგომში – მხარეები)", ხომ არ გახდება ეს დოკუმენტი კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დეიურედ აღიარებისა, ყველა გამომდინარე შედეგით.

როგორც კონცეფციის ავტორები აცხადებენ, დოკუმენტის მეორე ნაწილი ეძღვნება 1994-2003 წლების სამშვიდობო მოლაპარაკებების ანალიზს, ხოლო მესამე ნაწილში იდენტიფიცირებულია კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარე, აგრეთვე მოცემულია მათი ინტერესების პარტიკულარიზაციის და ანალიზის მონახაზი. სუბიექტების სახით წარმოდგენილია როგორც ქართული და დე-ფაქტო აფხაზური ხელისუფლებები და საზოგადოების ცალკეული სეგმენტები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და შესაბამისი სახელმწიფოები. სამწუხაროა, რომ საშუალება არ გვაქვს, გავეცნოთ ავტორთა აზრს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რაც საშუალებას მოგვცემდა, უფრო სრულყოფილად წარმოგვეჩინა მათი დამოკიდებულება ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორიცაა: 1994 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები, დევნილთა დაბრუნება და ქართველების მომავალი "აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ერთეულში", ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უძრავი ქონების შემდგომი ბედი და სხვა. არა მგონია ავტორებს ამ დოკუმენტების გამოქვეყნებაზე უარი სალიკვიდაციოდ გამზადებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს პარტიკულარული ინტერესების გამო ეთქვათ. მაშინ რაშია საქმე, რის ბოლომდე გაშიფვრას ერიდებიან ისინი.

როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება "შეთანხმებას კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", დაიწყება "კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუსტი აღრიცხვა და მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება აფხაზეთში, საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში.... დაბრუნებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიტუაციის სტაბილიზაცია", რასაც პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი დროებითი საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს და გააკონტროლებს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უშუალოდ ვის ხელში იქნება საბჭოს გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, სიტუაციის სტაბილიზაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამის შესახებ "შეთანხმების" ავტორები დუმან. რასაკვირველია - აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ხელში. ვინ განახორციელებს ქართველ "კანონდამრღვევთა" გასამართლებას, რასაკვირველია აფხაზური სასამართლო (არ გაგიკვირდეთ – დოკუმენტში, რომელშიც უამრავი განმარტებითი ქვეთავია, არ ჩაითვალა საჭიროდ გაშუქებულიყო დაბრუნებულ დევნილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები). მკითხველს ვთხოვ, ყურადღებით გააანალიზოს, რასთან გვაქვს საქმე.

პრაქტიკულად ვერც ერთი ქართული ოჯახი, რომლის შვილებმა და ახლო ნათესავებმა პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე (და არამარტო ისინი), ვერ დაბრუნდება აფხაზეთში. თუ არ მეთანხმებით, მაშინ ერთი მაგალითი მაინც მომიყვანეთ იმისა, რომ "დროებითმა საკოორდინაციო საბჭომ" მოსახლეობის უშიშროება უზურუნველყო მსოფლიოს რომელიმე "ცხელ წერტილში". გაიხსენეთ, რა ხდებოდა ყოფილ იუგოსლავიაში, მიუხედავად იმისა, რომ წესრიგის დამყარებას და მოსახლეობის დაცვას იქ ნატო-ს კონტინგენტი უზრუნველყოფდა.

ესმით თუ არა პატივცემულ ექსპერტებს, რომ ოჩამჩირე-გაგრის მონაკვეთზე მცხოვრები 150 ათასი ქართველის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ დაბრუნდება აფხაზეთში? რასაკვირველია ესმით. დაუკვირდით, რა წერია "შეთანხმების" მე-10 მუხლში: "მხარეები აღიარებენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებას თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობით დაბუნებაზე და უზრუნველყოფენ, რომ ამ შეთანხმების ხელმოწერიდან სამი წლის განმავლობაში ერთობლივად (უცხოელი დამკვირვებლების მონაწილეობით და ამ შეთანხმების მე-12 პუნქტით განსაზღვრული დროებითი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობით), უძრავი ქონების რესტიტუციის გათვალისწინებით, განახორციელოს 1992-1993 წლებში შეარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ზუსტი აღრიცხვა და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება აფხაზეთში, მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში". გენიშნათ – "რესტიტუციის გათვალისწინებით". კონცეფციის ავტორებმა იციან, რომ რესტიტუცია ერთადერთი რამაა, რისი იმედიც მეტნაკლებად შეიძლება ქონდეს დევნილთა უმრავლესობას.

ახლა იმათ შესახებ, ვინც შეძლებს აფხაზეთში დაბრუნებას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს დასაყრდენი გახდებიან, ვფიქრობ, ძალიან ცდება. რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, მაინც გეტყვით: ხუთ-ათ წელიწადში ამ ხალხის მესამედი აფხაზებად ჩაეწერება. თუ ჩემი არ გჯერათ, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მაინც დაუჯერეთ: "ცნობილია: საკმარისია რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს განსაკუთრებული უპირატესობა მიანიჭო, რომ ამ ჯგუფის წევრთა რიცხვი მაშინვე იწყებს მატებას" ("საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წელი, 17 აპრილი). აფხაზური მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი აფხაზებად გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ჩაეწერა. მათ შორის ჭავჭავაძეებიც, წერეთლებიც და ჩიქოვანებიც.

**რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, მაინც გეტყვით: ხუთ-ათ წელიწადში ამ ხალხის მესამედი აფხაზებად ჩაეწერება. თუ ჩემი არ გჯერათ, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მაინც დაუჯერეთ: "ცნობილია: საკმარისია რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს განსაკუთრებული უპირატესობა მიანიჭო, რომ ამ ჯგუფის წევრთა რიცხვი მაშინვე იწყებს მატებას".**

რამდენიმე მოსაზრება რესტიტუციის შესახებ. შეთანხმების მე-13 მუხლში ვკითხულობთ: "საბჭო ამტკიცებს ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული "ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უძრავ ქონებაზე რესტიტუციის მოთხოვნების განხილვისა და გადაწყვეტის წესების" საბოლოო ტექსტს და მის საფუძველზე უზრუნველყოფს უძრავი ქონების რესტიტუციის მოთხოვნების განხილვას, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მტკიცებულებათა შეკრებას, მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებას, გადაწყვეტილებათა გავრცელებასა და გამოქვეყნებას, გადაწყვეტილებათა აღსრულებას და აღსრულებაზე ზედამხედველობას".

გაუგებარია - თუ საერთო სახელმწიფოს ვაფუძნებთ, ერთიანი სამართლებრივი სივრცით, რატომ უნდა გადაეცეს რესტიტუციის საკითხების მოგვარება ბოლომდე გაურკვეველი უფლებამოსილების მქონე საკოორდინაციო საბჭოს და მის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებს. ხომ არ არის ეს იმის მცდელობაც, რომ სახელმწიფომ მოიხსნას პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით. განვიხილოთ კონცეფციის ქვეთავი. "უძრავი ქონების რესტიტუციის საკითხები". დევნილებს უფლება ექნებათ კომისიას მიმართონ მოთხოვნით: "(ა) უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტული უძრავი ქონების მიმართ მისი საკუთრების უფლების განხორციელება ამ ქონების მფლობელობაში დაბრუნების გზით (რესტიტუცია)", რაც, დამერწმუნეთ, დიდი იშვიათობა იქნება; "(ბ) მხოლოდ დადასტურებულ იქნეს მისი უფლება უძრავ ქონებაზე, რაც განმცხადებლს მისცემს საშუალებას თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ეს უფლება". თუ მესაკუთრეს თავისი ქონება მფლობელობაში არ დაუბრუნდა, ალბათ გვესმის, როგორ შეძლებს ის აფხაზურ სამართლებრივ სივრცეში ამ უფლების თავის შეხედულებისამებრ გამოყენებას. "(გ) მოცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადასცეს თავად კომისიას ან მესამე პირს განმცხადებლის მიერ ხელსაყრელი ფულადი კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ". როგორ მოგწონთ, საკუთრების უფლება გადაეცეს კომისიას! წარმოიდგინეთ, რა მასშტაბის კორუფციასთან გვექნება საქმე და როგორ გაყვლეფენ დევნილებს. ეგებ გაგვარკვიონ, ვინ იღებს პასუხისმგებლობას და რატომ არ უნდა იყოს სახელმწიფო ამ პროცესების გარანტი. კონცეფციის ავტორებმა ისიც შესანიშნავად იციან, რომ ახლადშექმნილ "საერთო სახელმწიფოში", დევნილები ვერ შეძლებენ (აფხაზეთში) დაბრუნებას, ამიტომ საკუთარ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების "უფრო ადვილად მოსაგვარებლად" კომისია ადგილობრივ ოფისებს საქართველოშიც გახსნის და სხვა ქვეყნებშიც. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, გასაგებია, რატომ მოხვდა ეს ქვეთავი სწორედ კონცეფციის მეოთხე თავში, სადაც საუბარია აფხაზი მოსახლეობისათვის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხო განვითარების დამატებითი გარანტიების შემუშავების აუცილებლობის შესახებ, "არა მხოლოდ საყოველთაო სავალდებულო სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით."

ვფიქრობ, წარმოდგენილ დოკუმენტს კონცეპტუალური გადამუშავება სჭირდება შემდეგი გარემოებების გამო: 1. "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", ფედერალური შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მათი რეალიზაციის გეგმა არ იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდება და მისი შემადგენელი ნაწილი იქნება, ხოლო ამ გეგმის ჩავარდნამ შეიძლება სამართლებრივად საბოლოოდ მოსწყვიტოს აფხაზეთი საქართველოს; 2. აღნიშნული შეთანხმებები არ უზრუნველყოფენ დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას და მის უსაფრთხოებას აფხაზეთში; 3. ფედერალურ ხელშეკრულებაში ჩადებული ნორმები ვერ გახდება აფხაზეთის ერთიან ქართულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჩართვის საფუძველი.

ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ, მიუხედავად გამოთქმული შენიშვნებისა, ნაშრომში ჩამოყალიბებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები დებულებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

6 ივლისს, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში "ეთნოკონფლიქტები და ქართული არასამთავრობო სექტორი" ბატონი დავით დარჩიაშვილი, მიმოიხილავს რა ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის ოთხ ძირეულ პრობლემასა და ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს, სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ: "როგორც ოსურ, ისე აფხაზურ საზოგადოებაში ღრმადაა გამჯდარი ხიფათის განცდა. მათთვის ამ ხიფათს მოსალოდნელი ქართული აგრესიის სახე აქვს. ქართულ საზოგადოებაში კი ფართოდაა გავრცელებული რწმენა, რომ აფხაზებსა და ოსებს სურთ არა საკუთარი თავის "თავადვე ყუდნების" პრინციპის რეალიზება, არამედ უცხო ძალის დახმარებით ქართველთა ანალოგიური უფლების ხელყოფა". რაც შეეხება "თავადვე ყუდნების" საკითხს, ეს მართლაც ძალზე აქტუალური და საინტერესო თემაა, რომელიც დღემდე არ ყოფილა ქართველი ექსპერტების სერიოზული განსჯის საგანი, ხოლო რაც შეეხება "შიშს", დამერწმუნეთ, ის რაზეც ზემოთ მოგახსენებდით, შიშით არ არის განპირობებული. ესაა სურვილი, გავაანალიზოთ ჩვენ მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა და საზოგადოებასთან ერთად ვეძებოთ გამოსავალი, რათა კვლავ ისტორიის წუმპეში არ აღმოვჩნდეთ

## პირველი ვიოლინო



B2

## დიდი ამადეო და შეყვარებული ჟანა



B3

## რეჰაგელი საბერძნეთში რჩება



B4

ნოდარ ლადარია

შოთა რუსთაველის ფრესკა დააზიანეს! — თავზარდამცემი ამბავი გვაუწყა "24 საათმა" 5 ივლისს. და თუმცა წინადღით ეს ინფორმაცია უკვე გავრცელდა ტელევიზიის მეშვეობით, ვანდალური ნამოქმედარის ფოტოებმა მაინც ძლიერი და დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა. მოვლენისადმი მიძღვნილ ტექსტში კი წავიკითხეთ: "**შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურების შემდეგ ჩვენ მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, იმის შიშით, რომ ურთიერთობები არ გაგვიფუჭდეს, — განაცხადეს გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში**".

როგორც ეტყობა, ემოციები იმდენად ძლიერი იყო, რომ მასალიდან ვერაფრით ვერ გავარკვევთ, როდის აღმოაჩინეს ფრესკის დაზიანება, ვინ აღმოაჩინა, როგორ გავრცელდა ინ-



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ–ფოსტით: nladaria@24hours.ge

ფორმაცია და, რაც მთავარია, სახელდობრ ვისთან აღარ დაგვრჩა რაიმე მოსარიდებელი. ეს ბოლო შეკითხვა განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა: საბერძნეთის საელჩოს წინ მალევე ჯოხის ცხენზე აფოფხდნენ პატრიოტულად აქტიური ქართველები და რიტორიკული შეკითხვა დასვეს: *ვინ აგებს პასუხს?* (**ნინო ბერელიძე**, 7 ივლისი).

ნუთუ ასე ძნელია პასუხის გაცემა ამ კითხვაზე? იქ, საბერძნეთის საელჩოს წინ შეკრებილებს მაინც ხომ უსწავლიათ რეფორმამდელ სკოლაში ჰაგიოგრაფია, იმათ მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ შეთვისებული მისი უღრმესი და უპირველესი აზრი, სული და არა წიგნი? განა ძნელი იყო ჯოხცხენაზე ამხედრებამდე ჩვენს სათაყვანებელ ტექსტებში მოგვეძებნა პასუხი? — მაგალითად, ასეთი:

**ესე ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულისა ... არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენს ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისხმა ვყავთ, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა. ამისთვისცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდმონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა ზედა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ: "ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათვის იქმნნეს, არცა ღმრთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რათამე ჟამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა".**

რას ერჩით განათლების სამინისტროს: მართლაც ცუდად ისწავლება ჩვენს სკოლაში ძველი ტექსტები. და თუმცა ციტირებული ადგილი დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდანაა, ამ სულისკვეთებით ყველა სხვა ჰაგიოგრაფიული ტექსტიცაა გამსჭვალული.

და მაინც, ვის აკისრია პასუხისმგებლობა? — ასეთი ალბათ ბევრია და ერთ-ერთი მათგანი მეც ვარ.

მეც ვარ, რადგან მხოლოდ ჩემი ყოველკვირეული პუბლიკაციებით ვიფარგლებოდი და იქ თითო-ოროლა მწარე აბზაცს თუ ვიმეტებდი, როცა ჩვენი ხორციელი და სულიერი ძმები გორში ქართველ კათოლიკეთა ყოფილ ეკლესიაში ფრესკებს ფხეკდნენ. მაშინ კი არაფერი მითქვამს, როცა გავიგე როგორ დაასხეს ბეტონი მართლმადიდებელმა ქართველებმა მესხეთის სოფლებში ფრანცისკელებისა და კაპუცინების საუკუნეთა წინანდელ საფლავებს — არა, კი არ დავეთანხმე, უბრალოდ, დამეზარა. უფრო ადრე კი, სასულიერო აკადემიაში სწავლისას, მართალია, მოვაწერე ხელი საპროტესტო წერილს, როცა ჩვენი სულიერი ძმები კათოლიკეთა კუთვნილ ტაძრებში შედიოდნენ, მაგრამ თითი დამიქნიეს და გავჩუმდი. აბა, განსაჯეთ: განა არა ვარ დამნაშავე?

თქვენ კი სად იყავით, ჯოხცხენაზე ამხედრებულო ბიჭებო, როცა ჩვენი თანამემამულეები სომხურ ბიბლიებს წვავდნენ ცეცხლში, ქართველ ევანგელისტებს უვარდებოდნენ სალოცავ სახლებში, ან ჩვენივე სისხლზე და ხორცზე ამბობდნენ, აეროპორტის საფრენ ბილიკზე უნდა დავასახლოთ, აქედან მალე რომ აითესონო? ვიცი, ზოგიერთებს არ მოგწონდათ ეს და ჩუმადაც ჰკიცხავდით — ძალიან ჩუმად! ზოგიერთებს კი ძალიანაც მოგწონდათ. იქნებ მართლა გგონიათ, რომ ქართველი ერი უფრო გამთლიანდება და განმტკიცდება, თუ საქართველოში მხოლოდ მართლმადიდებლები იცხოვრებენ და მხოლოდ მართლმადიდებელთა წარსულის ისტორიული კვალი დარჩება? — იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ისურვებდა კი ამგვარ ქვეყანაში ცხოვრებას შოთა რუსთაველი, თუ უთვალავ ფერთაგან ერთადერთი დარჩებოდა? ჰოდა, წაგვართვა კიდეც თავისი სანუკვარი სახე.

მაგრამ ოდნავ ღრმად შევიდეთ კონკრეტული ფაქტების მორევში. 9 ივლისს, ბოლოს და ბოლოს გავიგეთ, ვინ აღმოაჩინა ფრესკის დაზიანება: ეს აღმოჩენა 3 ივლისს მოხდა, როცა ისრაელში საქართველოს ელჩის მეუღლე, **მზია მარსაგიშვილი** ჯვრის მონასტერში შევიდა. 9 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია მისი მოწმობა: *რუსთაველის ფრესკასთან...*

ტექსტში ორი მომენტი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ჯერ ერთი, უმართებულო და ფაქტობრივი კონტექსტის გათვალისწინებით სრულიად დაუშვებელი მოხსენიება: "**... ბერძნული საპატრიარქოს ეზოში ...**". ეს "ბერძნული" კი არა, **იერუსალიმის საპატრიარქოა** და ბერძნების მიმართ რაღაც განსაკუთრებული გრძნობების გამოწვევა ნამდვილად არაა სამართლიანი.

მეორე მხრივ, ჯვრის მონასტრის იღუმენი კლაუდიოსი გამოყვანილია როგორც ქართველთა მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი პიროვნება. ახლა არ მოვყვები იმას, რომ ეს ჯერ უნდა გამოკვლეულ იქნეს — ეს თავისთავად ცხადია. მე სხვა რამ მაინტერესებს: თუ ეს კაცი მართლაც ასე დაავადებულია "გეორგოფობიით" (ქართველთმოძულეობას ვგულისხმობ), რომ ფრესკებს ფხეკს, შეწირულ ჯვრებს მალავს, ქართველ ტურისტებს ტაძარში არ უშვებს, რა შუაშია საპროტესტო აქცია საბერძნეთის საელჩოსთან?

ისრაელში საქართველოს ელჩის (მისი სახელი ვერ ვიპოვე გაზეთში) მეუღლე მზია მარსაგიშვილი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას ასახელებს: იღუმენ კლაუდიოსს. თუმცა შიგადაშიგ ასეთი ფრაზებიც გვხვდება: "**ვის სჭირდება ასეთი ტყუილი? ალბათ იმას, ვინც დამნაშავეა, ვისაც საქმის ჩაფარცხვა აძლევს ხელს**", — ვინაა ეს იდუმალი? ან კიდევ: "**2003 წლის ოქტომბრიდან ურთიერთობა ისევ დაიძაბა**" — ვისსა და ვის შორის ურთიერთობა? ამაზე პასუხი ტექსტიდან არ ჩანს. საქმეში რამდენიმე სუბიექტია ჩარეული: იერუსალიმის საპატრიარქო, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს საელჩო ისრაელში, ისრაელის მთავრობა და კიდევ ვინ იცის. რომელ ურთიერთობებს გულისხმობს ელჩის მეუღლე? ამგვარ სუბიექტებს შორის "ურთიერთობის დაძაბვა" სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა და ფიქსირდება, და არა "ეზოში არსებული" ისტორიული არტეფაქტების მდგომარეობიდან. ეს უკანასკნელი ფაქტები მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ მეტყველებს, სანამ სხვანაირად არაა დამტკიცებული მათი კავშირი გარეგან ფაქტორებთან.

სტატიის ტექსტიდან მხოლოდ ერთი რამ ირკვევა დანამდვილებით: დაზიანებულია მხოლოდ რუსთაველის ფრესკა და მეტი არაფერი. ეს, თავისთავად, მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამის მომდევნო თხრობა მთლიანად ეძღვნება კლაუდიოსისა და მისი ტყუილების მხილებას. ეს კი უკვე ელჩის მეუღლის კომპეტენციას სცილდება, რადგან საქმე ძალიან სერიოზული და ფეთქებადია.

სულაც არ ვგულისხმობ იმას, რომ "ვილაცასთან ურთიერთობა გაგვიფუჭდება" — უბრალოდ, ჩვენ თვითონ ჩავვარდებით მოუთოკავ ვნებათა ტყვეობაში და მწერალ-პოეტობაც ვერ გვიხსნის ქალაქის ცენტრში ჯოხცხენაზე ამხედრებისგან.

ეს კი შეიძლება უმსგავსოდ დამთავრდეს. 8 ივლისს **დალი კუპრავას** სტატიაში სათაურით *პასუხი არ ისმის* სწორედ ასეთი შემთხვევაა აღწერილი: საბერძნეთის საელჩოში პირად საქმეზე მისული ექიმი, ვინმე შამანიდი სიტუაციაში ვერ გარკვეულა (ძნელი კი იქნებოდა გარკვევა!) და აქციის მონაწილეებს შეეკამათა. მართალია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ სტატიაში ვკითხულობთ: "**რაზმაძის ქუჩელებმა სოლოლაკისკენ გზა დაულოცეს და მერე დიდხანს იმეორებდნენ, — უბნურ ვარიანტში ის კაცი საცემი იყოო**".

ეჰ, ექიმი შამანიდი კი გადარჩა "უბნურ ვარიანტს", მაგრამ რუსთაველის ფრესკის საქმე სწორედ რომ უბნურ ვარიანტში ირჩევა ჩვენი საზოგადოების მიერ.

აი, 9 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული პატარა ტექსტი, რომელსაც ხელს აწერს **თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სახელით — რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი**. შთამბეჭდავია, ვერაფერს იტყვი! მაგრამ რა წერია ტექსტში? — ის წარმოადგენს ღია წერილს, რომელიც მიმართავს "**იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტს, ყველა მეგობარ უნივერსიტეტს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს**". გარდა ამისა, როგორც თვით ტექსტშია დამატებული, "**ყველას, ვისთვისაც ნათელია მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მნიშვნელობა ერთა თვითგამორკვევისა და თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული დამკვიდრებისათვის**". ნუთუ ჯერ კიდევ "ერთა თვითგამორკვევას" ასწავლიან ჩვენს უნივერსიტეტებში — ამ ტერმინს ხომ სტალინის რედაქტირებული "პარტისტორიის მოკლე კურსის" დამპალი სუნი უდის. კიდევ კარგი "ნაციონალნი ვოპროსი" არ გაიხსენეს — ნეტა ინგლისურად რა სახე აქვს ამ ტექსტს? ქართველებს რაც შეგვეხება, "თვითგამორკვეულნი" უკვე კარგა ხანია ვართ, აზრზე მოსვლაღა გვაკლია. და კიდევ: ნეტა როგორ შეიძლება "არათანამედროვე" საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული დამკვიდრება? მაგრამ ხომ უნდა დაგვიმტკიცოს რექტორატმა (ისედაც ცხადია, რომ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ამ გაგანია ზაფხულში ამ ტექსტთან არავითარ კავშირში არ არიან), რომ ისიც თანამედროვეა — აწუხებთ ეს, ძალიან აწუხებთ, ჰოდა, მიაწერეს ზედმეტი სიტყვა.

რას ითხოვს წერილი მისი მრავალრიცხოვანი ადრესატებისაგან? — "**მხარი დაუჭიროს ჯვრის მონასტრის საქართველოს იურისდიქციაში გადმოცემას**". ალბათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია იგულისხმება, მაგრამ რა შუაშია აქ უნივერსიტეტები — გინდ ჩვენი, გინდ სხვისი? საერთოდ, ამ იურისდიქციების გარშემო ძალიან ბნელი მდგომარეობა სუფევს...

9 ივლისის "24 საათი" აქვეყნებს ვრცელ სტატიას: *ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული ურთიერთობების გაშლა-გაღრმავების აქტუალური საკითხები*. ასეთი სათაური უფრო მონოგრაფიას შეეფერება და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორიც შესაბამისი ჰყავს. ეს პროფესორი **ჯემშიდ გიუნაშვილია**, რომლის შესახებ გაზეთი სხვათა და სხვათა მრავალთა შორის გვამცნობს: "**1994 წლის ოქტომბრიდან 2004 წლის 28 აპრილამდე ასრულებდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას**". როგორც ვთქვი, გაზეთი ბევრ სხვასაც მოგვითხრობს სტატიის ავტორის შესახებ, მაგრამ შეიძლება ცოტა რამ ჩვენც დავამატოთ...

ამისათვის რუსულენოვან ინტერნეტში და მათ შორის მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ საიტზე შესვლა მოგვიხდება. აქ გავიგებთ, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ირანში მოღვაწეობდა **აკაკი ხოშტარია** — ღვინის მეწარმე და მდიდარი კაცი. საინტერესოა, რატომ უნდა ფიქრობდნენ, რომ პარიზში გარდაცვლილი ქართველი უნდა ყოფილიყო "пионер русского дела в Персии" (იხ. http://religion.rin.ru/cgi-bin/religion/about.pl?idn=56908&id=). მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაზე საშინელი რამ. აკაკი ხოშტარიამ მეუღლე ირანში დაკრძალა, მის საფლავთან კი ეკლესია ააშენა, რომელიც თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის შემცირებული ასლია. ეს შენობა, რომელიც ათწლეულთა განმავლობაში დაკეტილი იყო, ქართულ ეკლესიად მიიჩნეოდა, თუმცა კი გარკვეულ პრეტენზიას მასზე ყოველთვის აცხადებდა მოსკოვის საპატრიარქო. და აი, საქართველოს პრეზიდენტის ირანში ვიზიტის წინ რუსულენოვან ინტერნეტში ჩნდება ინფორმაცია, რომ თავისი ელჩობის მიწურულს, ჯემშიდ გიუნაშვილმა მოიწვია რუსეთის ელჩი და ოფიციალურად გააფორმა აკაკი ხოშტარიას მიერ აშენებული ტაძრის გადაცემა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში. ახლა იქ იღუმენი **ალექსანდრე ზარკაშევი** სწირავს...

რატომ უნდა ვიგებდეთ ჩვენ ამას ინტერნეტიდან და თანაც ასე გვიან? იქნებ ირანში საქართველოს საელჩოს მოღვაწეობის ეს გრძელი და მოსაწყენი ანგარიში სწორედ ამ უცნობი ფაქტის გამოქვეყნებას ეხმაურება და ამიტომაც გვამცნობს საკანცელარიო სტილით: "**საელჩოს მიერ მეცნიერებისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა ღონისძიებაში და გამოქვეყნებულ მასალაში ამა თუ იმ სახით ყოველთვის იყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის პრობლემატიკა**". ესეც შენი ისტორია და გეოგრაფია!

სხვაგანაც დიპლომატიური და სამართლებრივი სივრცე ისეა გამრუდებული, ლობაჩევსკისაც არ დაესიზმრებოდა! 8 ივლისს, როგორც იქნა, გამოვაქვეყნეთ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილის, **გეორგ ლემოპულოსის** ინტერვიუ. რატომ ასე გვიან (იგი უკვე რამდენიმე დღის წასული იყო თბილისიდან)? რესპონდენტისკენ გზას გვილობავდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანამშრომელი, დოქტორი **თამარ გრძელიძე**. ვიზიტის განმავლობაში არც ერთი კორესპონდენტი არ გააკარა ლემოპულოსს და ჩვენი მეგობრის, **ლევან აბაშიძის** დახმარება დაგვჭირდა. უფრო მეტიც, როცა ტელევიზიის მეშვეობით გაცხადდა, რომ ოქონის ღვთისმშობლის ხატის საქართველოში დასაბრუნებლად სასამართლო და სატრანსპორტო ხარჯები ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ გაიღო, თამარ გრძელიძემ საყვედური გამოთქვა: საქართველოს საპატრიარქოში მთხოვეს, ეს ამბავი დამემალა და თქვენ კი ხმამაღლა ამბობთო. აი, თურმე რას ნიშნავს სახარებაში ნათქვამი: "**ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი**". ჩვენ კი აქამდე არ გვესმოდა ეს ადგილი!

დიახ, ჟურნალისტებს უნდა აინტერესებდეთ საგანთა და მოვლენათა დაფარული მხარეები. მაშინაც კი, როცა ამისთვის დიდი შრომის დახარჯვაა საჭირო. არა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ სრულიად უინტერესონი არიან: მაგალითად, 6 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე გახლდით. მერე ყველას აინტერესებდა, რა გვითხრა **მიხეილ სააკაშვილმა** დახურულ კარს მიღმა. ახლა უნდა დავაკმაყოფილო კოლეგების ცნობისმოყვარეობა: არაფერი განსაკუთრებული — დახურული კარი კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ცოცხალ ადამიანთან ცოცხალი საუბარი გამოსულიყო. ყველაზე მნიშვნელოვანი პრეზიდენტმა მანამდე თქვა, სანამ პრესა დარბაზს დატოვებდა.

ამ მნიშვნელოვანი სიტყვების არსი კი შემდეგი იყო:

უსათუოდ უნდა ამაღლდეს მედიაში დისკუსიის დონე; როდემდე უნდა ვისმინოთ დავა იმის გარშემო, გადარჩება თუ არა საქართველო?!

განა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ იარაღი მოსახლეობას არ დაურიგდება და თუ საჭირო შეიქნება, ჯარი იბრძოლებს, იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო გადარჩენილია? განა ამას ბევრი ფიქრი სჭირდება?

ჰოდა, ბიჭებო, ჩამოდით ჯოხცხენიდან, იქნებ თქვენს თავებშიც უფრო ადვილად შეაღწიოს ამ მარტივმა აზრმა...




საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



სვეტი

# დიმასთან მიმაგრებაში



ზაალ სამადაშვილი

დიმა ვინახულოთ მიმაგრებაშიო, ლიოხამ რომ მითხრა, სოხუმს გამომცდარები ვიყავით. გაგრიდან მოვდიოდით, პალცკარტით. მაგარი დავიდარაბა გვქონდა გადატანილი. ვისთან და სად არ გვიჩხუბია მე და ლიოხას, მაგრამ "პრავადნიკებს" და თანაც გაქანებული მატარებლის სახელურებზე ჩამოკონწიალებულებმა, პირველად ვურტყით. გადაგვაგდეს ახვრებმა. ჯერ შეგვპირდნენ, თუმნად ჩაგიყვანთ თბილისამდეო და მერე, მატარებელი რომ დაიძრა, ცხვირწინ მოგვიხურეს კარი. იდიოტები. სანამ ცხვირ-პირი არ გავუერთიანეთ, ვერ მიხვდნენ, რომ ტამბურის ჩამტვრეულ ფანჯარას მოცილებოდნენ. სომხები იყვნენ, "მოსკოვი-ერევნის" ბრიგადა.

დიმა რა კაციც იყო, მარტო ლიოხასგან არ ვიცოდი. იმდენი ამბავი მქონდა მოსმენილი მის შესახებ, რომ უნახავადაც მყავდა წარმოდგენილი როგორი უნდა ყოფილიყო. მაშინ რომ რომანები მიყვარდა, სათავგადასავლოები, იმ რომანების გმირების ბიოგრაფია ჰქონდა. საფრანგეთში იყო დაბადებული და ყოველ დაჭერაზე, თბილისელ თუ მაგადანელ ჩეკისტებს კრუნჩხვა ემართებოდათ ოქმის შევსებისას დაბადების ადგილის გასწვრივ პარიზის დაწერა რომ უწევდათ.

დიმას ნახვა გინდა გარეთ და გინდა მიმაგრებაში იოლი არ გახლდათ. გარეთ დღეში ასი კაცი აკითხავდა მეგობრების გარდა – ვინ თავის კაიბიჭობის დასადასტურებლად, ვინ კიდევ სამართლის საძიებლად. მიმაგრებაში ამ ხალხის რიცხვი კი კლებულობდა, მაგრამ შერბილებული ფორმის მიუხედავად ეს მაინც პატიმრობა იყო და პატიმრის ნახვას, შენ რომ მოგინდება მაშინ, რეჟიმი კრძალავს.

მატარებლიდან ზუგდიდთან ახლოს, ინგირში ჩამოვხტით. ზუგდიდში ერთი კი არა, ათი ნაცნობი რომ შეხვედროდა ლიოხას, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ამ პატარა დაბაში ფეხის დადგმისთანავე ვიღაცას რომ გადაეხვია – პირი დავაღე. ის ვიღაცა ჩვენზე გაცილებით უფროსი, სქელკისერა და სქელმკლავებიანი კაცი, სადგურის უფროსი აღმოჩნდა, ყოფილი ძიუდოისტი. ესეც საკვირველი იყო – ყველა ყოფილი სპორტსმენი მილიციაში მუშაობისთვის იკლავდა თავს. რომ გაიგო სადაც მივდიოდით, მიატოვა სადგური, "ტავარნებს" უჩემოდაც გაატარებენო, ჩაგვსხა თავის გაწკრიალებულ მოსკვიჩ –412"-ში და დავადექით ჯვარზენისკენ მიმავალ გზას.

პირველად მივდიოდი ზღვიდან მთაში. აქამდე სულ პირიქით ხდებოდა. ივლისის პირველი რიცხვებიდან მთათუშეთში ასული, აგვისტომდე მოვიცლევდი ხოლმე დღეობებს – ვიჯერებდი გულს სოფელ-სოფელ ხეტიალით, ლუდის სმით, ცხენის ჭენებით, მოვინატრებდი რუსი და არა მხოლოდ რუსი გოგოების მზით გარუჯულ სხეულებს და ომალოდან ჯერ თელავის და მერე თბილისის გავლით პირდაპირ ლიძავის პლაჟზე ვჩნდებოდი. ეხლა სადაც უნდა აღმოვჩენილიყავი დაახლოებით ვიცოდი. მინდოდა რომელია, მეამაყებოდა იქ მოხვედრა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს და რაც უფრო ვუახლოვდებოდით იმ ადგილს, სადაც დიმა უნდა გვენახა, სულ უფრო გაჩქარებულად მიცემდა გული.

ერთმანეთის გასწვრივ ჩადგმული რამდენიმე გრძელი ბარაკი, მავთულხლართების ღობე და საყარაულო ჯიხურთან მდგარი ოთხი თუ ხუთი ავტომატიანი ჯარისკაცი ისე უხდებოდა მთიან სამეგრელოს პეიზაჟს, როგორც კომკავშირის სამკერდე ნიშანი ჩოხა-ახალუხს. თუმცა, ზონა ზონაა და არა მგონია, თვალუწვდენელ, გადახრიოკებულ ტრამალზეც კი ვინმეს სტაცებდეს თვალს.

ლიოხასთვის აკრძალვები რომ არ არსებობდა, იმ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ოფიცერმა, რომელმაც ჩვენს ინგირელ მეგზურს არათუ მიმაგრებაში შეშვებაზე, არამედ იმაზეც კი უთხრა უარი, დიმასთვის შეეტყობინებინათ ვინ იყო მასთან მოსული, ლიოხასთან სულ რაღაც ხუთწუთიანი დალაპარაკების შემდეგ, ლამის ბარაკამდე მიგვაცილა.

დიმას ოთახი - კამერა იმას არ ეთქმოდა, ისე იყო მოწყობილი – რკინის სამი საწოლით, ორი ტუმბოთი და სკამებშემოწყობილი მაგიდით – გრძელი ჩაბნელებული დერეფნის ბოლოს აღმოჩნდა. ლიოხამ დაუკაკუნებლად შეაღო კარი. მე მის ზურგსუკან ავიტუზე. ოთახის პატრონი იწვა და კითხულობდა. სახეს გაშლილი ჟურნალი უფარავდა. "მნათობი" – ამოვიკითხე გარეკანზე. რაკი ხმაურზე არ გატოკებულა, დიმიტრიო, ხმადაბლა დაუძახა ლიოხამ...

ნახევარი საათის შემდეგ ვინმეს რომ ეკითხა, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება რამ მოახდინა შენს ცხოვრებაშიო, უყოყმანოდ ვუპასუხებდი – დიმიტრისთან შეხვედრამ-მეთქი. დიმიტრი და არა დიმა. სახელი შეუმოკლებლად უფრო უხდებოდა ამ მაღალ, ფერმკრთალ კაცს, რომლის მოგრძო, ოდნავ წინწამოწეული ნიკაპი ძლიერ ნებისყოფას, ხოლო გრძელი, მშვიდი თითები არისტოკრატულ წარმომავლობას უსვამდა ხაზს. ლაპარაკობდა ხმადაბლა, ყოველგვარი ჟესტიკულაციის გარეშე. ერთი შეხედვით, ისეთს არაფერს ამბობდა, რაც სხვებისგან მოსმენილი არ მქონდა, მაგრამ ნებისმიერი ცნობილი მოსაზრება ან შეფასება მისგან მაინც ახლებურად და უჩვეულოდ ჟღერდა. სიახლის შეგრძნებას დამაჯერებლობა იწვევდა – მისი ყოველი სიტყვის მიღმა რაღაც ისტორია, რაღაც მოვლენა იმალებოდა, რომლის მთავარი გმირი თუ არა, რიგითი მონაწილე თავად იყო.

რას კითხულობდიო, ჰკითხა ლიოხამ. ამჟამად ცნობილი ქართველი მწერლის, ლამის ცოცხალი კლასიკოსის, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი რომანი დაგვისახელა. მაშინ არც იმ მწერალს იცნობდა ვინმე და არც იმ რომანს. დიმამ რომანიც აქო და ერთ-ერთ პერსონაჟზეც ილაპარაკა ცოტა ხანს – არტისტიზმით აღსავსე მეამბოხეზე, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს ცხოვრებას. კარგი მწერალია, სენტიმენტალურობა რომ არ ჰქონდეს შეყრილიო, თქვა ლიოხამ, რაზეც დიმამ უპასუხა, სწორედ სენტიმენტალურობა ასხვავებს ადამიანს მხეცისგანო...

მოსაღამოებულზე, მიმაგრებიდან შორს, ტყისპირა ფაცხაში ამოვყავით თავი. ნაღდ მეგრულ ქოხში, სადაც შებოლილი ლორით, რძიანი სულგუნებით და ღომით გაგვიმასპინძლდნენ, ჩვენთან ერთად ორი პლეხანოველიც იყო. ისინი ნაშუადღევს ამოვიდნენ, საქმე ჰქონდათ. დიმა მათ გარეთ, საყარაულო ჯიხურთან, მანქანაში ელაპარაკა და იმ მანქანითვე წავედით ფაცხაში. პლეხანოველები შეფიქრიანებულები ჩანდნენ დიმასთან ლაპარაკის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი სულ იმეორებდა თავისთვის, - აშიბკები, პავლუშ, აშიბკები... პალიკო ერქვა და რუსულად ასე მოიხსენიებდა თავს. მაგარ კაეფებში იყვნენ ორივე...

კონიაკს ვსვამდით. დიმა ცოტ-ცოტას წრუპავდა. მე და ლიოხა ბოლომდე ვცლიდით შუამდე შევსებულ ნათალ ჭიქებს. დიმა ლიძავის ამბებს აყოლებდა ლიოხას; ისიც დაუზარებლად ჰყვებოდა, როგორ დაუჩეხა ორი თუ სამი კუბომეტრი შეშა აგვისტოს ხვატში კონსტანტინე გამსახურდიას და როგორ დაასაჩუქრა მან ამის გამო ერთი ღერი "პელ მელით", როგორ გვიმართავდა ხელს გაჭირვებისას ცნობილი ფოტოგრაფი შოთა აგრბა და როგორ ვართმევდი მე უკან თხუთმეტი წუთის წინ ჩასესხებულ ფულს, როგორი "ეჭირათ" პლაჟზე დიდუბელებს და როგორ ჰქონდათ ჩაყრილი ფეხები ზღვის წყლით სავსე ტაშტებში...

ბოლოს დახლიდართან შედგა კარგი დიალოგი. დიმას თქმაზე, დაგვითვალეო, წითელსახიანმა, ცქვიტმა კაცმა თავი გადაიკლა, ჩვენს შორის ფულზე ლაპარაკი ვინ თქვა, დიმა-ბატონოო და ასე გააგრძელა, სანამ დასერიოზულება არ შეატყო სტუმარს. თუმცა, მაინც არ დაიშალა თავისი და ტრიდცატ პიატ რუბლეიო, წარმოთქვა ელვის სისწრაფით. დიმამ ორჯერ თუ სამჯერ მეტი მისცა. ოცდათხუთმეტი მანეთის მხოლოდ კონიაკი გვქონდა დალეული...

ლიოხა და პლეხანოველები დიმასთან დარჩნენ ღამის გასათევად. მე თბილისში დაბრუნება ავიტეხე. სულელური ფრაზა ვუთხარი დიმას, ჩვენები ინერვიულებენ-მეთქი. თითქოს მანამდე სულ სიმშვიდესა და სიამტკბილობაში მყავდა ოჯახის წევრები. პლეხანოველებმა ჯერ დიმა და ლიოხა დატოვეს მიმაგრებაში, მერე მე ჩამიყვანეს ზუგდიდში და სანამ მატარებელში არ ამიშვეს, გვერდიდან არ მომცილებიან. მთელი ღამე მარტო ვიყავი კუპეში. დილით მივხვდი, რომ ერთის მაგივრად ოთხი ბილეთი აეღოთ ჩემთვის...

* * *

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მომხდარ ამ ამბავს რომ წაიკითხავს, დაკვირვებულ მკითხველთა ერთ ნაწილს ალბათ არ გაუჭირდება ლიოხას ამოცნობა, ხოლო რაც შეეხება მეორე, უფრო დიდ ნაწილს, ის იოლად მიხვდება, რომ რომანი, რომელსაც დიმა კითხულობდა მიმაგრებაში – "სამოსელი პირველია", ხოლო პერსონაჟი, რომელიც მას მოეწონა – მენდეს მასიელი, დიდ კანუდოსელთაგან ერთ-ერთი...

დიმიტრიც მენდეს მასიელივით წავიდა ამ ქვეყნიდან, ოღონდ ის, აგრეთვე არტისტიზმით აღსავსე მეამბოხე, მდინარის წყლებში არ დაწრეტილა სისხლისგან...

# პირველი ვიოლინო

## ვუნდერკინდის დღე "ხელოვნების ზეიმზე"

მადი სერებრიაკოვა

გერმანიაში მოღვაწე ვირტუოზის მაქსიმ ვენგეროვის საქართველოში ჩამოყვანა რამდენჯერმე სცადეს, თუმცა ვუნდერკინდი მუსიკოსი, რომელიც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ მევიოლინედ ითვლება, ჩვენთან მხოლოდ წელს, ბორჯომის მესამე საერთაშორისო ფესტივალ "ხელოვნების ზეიმზე" ჩამოვიდა (თუ არ ჩავთვლით ბავშვობისდროინდელ ვიზიტს, 8 წლის ასაკში). ბორჯომში, კომპოზიტორთა სახლის დარბაზში გამართულმა კონცერტმა ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ ახალგაზრდა ვირტუოზ ვენგეროვს აღტაცებული მსმენელისგან წუთით რომ ამოესუნთქა, კულისებში როიალის უკან დამალვაც კი მოუწია.

მაქსიმ ვენგეროვი ფესტივალზე ლიანა ისაკაძემ მოიწვია, რომელთანაც ახალგაზრდა მევიოლინეს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს: **"ამ ბავშვზე ვგიჟდები".** - ვერ მალავდა ემოციებს კონცერტის შემდეგ თავად ლიანა ისაკაძეც - **"ორჯერ უფროსი ვარ მასზე, მაქსიმი ჩემს კონცერტებზე გაიზარდა, მაგრამ ისეთ სიახლოვეს ვგრძნობთ, იმდენ საერთოს. . ."**

საერთო ლიანა ისაკაძესა და მაქსიმ ვენგეროვს მართლაც ბევრი აქვთ და ამაზე თავად მუსიკოსებიც სიამოვნებით და სიამაყით საუბრობენ: ორივე მათგანმა სულ მცირე ასაკში დაიწყო დაკვრა, ორივე ვუნდერკინდად ითვლება, ორივეს განსაკუთრებული ემოციურობა და არტისტიზმი ახასიათებთ, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე. კონცერტის ბოლოს, მაქსიმ ვენგეროვმა ლიანა ისაკაძესადმი განსაკუთრებული მოწიწებისა და საკუთარი ბავშვობისდროინდელი მოგონებების გასახსენებლად, უფროს კოლეგას ბაცინის "რონდო" მიუძღვნა. ამ ვირტუოზულ პიესას ვენგეროვი ლიანას წინაშე ჯერ მხოლო 8 წლის ასაკში ასრულებდა: **"ყველაზე საოცარ ქალს!"** - აღნიშნა ვენგეროვმა ისაკაძის მისამართით - **"რომელიც თავისი სითბოთი და სინათლით ათბობს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოს".**

მაქსიმ ვენგეროვი ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და მთელ მსოფლიოში მოგზაურობს კონცერტებით. იგი ნოვოსიბირსკში დაიბადა და ოთხი წლის ასაკში უკვე მევიოლინე იყო. ათი წლის ასაკში, ვენგეროვი ვინივსკის კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა, თხუთმეტი წლისა კი კარლ ფლეშის კონკურსის გამარჯვებული იყო.

1996 წელს 22 წლის ვენგეროვის ალბომი Gramaphone Magazin-მა წლის საუკეთესო კლასიკურ ალბომად დაასახელა. იმავე წელს მან "გრემის" ჯილდო მოიპოვა, როგორც წლის საუკეთესო სოლო შემსრულებელმა. ეს მიღწევა მან წელს კიდევ ერთხელ გაიმეორა და მეორე "გრემიც" მოიპოვა. გარდა ამისა, ვენგეროვს მიღებული აქვს ედისონის პრემია "კონცერტის საუკეთესო ჩანაწერისათვის" და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ხმის ჩამწერი კომპანიის EMI Classics-ის ჯილდოც.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გერმანიაში მოღვაწე ვირტუოზის მაქსიმ ვენგეროვის საქართველოში ჩამოყვანა რამდენჯერმე სცადეს.*

ამჟამად მაქსიმ ვენგეროვი საარბრიუკენის უმაღლესი მუსიკალური სკოლის პროფესორია და აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა როგორც მრავალმხრივი მუსიკოსი. მან ერთ-ერთმა პირველმა მოახერხა სოლისტისა და დირიჟორის ფუქციების შეთავსება ბრიტანეთის კამერულ ორკესტრთან ერთად გამართული საკონცერტო ტურნეს დროს.

ბორჯომის ფესტივალზე მაქსიმ ვენგეროვმა როიალის თანხლებით, კონცერტმაისტერ ბენჯამენ იუსუპოვთან (ისრაელი) ერთად დაუკრა. ძალზედ საინტერესოდ შერჩეული პროგრამის წყალობით, მან თავისი შესაძლებლობების საუკეთესოდ დემონსტრირება მოახდინა: ერთბაშად სიღრმითა და სერიოზულობითაც დაიპყრო დარბაზი და ვირტუოზული ეფექტებითაც მოგვხიბლა. პირველ განყოფილებაში ბრამსის სკერცო და მისივე მესამე სონატა შეასრულა. მისი ინტერპრეტაციის სიღრმესა და დრამატიზმზე ვენგეროვის ბევრად უფროსი კოლეგებიც გაოცებული საუბრობდნენ: **"არ მოველოდი, გენიალური მევიოლინეა!"** - აღნიშნა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა. მეორე განყოფილებაში პაგანინის, რახმანინოვის, მასნეს და სხვათა პიესები - შედევრი-მინიატურები (როგორც მათ თავად მევიოლინე ეძახის) შეასრულა და ვირტუოზობით, არტისტიზმითა და ფენომენალური ტექნიკით დაატყვევა მსმენელი. ამ უკანასკნელმა ვენგეროვი ოთხჯერ გამოიხმო ბისზე. ქართველ მსმენელს საერთოდ ძალიან უყვარს არტისტების იძულება - გათვალისწინებული პროგრამის შემდეგ "ბონუსები" შეასრულებინონ. თუმცა, ვენგეროვმა ამ მხრივ ნამდვილად მოხსნა რეკორდი. ვენგეროვი თავად გამოდგა მშვენიერი კონფერანსიე. პიესებს შორის პაუზებს იგი თითოეული ნაწარმოების ისტორიის მოყოლით ავსებდა.

ცალკე საუბრის თემაა მაქსიმ ვენგეროვის ინსტრუმენტი. იგი ვიოლინოების გამოჩენილი ოსტატის სტრადივარიუსის ნახელავია და 1727 წლით თარიღდება. ამ ვიოლინოზე ოდესღაც ლეგენდარული რუდოლფ კრეიცერი უკრავდა. ვენგეროვს უნიკალური ინსტრუმენტის შეძენაში UNICEF დაეხმარა (1997 წელს 23 წლის ასაკში მაქსიმ ვენგეროვი UNICEF-ის კეთილი ნების ელჩი გახდა. კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა შორის, ეს პირველი შემთხვევა იყო).

საკუთარ ინსტრუმენტზე ვენგეროვი ისე საუბრობს, როგორც ცოცხალ პარტნიორზე: "ეს ვიოლინო ჩემი მეორე ცოლია, პირველი ჯერაც ვერ ვიპოვნე... ჩემი ვიოლინო ამბობს, რომ სცენაზე სცხელა, კულისებში სცივა, კარგი ინსტრუმენტია, მაგრამ აი ასე რეაგირებს ტემპერატურულ ცვლილებებზე... მაგრამ მე ვეუბნები - "დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება!" – ამ უკანასკნელი სიტყვებით ვენგეროვმა ქართულად მიმართა საკუთარ ინსტრუმენტს.

ვენგეროვის ვიოლინოსთვის ხელის შეხების უფლება არავის აქვს გარდა თავად მევიოლინესა და მისი მამისა, რომელიც საკუთარ შვილსა და მის ინსტრუმენტს ყველგან თან დაჰყვება და ჩვენებურად რომ ვთქვათ - "ცივ ნიავს არ აკარებს".

როგორც აღინიშნა, ვენგეროვის გამოსვლას უდიდესი წარმატება ჰქონდა. მევიოლინეს დაკვრას გულგრილი მუსიკაში ყველაზე გაუთვითცნობიერებელი მსმელიც კი არ დაუტოვებია. ვირტუოზული ტექნიკის, ბრწყინვალე, მასშტაბური საშემსრულებლო მანერისა და ყოველი ნაწარმოების სრულიად ინდივიდუალურ ინტერპრეტაციასთან ერთად, რომელიც ხშირ შემთხვევაში კომპოზიტორის თანაავტორობამდეც კი მიდიოდა (ბრამსის უნგრული ცეკვა, მან, ფაქტობრივად, ახალი არანჟირებითა და საკუთარი ვარიაციის სახით შეასრულა), მან ყველა გააოცა არტისტიზმითა და უშუალობით. ერთ-ერთი იუმორისტული ხასიათის პიესის შესრულებისას მევიოლინემ ცოტა წაიცეკვა და ყველა მუსიკალური პერსონაჟი მიმიკითა და ჟესტებით განასახიერა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმ ვენგეროვი დღეს ერთ-ერთ ყველაზე ძნელად მისაწვდომ (დაძაბული საკონცერტო გრაფიკის გამო) და ამასთან, ძალზედ მაღალანაზღაურებად მევიოლინედ ითვლება. ბორჯომში მისი ჩამოყვანა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა. ვენგეროვის კონცერტის შემდეგ ფესტივალზე მცირე თეატრალური პაუზა აღინიშნა: თეატრის დღეზე სოფიკო ჭიაურელმა და თეატრმა "ვერიკომ" რეზო კლდიაშვილის "მარტოობის ბინადარი" წარმოადგინეს. მუსიკალური პროგრამა კი ავსტრიაში მოღვაწე სამხრეთ კორეელმა დირიჟორმა იონ ქ. ლიმ და ახალგაზრდა მევიოლინემ ვალერი სოლოლოვმა გააგრძელეს საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად.

# როგორი იყო "ემი" შარშან

თამარ სუხიშვილი

რატომღაც მეგონა, რომ შაბათს კინოთეატრ "ამირანში" უფრო მეტი ხალხი მოიყრიდა თავს. დარბაზში სიხალვათე ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მაინც უფრო მეტს ველოდი. ვიღაცეებს, ალბათ, ადრე ადგომა დაეზარათ (ჩვენება დილის 12 საათზე იწყებოდა), ვიღაცეებმა, ალბათ, არ იცოდნენ, თორემ ასეთ ღონისძიებებს, როგორც წესი, ხალხი არ აკლდება ხოლმე; "ამირანში" გამართულ თვით ყველაზე ულიმღამო კლიპის პრეზენტაციაზეც კი ხალხი ფუტკარივით ირევა – ვიღაცას მართლა აინტერესებს, ვიღაცას ის ვიღაცა აინტერესებს, ვისაც მართლა აინტერესებს, ვიღაცას ახალი კაბა აქვს და სადმე ხომ უნდა ჩაიცვას, და ასე შემდეგ. ალბათ, ამიტომაც გაუჩნდათ ზოგიერთებს ეჭვი, რომ "ემი ინტერნეიშენელის" 2003 წლის გამარჯვებული პროგრამებისა და სატელევიზიო ფილმების ჩვენებაზე მოსაწვევების ერთი ნაწილი უმისამართოდ დარიგდა, ისევე როგორც გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა თანამემამულეებმა "ემი ინტერნეიშენელის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში – მართალია, კონკურსი გამოცხადდა, მაგრამ მის შესახებ ბევრმა არ იცოდა, თორემ ჩვენს ქვეყანაში, სადაც კონკურსებში მონაწილეობის ბუმია, ცოტა გასაკვირიც კია, სურვილიც რომ არავინ გამოთქვაო... ამაზე ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. ცოტა მიკვირს, თუ გამოცხადდა, რატომ არ უნდა სცოდნოდათ. ... ფაქტია, რომ საკონკურსოდ ქართული ტელეპროდუქცია არ წარუდგენიათ. ეს ამბავი თბილისში საგანგებო მისიით ("ემი ინტერნეიშენელის" აზიის ქვეყნების ფინალისთვის) ჩამოსულმა სტუმრებმა, ამერიკის სატელევიზიო აკადემია "ემის" პრეზიდენტმა ბრიუს პეიზნერმა და ტელეაკადემიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ლეკლერმაც გაიკვირვეს და ქართული ტელეკომპანიების წარმომადგენლებს უსურვეს, რომ მომავალში მაინც მიიღონ მონაწილეობა ამ კონკურსში.

შაბათს გამართულ ჩვენებაზე "ემი ინტერნეიშენელის" ორგანიზატორებმა ქართველ მაყურებელს ორი ფილმი შესთავაზეს - "ემის" შარშანდელი გამარჯვებულები. პირველი სურათი, რომელიც ქართველმა მაყურებელმა იხილა, BBC-ს პროდუქციაა – "ლუკინო ვისკონტის დრონი და ცხოვრებანი". ამ ფილმმა გაიმარჯვა ნომინაციაში - "ხელოვნების პროგრამა". "ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო რეჟისორი ისაა, ვინც ფილმს სცენარის გარეშე ქმნის, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო რეჟისორი არის ის, ვინც ამ ფილმს რაღაც ძალიან პირადულს ანიჭებს" - ამ სიტყვებით იწყება ბრიტანული მხატვრულ-დოკუმენტური ტელესურათი, რომელიც იტალიური კინოს ნეორეალისტური სტილის ერთ-ერთი ფუძემდებლის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. და თავად ფილმის რეჟისორიც ცდილობს გადმოგვცეს ის რაღაც, ვისკონტისეული პირადული. ამას მართლაც ახერხებს მხატვრული და დოკუმენტური კადრების დინამიკური მონაცვლეობით. ეს ნაწილობრივ ვისკონტების არისტოკრატული საგვარეულოს ისტორიაცაა, დაწყებული ფაკინო ვისკონტით – მილანის გრანდიოზული ტაძრის ამშენებლით და დამთავრებული მისი შთამომავლით – ლუკინო ვისკონტით, რომელმაც წინაპრის აგებული ტაძრის სახურავზე "როკო და მისი ძმები" გადაიღო. ვისკონტის ცხოვრება, შემოქმედება და მისი ახირებული პიროვნება მაყურებლის თვალწინ სხვადასხვა ფორმით იხსნება: თავად რეჟისორისა და მის თანამედროვეთა - ფრანკო ძეფირელის, ჰელმუტ ბერგერისა და სხვათა ნაამბობით, ვისკონტის მიერ გაკეთებული ჩანახატებით თუ ინტერვიუს ნაწყვეტებით... დიდი იტალიელი ხელოვანის ცხოვრების ბოლო პერიოდი კი ფილმის - "სიკვდილი ვენეციაში" ფონზეა ნაჩვენები, იმ ფილმისა, რომლის სიუჟეტიც, როგორც ამბობენ, ძალიან ჰგავს თავად ავტორის ცხოვრების სიუჟეტს.



ვახო ბესელიას ფოტო

*"ემი ინტერნეიშენელის" ჟიური ორი დღის განმავლობაში მუშაობდა თბილისში.*

მეორე ფილმი, რომელიც კინოთეატრ "ამირანში" ამ ორიოდე დღის წინ ვიხილეთ, გერმანული ტელეკომპანიის პროდუქცია გახლდათ, StarCrest Media GmbH-ს ნამუშევარი. ფილმი "სიცოცხლე გრძელდება" "ემი ინტერნეიშენელის" 2003 წლის გამარჯვებულია დოკუმენტური სატელევიზიო ფილმების ნომინაციაში, რომელიც ფაშისტური პროპაგანდის ხელოვნებაზე გვიამბობს. 1993 წელს გერმანიაში გამოვიდა წიგნი - ჰანს კრისტოფ ბლუმენბერგის "სიცოცხლე გრძელდება", რომელიც ავტორმა მესამე რაიხის უკანასკნელ პროპაგანდისტულ ფილმს მიუძღვნა. ფილმს, რომლის გადაღებებიც 1944 წლის ზამთარში დაიწყო და რომელმაც ვერასოდეს იხილა დღის სინათლე. ფილმის მიზანი იმთავითვე ნათელი იყო, მაგრამ "სიცოცხლე გრძელდება" არ ჰგავდა წინამორბედ პროპაგანდისტურ ფილმებს; აქ უნდა ეჩვენებინათ ბერლინის დანგრეული ქუჩები – ომის შედეგი, და ხალხისთვის ჩაენერგათ რწმენა, რომ მამაცი გერმანელი ხალხი ჰიტლერის დახმარებით შეძლებდა დანგრეული ქვეყნის აღდგენას.

გადაღებები ბერლინის ქუჩებში ძალიან საშიში იყო, დღისითაც და ღამითაც. ამიტომ "უფას" სტუდიამ ბერლინის ქუჩების საგანგებო, რეკონსტრუირებული პავილიონები გააკეთა. ეს დოკუმენტური სურათიც სწორედ ამაზე მოგვითხრობს: როგორ ეპყრობოდნენ ხელოვანებს ფაშისტურ გერმანიაში, როგორ მოჰყავდათ მასობრივი სცენების გადასაღებად ხალხი საკონცენტრაციო ბანაკებიდან ჰებელსის ბრძანებით, როგორ ყალიბდებოდა ფაშიზმის პროპაგანდისტული პოლიტიკა, დაბოლოს, რა ბედი ეწია ფილმის ფირს, რომელიც რეჟისორმა ლიუნებურგის სიახლოვეს, ერთ-ერთ სამარხში, დამალა, იმ იმედით, რომ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ საკუთარ ნამუშევარს ანტიფაშისტურ კინოსურათად გადააკეთებდა... ბოლოს კი იძულებული გახდა ფირის ადგილსამყოფელი ბრიტანეთის არმიისთვის გაემხილა. თუმცა გაგანია ომის დროს გადაღებული ალბათ უნიკალური ისტორიული კადრები ბრიტანელ ჯარისკაცებს არ გაუნადგურებიათ. ფილმის დასასრულს ორი, უკვე ასაკში შესული მამაკაცი იგონებდა, თუ როგორ ერთობოდნენ ისინი ბავშვობაში. ერთი ასეთი თამაშის დროს "უფას" გადამალული ფირიც უპოვიათ - ფირს ალი ელვის სისწრაფით ეკიდება, ბავშვებს კი, მოგეხსენებათ, როგორ უყვართ ცეცხლთან თამაში...

ასეთი იყო "ემი" შარშან. წლევანდელი გამარჯვებულები ნოემბერში გახდება ცნობილი. "ემი ინტერნეიშენელ-2005" კონკურსი კი იანვარში გამოცხადდება. "ემი ინტერნეიშენელის" კონკურსზე სულ რვა ნომინაციაა. ზემოხსენებული ხელოვნების პროგრამისა და დოკუმენტური ფილმის გარდა, აქ არის შემდეგი ნომინაციები: ბავშვები და ახალგაზრდები, კომედია, სერიებიდრამა, ახალი ამბები, გართობა და სატელევიზიო ფილმი/მინისერიები. სამომავლოდ ამ ნომინაციებს, შესაძლოა, კიდევ ორი კატეგორია დაემატოს: "რეალიტი შოუ" და "ინტერაქტივი". რაც შეეხება საკონკურსო ნამუშევრების კრიტერიუმებს, ამერიკის სატელევიზიო აკადემიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ლეკლერმა კრიტერიუმები ასეთნაირად ჩამოგვიყალიბა: "ფილმის ნახვამ მაყურებელს სიამოვნება უნდა მიანიჭოს, ამასთან, ნამუშევარი უნდა იყოს ტექნიკურად სრულყოფილი, უნდა ჰქონდეს მძაფრი სიუჟეტი, ახალი იდეა და გათვლილი უნდა იყოს ფართო აუდიტორიაზე."

კვირის მიმოხილვა

# იმღერე რამე

## შალომ

დავით ანთაძე

როდესაც ისრაელში აგებული ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურებით აღშფოთებული ლიტერატორები ბუტაფორიული ტროას ცხენით საბერძნეთის საელჩოში შეღწევას ლამობდნენ, სასტუმრო "მარიოტში" საქართველო-ისრაელის მეგობრობის განმტკიცებას ცდილობდნენ. საერთაშორისო სკანდალის მოლოდინში ისრაელმა ამ ვანდალური აქტის პასუხისმგებლობა ცალსახად ბერძნებს დააკისრა, ბერძნები კი, შინ თუ სტუმრად, დიპლომატიურად თავს არიდებდნენ პასუხის გაცემას და ნამდვილად არ აპირებდნენ ქართული აღშფოთების ახალი სიმბოლოს შეკედლებას, რომელიც ისტორიის (პრეისტორიის) მიუხედავად თავად ცდილობდა საელჩოში შეღწევას.

5 ივლისს "მარიოტში" შესაღწევად სულ მცირე მოსაწვევი იყო საჭირო, რადგან მუსიკალური ალბომის "სიყვარულით საქართველოდან" პრეზენტაციას ნამდვილი ელიტარულობა მიანიჭეს. ელიტარულობა კი ცნობისმოყვარე, ხანდახან კი მოვლენისადმი აბსოლუტურად გულგრილი საზოგადოების არცთუ სასიამოვნო დიფერენცირებას გულისხმობს. მოკლედ, "მარიოტში" საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის დაარსების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ალბომის პრეზენტაცია შედგა, რომელშიც ქართველი მომღერლები ებრაულად მღერიან 13 სიმღერას. ეს ის რეპერტუარია, რომელიც მომღერლებმა 15 წლის განმავლობაში დააგროვეს და რომელსაც ღონისძიებიდან გამომდინარე ვალის მოხდის ელფერი უფრო დაჰკრავდა.

"სიყვარულით საქართველოდან" ისრაელში ქართულენოვანი ტელეკომპანიის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე (რომელმაც შოთა რუსთაველის "უსახურობის" შესახებ შეგვატყობინა) კიდევ ერთხელ ამღერდა ისევე, როგორც "არტ-იმედის" დირექტორი მერაბ სეფაშვილი და ჯოკონდას იდუმალი ღიმილის მქონე ლელა წურწუმია. ებრაულ ენაზე ამღერდნენ, ასევე: ირმა სოხაძე, ზურაბ დოიჯაშვილი, მამუკა ონაშვილი, თამარ ჭოხონელიძე, ხოლო ქართულ-ებრაული ძმობის დასტურად ჩაწერეს ანსამბლი "კოლნის" მიერ შესრულებული რევაზ ლაღიძის "თბილისოც". თანამდებობას მორგებული მომღერლების დასალოცად სპეციალურად მოსკოვიდან ჩამოვიდა რუსეთში მეტად პოპულარული და საქართველოში მივიწყებული თამარ გვერდწითელი, რომელსაც თან ჩამოჰყვა ტელეკომპანია OPT-ს გადამღები ჯგუფი. გვერდწითელის შემოქმედებითი ჯგუფი მის შესახებ ბიოგრაფიული ჟანრის ფილმს იღებს და პათეტიკური სიმღერებით განთქმული მომღერლის ბავშვობის მიმოხილვას გეგმავს. რეჟისორი მომღერალს გვერდიდან არ მოშორებია და გულმოდგინედ იმახსოვრებდა ამა თუ იმ პიროვნებას, რომელსაც შეეძლო კომენტარის გაკეთება.

რა თქმა უნდა, იმ დღეს ძმობასთან ერთად არც მიყენებული ზარალი და შეურაცხყოფა დაივიწყეს. წაიკითხეს შოთა რუსთაველის "ეპიტაფია" (ღია წერილი პატრიარქისადმი) ჯვრის მონასტერში განხორციელებული ვანდალიზმის თაობაზე და მოითხოვეს ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობაში გადაცემა. ფაქტია, საბერძნეთის საელჩოს წინ გამართული პერფორმანსი ტროას მინიატურული ცხენის მონაწილეობით საფრთხეში აგდებდა არა მარტო საქართველო-საბერძნეთის დიპლომატიურ კავშირს, არამედ საქართველო-ისრაელის დამოკიდებულებასაც. პოლიტიკური სკანდალის თავიდან ასაცილებლად დავით ტურაშვილმა და ლაშა ბუღაძემ ცხენი "თავლაში" წაიყვანეს... თუმცა პირობა დადეს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ.



იური ლობოდინის ფოტო

*თანამდებობას მორგებული მომღერლების დასალოცად სპეციალურად მოსკოვიდან ჩამოვიდა რუსეთში მეტად პოპულარული და საქართველოში მივიწყებული თამარ გვერდწითელი.*

### იმღერე რამე

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისს ეწვია გამოჩენილი ქართველი ბანი პაატა ბურჭულაძე, რომელმაც ამჯერად საქველმოქმედო ფონდი "იავნანას" პრეზენტაციაც გამართა და დანაპირები პირნათლად აასრულა, ანუ შეასრულა "დონ კარლოსში" ფილიპე მეორეს პარტია და კონცერტიდან შემოსული თანხა ზრუნვამოკლებულ ბავშვებს გადაურიცხა. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსები სახელმოხვეჭილი ბანის დასუსტებას აღნიშნავდნენ, მომღერალი ჩინებულად გამოიყურებოდა ფილიპე მეორის როლში და კვლავინდებური შემართებით ასრულებდა თავის პარტიას.

უცნაურია, მაგრამ ოპერა "დონ კარლოსი", რომელიც პირველად 1867 წელს პარიზის გრანდიოზულ ოპერაში დაიდგა, საქართველომდე რამდენიმე წელიწადში მოაღწია. მას შემდეგ მას უკვე თბილისში დიდი წარმატებით დგამენ. თუმცა, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის კურიოზი, რომელიც თან ახლავს პაატა ბურჭულაძის ვიზიტს - თეატრს პაატა ბურჭულაძის რეპერტუარიდან ხელთ მხოლოდ "დონ კარლოსის" კოსტიუმები აღმოაჩნდა, რაც ნაწილობრივ ხსნის ბურჭულაძის დანაპირებს - შეასრულოს ფილიპეს პარტია ვერდის ამ ოპერაში და არა სხვა ნაწარმოები, რომლის რეკვიზიტს, ალბათ, ვერსად მოიძიებდნენ.

სამწუხაროდ, მის კონცერტზე ვერ მოხვდა ბევრი თაყვანისმცემელი, რომელსაც გულწრფელად აინტერესებდა სცენაზე მომღერლის გამოჩენა და ნაკლებად იკეკლუცებდა დარბაზში საკუთარი გამოჩენით. მოსაწვევები შეზღუდული რაოდენობით დარიგდა და ისიც, ძირითადად, ხელოვნებაში ნაკლებად გათვითცნობიერებულ ჩინოვნიკებს ერგოთ. ხოლო ისინი, რომლებსაც "დონ კარლოსი" რეალურად აინტერესებს, კომპაქტ-დისკებით დაკმაყოფილდნენ, რადგან საქველმოქმედო კონცერტი მეტად ელიტარული აღმოჩნდა.

ერთადერთი, რაც ბურჭულაძეს ცუდ ფონს უქმნიდა, ეს სპექტაკლისთვის სახელდახელოდ მოწესრიგებული დეკორაციები იყო. მეტიც, ესპანელი გრანდების სასახლის დეკორაცია ისევე საწყლად გამოიყურება, როგორც დადიანების სასახლე - უფერული, ადგილ-ადგილ გაცვეთილი და სახელდახელოდ რესტავრირებული დეკორაცია მხოლოდ წარსული დიდების ნიშნებს ატარებდა. ამ გაღატაკებულ სივრცეში ბურჭულაძემ მაინც შეძლო დიდებული ფილიპე მეორის კოლორიტული სახის შექმნა. მართალია, მუსიკათმცოდნეები გარკვეული სკეპტიციზმით უსმენდნენ არცთუ ახალგაზრდა მომღერალს, დაძაბული ყურადღებით ცდილობდნენ თითოეული ბგერის შთანთქმას, მაგრამ მცირე რევიზიის შემდეგ მაინც დანებდნენ. მელომანები ახლა უკვე იმაზე მარჩიელობდნენ, თუ რა სიურპრიზს უმზადებს მომავალში ქართველ მსმენელს ბურჭულაძე.

ახლო მომავალში პაატა ბურჭულაძე აუცილებლად გვიმღერებს რამეს (ცნობილია, რომ 2005 წელს ბურჭულაძე მონაწილეობას მიიღებს გრანდიოზულ ოპერაში "ომი და მშვიდობა"). მომღერალი აუცილებლად იმღერებს საქართველოშიც, თუკი ოპერაში შესაფერისი დეკორაცია მოიძებნება.

### სოლო რაღაცისთვის

8 ივლისს "ნოა-ნოას" სცენაზე, ერთი შეხედვით, ბუდისტური ტანსაცმლით გამოსული მუსიკოსი თითქოს მედიტაციურ მუსიკას გვპირდებოდა, მაგრამ პროლოგიდანვე მიგვახვედრა, რომ ილუზიებით თავს ნუ ვირთობთ. ქართველი დრამერი გია სალაღიშვილის შემთხვევაში მუსიკა სულაც არ ნიშნავს ქაოსის მოწესრიგებას, არამედ პირიქით, "ბითლზის" ცნობილ კომპოზიციებს მუსიკოსი დეკონსტრუქციას უწევს ისე, რომ შექმნილი კაკაფონიის გამო მათი ამოცნობა თითქმის შეუძლებელია.

შეიძლება ლენონისა და მაკარტნის შემოქმედებაში უკეთ გარკვეული მსმენელი მოხიბლოს კიდეც ხანდახან "სალდატურად" და აღლუმისთვის შესაფერისი ჟღერადობის მქონე დასარტყამი ინსტრუმენტის სოლომ, მაგრამ "ნოა-ნოას" კამერულ სივრცეში სალაღიშვილის მუსიკა იმდენად დამთრგუნველი იყო, რამდენადაც აუთვისებელი. ამას არც მუსიკოსი უარყოფს. მეტიც, მიიჩნევს, რომ დისკზე ყველაფერი უკეთ ისმის. "კომპაქტ დისკზე" უკეთესი ჟღერადობაა, რადგან ჩაწერილია სტუდიაში და შესაბამისად ხარვეზიც ნაკლები აქვს. აქ მიკროფონი დასარეგულირებელია და თან კამერულ სივრცეში ვუკრავთ", - დასძინა გია სალაღიშვილმა. თუმცა, მისი პროფესიონალიზმი სახეზეა - ის უკვე 30 წელია უკრავს დასარტყამ ინსტრუმენტებზე და ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა ბედნიერება დაეკრა მეჯიქ სლიმთან, მიშელ პეტრუჩიანისა და ლალო შიფრინთან ერთად. ბოლო პერიოდში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა საკუთარი ნაწარმოები დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის და გამართა სოლო კონცერტი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გია სალაღიშვილის სოლო უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ის მსუბუქი კაკაფონია, რომლის მოწესრიგებას თითქმის ერთი საათი ამაოდ ცდილობდა მისი ზენდი. შესრულებულ ალბომს, მაცდური სათაურით "ინსტინქტი" (ალბომი ჩაწერილია "სანო სტუდიაში") ნახევარფაბრიკატის ელფერი დაჰკრავდა და, როგორც ჭყეტელა ქაღალდში გახვეულ ნახევარფაბრიკატს, შიგთავსი არ უვარგოდა.

თუმცა, დრამერი გია სალაღიშვილის სოლო-ალბომის პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. ხელოსანსა და ხელოვანს შორის ოქროს შუალედის პოვნას გია სალაღიშვილმა თითქმის 30 წელი შეალია და "ინსტინქტში" ორივე ცნება მეტ-ნაკლებად გაითავისა. თუმცა, სოლოს მაინც აკლდა რაღაცა... ალბათ, სიახლე, ორიგინალობა, რაზეც მისი ორმნიშვნელოვნად ხმამაღალი რეპერტუარიც მიანიშნებს ("ბითლზი").

### EMMY INTERNATIONAL

8 ივლისს სანდრო ვახტანგოვის ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტელეაკადემია EMMY INTERNATIONAL-ის აზიის ქვეყნების ნახევარფინალი. თბილისს ეწვივნენ აკადემიის პრეზიდენტი ბრიუს პეიზნერი და ტელეაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ლეკლერი. 1949 წლიდან, ანუ EMMY-ის დაარსების დღიდან ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ნახევარფინალს ისეთი პატარა და აკადემიისთვის უცნობი ქვეყანა მასპინძლობდეს, როგორიც საქართველოა. თუმცა, თავის დროზე ქართველებმა "ემი" მოიპოვეს - ლევან ადამიამ და ირაკლი სოლომანაშვილმა ტელეაკადემიის უმაღლესი პრიზი პროფესიონალიზმისთვის დაიმსახურეს.

ჟურნალისტისთვის ეს იგივეა, რაც მსახიობისთვის "ოსკარი" და ამიტომ "ემის" ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს. თუმცა მისი მნიშვნელობა მაინც საეჭვოდ მიიჩნიეს, რის გამო 10 ივლისს კინოთეატრ "ამირანში" 2003 "ემის" გამარჯვებული ფილმების ჩვენებას მხოლოდ 20-მდე ენთუზიასტი თუ ესწრებოდა.

ჯორჯ ლეკლერის მიერ ანონსირებული პროდუქცია მეტად უღიმღამო გამოდგა და გამარჯვებული ფილმების შეფასებისას მისივე შეგონება გაგვახსენა. "თქვენ შეგიძლიათ გამარჯვება", - განაცხადა ლეკლერმა, რომელსაც მოგვიანებით ყველა ქართველი ჟურნალისტი დაეთანხმა. თუმცა არატიტულოვან კონკურსანტებს გარკვეულწილად გაუმართლათ, რომ ნახევარფინალში შტატები არ მონაწილეობენ და ეს კონკურსი ამერიკის გარდა ყველა ქვეყნის მონაწილეობას გულისხმობს. საქართველო კი კონკურსში დაგვიანების მიზეზით არ მონაწილეობს. მეტიც, ლეკლერის თქმით (და ბიძინა ბარათაშვილისა და ზაზა შენგელიას გასაგონად) ქართველებს სურვილიც კი არ გამოუთქვამთ...

"ემის" ლაურეატი ფილმები შესრულებული იყო წმინდა ამერიკული მანერითა და მანერიზმით. მეორე - გერმანული ფილმი უკანასკნელ აგიტპროფილმზე, რომელიც აწარმოა ფაშისტური კინოსტუდიების გაერთიანებულმა სტუდია "უფამ". პირველი იყო ფილმი ვისკონტის შესახებ, რომელიც ძალიან წააგავდა ბინძური საცვალის გამოფენისა და ინტიმური დეტალების აფიშირების მცდელობას. როგორც ჩანს, ავტორს ნაკლებად აინტერესებდა ხელოვანის ბედი და აქცენტს აკეთებდა სენსაციაზე, ვინ ვისი საყვარელი იყო და რამდენი ხანი... ვფიქრობ, კინოთეატრში თავმოყრილ მაყურებელს ეს ნაკლებად აინტერესებდა.

ხოლო ვისაც ვისკონტის ავტობიოგრაფიული წიგნი წაუკითხავს ("ვისკონტი ვისკონტიზე") დაამახსოვრდებოდა ის დეტალები, რომ "გრძელი დანების ღამით" ვისკონტი ბერლინში იმყოფებოდა და ამრიგად "ღმერთების დაისში" ასახული ტრაგედიის თვითმხილველი იყო. არც ის ისმის მთხრობელისგან, რომ თავისი პოლიტიკური მრწამსის, კომუნისტობის გამო იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი არისტოკრატული გვარის - ვისკონტს წარმომადგენელს საზოგადოებაში "წითელ არისტოკრატს" უწოდებდნენ. ხოლო სხვენში დამალვის სცენები რეჟისორის ცხოვრების აუთენტურია, რადგან ლუკინო სწორედ სხვენში ემალებოდა მშობლების რისხვას.

ამ დეტალებს ავტორი არ ახმაურებს, სამაგიეროდ ფილმში, პრეტენზიული სათაურით "ლუკინო ვისკონტის დრონი და ცხოვრება" უხვადაა ინტიმური დეტალები და, რაც მთავარია, ჰელმუტ ბერგერის, ფრანკო ძეფირელის, დირკ ბოგარტის გულახდილი, ხანდახან კი ნაწყენი (განაწყენებული) კომენტარები იმის თაობაზე თუ რა უსამართლოდ განდევნა საკუთარი ცხოვრებიდან რეჟისორმა. ამრიგად XX საუკუნის, ალბათ, ყველაზე ინტელექტუალი რეჟისორის შესახებ ავტორი ნაწყენი საყვარლების ტონით მოგვითხრობს, რაც ნამდვილად არ რჩება შეუმჩნეველი გემოვნებიან მაყურებელს.

მოგვიანებით სასტუმრო "მარიოტში" შედგა მასტერკლასი ჟურნალისტებისთვის, რომელიც ხანმოკლე ვიზიტით ჩამოსულმა ჯორჯ ლეკლერმა დიდი ხალისითა და მონდომებით გამართა. ჟურნალისტებს 2003 წლის "ემის" მფლობელი ტელესიუჟეტები აჩვენეს და მათზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა შესთავაზეს. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ საინტერესო დისკუსია გაიმართა, რომელშიც განიხილავდნენ საინფორმაციო პროგრამების მიერ ერთ თემაზე გადაღებულ 4 სხვადასხვა სიუჟეტს. ყურადღების ცენტრში ერაყი აღმოჩნდა, რომლის მაგალითზე ბუშის წინააღმდეგ განწყობილმა ლეკლერმა (იგი წარმოშობით ფრანგია) დეტალურად განიხილა მაყურებლის მანიპულირების ხერხები და ამა თუ იმ სიუჟეტის ფსევდოობიექტურობა.

გერმანული სიუჟეტი, როგორც ეს ამერიკის ოპოზიციას ეკადრება, საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაზე აკეთებდა აქცენტს და ფაქტებით მიუთითებდა იმაზე, რომ 1991 წელს და ახლაც, ამერიკელი ჯარისკაცები პაქტით აკრძალული რადიოაქტიურ ნივთიერებებს ჭარბად იყენებდნენ ბრძოლისას.

ყველაზე მიახლოებული ამერიკულ პროგრამასთან აღმოჩნდა ბრიტანული ტელეკომპანიის "მოტკბო" სიუჟეტი, რომელშიც მაყურებელი ამერიკელი ჯარისკაცების გმირობას ჭვრეტს. თუმცა, ნეგატიური პლანი თითქოს ავტორებს გამოეპარათ - დაჭრილი ბაღდადელი გოგონას გამოსაყვანად გადამღები ჯგუფის წევრი მიდის და არა საგანგებოდ მომზადებული ჯარისკაცი. ყველაზე მეტად ამ სიუჟეტების მიკერძოებული ხასიათი გაღიზიანებს, რასაც ვერ მალავს ვერც ერთი ტელეკომპანია - გერმანია ახმაურებს რადიოაქტიური ნივთიერების გამოყენების ფაქტს, ფრანგები მოჩვენებით სიმშვიდესა და მარადიორებს, მუზეუმის გაძარცვას, ხოლო ბრიტანელები, როგორც ეს კოალიციის შემადგენელ ქვეყანას ეკადრება, დოჩანაშვილის ნაწარმოების გმირივით გაიძახიან ყალბად - "ღამის 12 საათია და ყველაფერი გენიალურადაა"...

წელს ქართული პროდუქცია არ მონაწილეობდა, მაგრამ ლეკლერის თქმით "ხელით ვერავის დაქაჩავენ", "გამარჯვებისთვის მონაწილეობაა საჭირო", - გულუბრყვილოდ დასძინა მან. გამარჯვების შანსი კი ქართველებს, ზემოხსენებული პროდუქციის გათვალისწინებით, დიდი თუ არა რეალური მაინც აქვთ.

# დიდი ამადეო და შეყვარებული ჟანა

## 120 წლის წინათ ამადეო მოდილიანი დაიბადა

1884 წლის 12 ივლისს იტალიაში, ქალაქ ლივორნოში, მდიდარი ებრაელის ოჯახში ამადეო მოდილიანი დაიბადა. წესით, ბედნიერი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბავშვობიდანვე არ გაუმართლა: მამამისის შესანიშნავ საბანკო კარიერას სულ მალე ბოლო მოეღო, და სუფთა და ლამაზ შენობაში მუშაობის ნაცვლად მას ნახშირით ვაჭრობა მოუწია. ამან ამადეოს მამას ბოლო მოუღო – მენახშირის როლში დიდხანს არ უცოცხლია.

ამადეო დაობლდა. ისედაც სუსტი ბავშვი ყოფილა, სულ ავადმყოფობდა, სასუნთქი გზების ყველანაირი სენი სჭირდა. დედას და დებს დღენიადაგ მის პნევმონიასთან უწევდათ ბრძოლა, მაგრამ ამადეოს მაინც განუვითარდა ჭლექი, რომლისგან განკურნებაც ცხოვრების ბოლომდე ვერ შეძლო.

შვილის უჩვეულო ნიჭი დედამისმა სულ მალე შენიშნა, და როცა ის ჩვიდმეტისა შესრულდა, ფლორენციასა და ვენეციაში გაამგზავრა ფერწერის სასწავლებლად.

ხუთი წლის შემდეგ პარიზში ახალგაზრდა მხატვარი, ამადეო მოდილიანი ჩავიდა. მას მტკიცედ ჰქონდა განზრახული, რომ პარიზს დაიპყრობდა და დიდ სახელს და ბევრ ფულს მოიხვეჭდა. მაგრამ ძალები ვერ გათვალა: პარიზულმა ყოფამ უმალვე ჩაითრია, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ უფულოდ დატოვა, და ახალგაზრდა ხელოვანს თავის გასატანად სასტუმროდან სასტუმროში უწევდა გადასვლა.

სავალალო ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, მოდილიანიმ პარიზის მთელი ბოჰემის გაცნობა შეძლო. ის თავისი დროის ყველა ცნობილ მწერალს, პოეტსა და მხატვარს იცნობდა, პაბლო პიკასოთი დაწყებული და მორის უტრილოთი დამთავრებული.

მეგობრის თქმით, უცვლელ ველვეტის პალტოში გამოწყობილი ახალგაზრდა მოდილიანი, თვალშისაცემი ფერის შარფითა და ფართოფარფლებიანი ქუდით, ერთობ შთამბეჭდავი სანახავი იყო. სულ ღრმად ჩაფიქრებული სახით დადიოდა, მეგობრები ექსცენტრულ კაცად თვლიდნენ. ისე, ცუდად იქცეოდა – მთვარის შუქზე ცნობილ მეძავებთან ერთად ცეკვავდა და ლოთობისთვისაც არაერთხელ იყო დაპატიმრებული. ამბობენ, რომ ამადეოს ხიბლს გულგრილი არცერთი ქალი არ დაუტოვებია, მრავალი ოცნებობდა იმაზე, რომ მისი მოდელი ყოფილიყო. რომანტიკული იტალიელიც სულ შეყვარებული იყო და პარიზის ღამის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. თავად ის ამბობდა ხოლმე, რომ "თუ ქალი იმდენად მშვენიერია, რომ მისი დახატვა ან გამოქანდაკება შეიძლება, ასეთი ქალისთვის ტანსაცმელი სრულიად ზედმეტი ბარგია".

შესაბამისად, ასეთი კაცისთვის ფულის დაზოგვა წარმოუდგენელი რამ იყო, და მრავალი სახელოსნოს მოცვლის შემდეგ მოდილიანი სიღატაკის ზღვარზე, უფულოდ და უთავშესაფროდ, ქუჩაში აღმოჩნდა. გაუბედურებული, ათასგვარი ინფექციით დაავადებული მხატვარი ცოტა ხნით მშობლიურ იტალიაში დაბრუნდა – გონს მოსასვლელად და ძალების აღსადგენად. ეს წესად ექცა – პარიზში ჩასვლა, ფულის გაფლანგვა, დაავადება და კვალავ იტალიაში გამგზავრება.



*1920 წლის იანვარში მეგობრებმა გულწასული ამადეო შეშლილი ჟანას გვერდით იპოვნეს.*

კეთილმოსურნეები სულ უჩიჩინებდნენ, რომ ფულის ფლანგვა იმდენად დიდი ცოდვა არ იყო, რამდენადაც ტალანტის "განიავება". მაგრამ მხატვარი მაინც ბევრს სვამდა და ყოველგვარ ნარკოტიკს ეტანებოდა. ის თავის ნამუშევრებს გროშებად ჰყიდდა და ხან სხვენზე ათევდა ღამეს და ხან - სარდაფში.

ერთ დღეს მოდილიანიმ მოქანდაკე ბრანკუზი გაიცნო. ამ კაცმა ის ახალ სამყაროს აზიარა – აფრიკულ ქანდაკებას, რომლის უბრალოებამ და სიდიადემაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. აფრიკული მოტივები მის შემოქმედებაში აისახა, და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ნამუშევარი არ დაუსრულებია, ბრანკუზის წყალობით მან ქანდაკებასაც დიდი ყურადღება დაუთმო.

ასეთივე დიდი გავლენა – ოღონდ სულ სხვა კუთხით – მოდილიანიზე მისმა ახლო მეგობარმა, პოლონელმა პოეტმა ზბოროვსკიმ იქონია. სწორედ ზბოროვსკიმ ურჩია მოდილიანის 1917 წლის 3 ოქტომბერს პირველი ექსკლუზიური გამოფენის გამართვა, რომელიც სრული დამარცხებით დასრულდა. ამ გამოფენაზე 32 ტილო და რამდენიმე ჩანახატი იყო წარმოდგენილი, მაგრამ თითქმის არაფერი გაყიდულა, და გამოფენაც გახსნის დღესვე დახურეს – ნამუშევრების "უხამსი შინაარსის" გამო.

ზბოროვსკის მთავარი დამსახურება კი მაინც ის იყო, რომ სწორედ მის სახლში გაიცნო ამადეომ თავისი მომავალი მეუღლე, მხატვარი ჟანა ებუტერნი – ისეთი ქალი, როგორსაც ამადეო ხატავდა ხოლმე.

ამადეოს და ჟანას ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ, მალე დაქორწინდნენ და ვაჟიც ეყოლათ. მართალია, ძალიან უჭირდათ, თავად მოდილიანი კი კვლავ ავად გახდა. მაშინ ისინი ზბოროვსკის მეგობარმა გადაარჩინა – მთელი ოჯახი ნიცაში გაამგზავრა გამოსაზამთრებლად.

მერე ჟანას კიდევ ერთი შვილი ეყოლა, გოგონა. ოჯახმა უფრო იაფფასიანი ბინის ძებნა დაიწყო. მოდილიანის რცხვენოდა, რომ ცოლშვილს ვერ ინახავდა, და სვამდა - მართალია, ხატავდა კიდეც. იმხანად თავისი პორტრეტებისთვის ის ავადმყოფ ბავშვებს ირჩევდა ხოლმე, მხატვარსა და თითქოს ამ საბრალო არსებებს შორის რაღაც უცნაური კავშირი იყო დამყარებული. ცხადია, ამას არავინ ყიდულობდა, მოდილიანი ორიოდე გროშს იმით შოულობდა, რომ გამვლელებს ხატავდა და შემდეგ ცდილობდა, ნამუშევარი მათთვის მიეჩეჩებინა.

1920 წლის იანვარში მეგობრებმა გულწასული ამადეო შეშლილი ჟანას გვერდით იპოვნეს. ტუბერკულოზურმა მენინგიტმა 36 წლის მხატვარს სულ მალე მოუღო ბოლო. მისი გარდაცვალების მეორე დღეს კი ცხრა თვის ორსული ჟანა თავისი მშობლების სახის ფანჯრიდან გადახტა.

საშინელი ამბავია. მაგრამ გულთან ახლოს ნუ მიიტანთ: ის უკვე რა ხანია, მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეებსა და ისტორიკოსებს თუ აღელვებს. ჩვენ კი მოდილიანის ნამუშევრები დაგვრჩა, ნაზი, ამაღელვებელი, სიყვარულით სავსე. ჯობს, მათზე ვიფიქროთ და არა იმაზე, როგორ ბარბაცებდა პარიზის ქუჩებში ამადეო მოდილიანი – იმას უკვე აღარაფერი ეშველება.

წყალბურთი

# პოლონეთს პრეზიდენტი წავართვით

პოლონეთში, "პრეზიდენტის თასზე" საასპარეზოდ წასული საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებისგან სასიხარულო ამბავი მოვიდა. ლოძში, სადაც 7-11 ივლისს ბულგარეთის, გერმანიის, შვედეთის, ბელორუსის, ბულგარეთის, მასპინძელთა და საქართველოს ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, ჩვენმა ჭაბუკებმა გაიმარჯვეს. ევროპის ჩემპიონატისწინა რეპეტიცია გავლილია, ყველა მეტოქე – დამარცხებული. "პრეზიდენტის თასი" ჩვენია. შეჯიბრების პირველ დღეს, 8 ივლისს, საქართველოს ნაკრებმა გერმანელებს 12:8 მოუგო. მეორე დღეს, როდესაც ჩვენები მასპინძლებს შეებნენ და როდესაც 5:1 იგებდნენ, კოკისპირული წვიმა წამოვიდა ("პრეზიდენტის თასი" ღია აუზში თამაშდებოდა). დებულების თანახმად, თამაში მეორე დღისთვის გადაიდო. იმავე დღეს, საღამოს, შვედებს დაუპირისპირდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქართველებმა სკანდინავიელებს მუსრი გაავლეს. თუ არ გჯერათ, ანგარიშს დააკვირდით – 16:2. მასპინძლებთან მეორე დღისთვის გადატანილი ჭიდილიც მოიგეს – 11:4, დაამარცხეს ბულგარელებიც - 15:6. გუშინ, გათამაშების დასკვნით დღეს კი ბელორუსის ნაკრებს გაუსწორდნენ – 15:5 და "პრეზიდენტის თასიც" მათ დარჩათ.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა ბექა ქენქაძემ, საუკეთესო მეკარისა – თორნიკე თევზაძემ.

ფეხბურთი

# არგენტინას მეოთხედფინალი არ სურს

მექსიკასთან მოულოდნელი მარცხის შემდეგ არგენტინის ნაკრებმა საგრძნობლად გაიუარესა ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა. ტურის უკანასკნელ მატჩში ურუგვაისთან დამარცხების შემთხვევაში მარსელო ბიელსას გუნდი შეიძლება მეოთხედინალის მიღმა აღმოჩნდეს. არა მგონია, არგენტინაში არსებობდეს ადამიანი, რომლის რეიტინგი მარსელო ბიელსაზე მცირე იყოს. მხედველობაში მყავს ადამიანი, რომლის შრომა საერთო ეროვნულ ხასიათს იძენს, რადგან გასულ ღამეს ამ სპეციალისტის რეიტინგი ნულს ქვემოთ დაეცა.

ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ბევრი პესიმისტი არგენტინის ნაკრებს ჩაფლავებას უწინასწარმეტყველებდა. თვითონ მწვრთნელი, რომელიც ხშირად არაადეკვატური გადაწყვეტილებებით გამოირჩევა, ადგილობრივ ტორსიდაში ისედაც არ სარგებლობდა მაინცდამაინც დიდი პოპულარობით, მექსიკასთან მარცხის შემდეგ კი ბიელსას ხსენება ტორსიდის გაღიზიანებას იწვევს. უფერული ეკვადორის განადგურების შემდეგ სკეპტიკოსებს ცოტა ხნით გაჩუმება მოუხდათ, მაგრამ როგორც კი სერიოზულ მეტოქეზე მიდგა საქმე, არგენტინის ნაკრებმა თითქოს დეზორგანიზება განიცადა.

თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ფავორიტებმა თამაში ჩააგდეს. უფრო პირიქით. ბიელსას გუნდმა მთელი 90 წუთი მეტოქის კართან გაატარა. მეტოქე კი, თუ მეკარეს არ ჩავთვლით, დაცვითი ტიპის შვიდი ფეხბურთელით თამაშობდა. მატჩის დებიუტში არგენტინელებმა უაზრო გოლი გაუშვეს, შემდეგ კი ვერ მოახერხეს ამ დეფიციტის აღმოფხვრა. სულ ეს იყო, რის გამოც არგენტინელთა რისხვა მარსელო ბიელსას დაატყდა თავს. მატჩის გმირი გახდა მექსიკელი მორალესი, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. გოლის შემდეგ სადებიუტო ქაოსში რიკარდო ლავოლპის (სხვათა შორის, მექსიკელთა მწვრთნელი არგენტინაში დაიბადა) გუნდმა კინაღამ მეორე გოლიც აგემა არგენტინის ნაკრებს, მაგრამ ბორხეტის გადაცემის შემდეგ პარდომ ბურთს თავი ვერ დაუხვედრა.

მეორე ტაიმი არგენტინელთა აშკარა ზეწოლით დაიწყო, მაგრამ, თუ საჯარიმოებისა და კუთხურების აურაცხელ რაოდენობას არ ჩავთვლით, ამ აქციას არგენტინელთათვის დივიდენდი არ მოუტანია. შესანიშნავად ითამაშა მექსიკელთა მეკარე სანჩესმა, რომელმაც წარმოუდგენელი რეაქციით შეძლო გონსალესისა და აიალას დარტყმების მოგერიება.

მატჩის შემდეგ ბიელსამ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ყველაფერი იღონა. "იმის მიუხედავად, რომ მეტოქემ აშკარად დაცვითი ფეხბურთი ითამაშა, ჩვენ მოვახერხეთ და ექვსი-შვიდი სახიფათო მომენტი შევქმენით. მხოლოდ იმიტომ ვერ გავიმარჯვეთ, რომ ამ მომენტების რეალიზება ვერ შევძელით. ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ სირთულეს ვერ მოვერიეთ. ასეთი რამ ფეხბურთში ხდება". ამასობაში ჯგუფის ლიდერი გახდა ურუგვაის ნაკრები, რომელმაც ეკვადორი - 2:1 დაამარცხა.

ურუგვაელებს საკმაოდ გაუჭირდათ ჯგუფის აუტსაიდერის დამარცხება. ისინი თავგანწირვით უტევდნენ, მაგრამ ეკვადორი არანაკლებ თავგანწირვით იცავდა თავს. მატჩის დაწყებიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოახერხა დიეგო ფორლანმა ანგარიშის გახსნა. თუმცა, ხორხა ფოსატის გუნდისთვის ნამდვილი შოკი იყო ეკვადორელთა პასუხი. 12 წუთის შემდეგ სალასმა ანგარიში გაათანაბრა. ფავორიტები იხსნა ბუენომ, რომელმაც თავის ახალ მწვრთნელს ხუთ მატჩში პირველი გამარჯვება აჩუქა.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ B ჯგუფში 4-4 ქულით პირველ-მეორე ადგილებს მექსიკა და ურუგვაი ინაწილებენ. მეორე ადგილის ბედი ამ ჯგუფში არგენტინისა და ურუგვაის შეხვედრაში გადაწყდება. საგულისხმოა, რომ ურუგვაის ნაკრებს ფრეც ხელს აძლევს. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალის საგზურს ჯგუფის პირველი ორი გუნდი მოიპოვებს. მათ დაემატებათ მესამე ადგილზე გასული ორი საუკეთესო გუნდი.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 12 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ქარიმ აბდულ-ჯაბარი
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "SACRAMENTO KINGS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. ბრაზილია - კოსტა-რიკა
14:00 ამერიკის თასი. პარაგვაი - ჩილე
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
17:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "ლაციო" - "რეალი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ამერიკის თასი. ბრაზილია - კოსტა-რიკა
21:40 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 ამერიკის თასი. პარაგვაი - ჩილე
00:25 00:25-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT SHOCK" - "SACRAMENTO MONARCHS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილ რასელი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:15, 16:00, 18:45, პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:30 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
11:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვედეთში. ფინალი
12:45 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:50 ყველაზე ძლიერი ადამიანი. გრან-პრი. პირველი დღე
16:15 რბოლა გასაბერი ნავებით – "სანკტ პეტერბურგი 24 საათი". პირველი ნაწილი
17:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრე. არგენტინა - რუსეთი. გადამწყვეტი მატჩი
19:00 მძლეოსნობა. აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი. დღე მეორე
20:00 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:10 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
23:40 "სპორტის აკვატორია"
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:00 01:00-დან 02:25-მდე შესვენება
02:25 ამერიკის თასი. ვენესუელა - ბოლივია
04:40 ამერიკის თასი. პერუ - კოლუმბია. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
12:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
12:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
13:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ესპანეთში
14:45 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
16:30 კრივი
18:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
19:45 ბილიარდი. საერთაშორისო ასპარეზობა ჰოლანდიაში
21:15 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
21:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ოლ!!!
22:15 მულტისპორტი
22:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:45 ბილიარდი. საერთაშორისო შეჯიბრება ჰოლანდიაში
02:15 ახალი ამბები
02:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
02:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ოლ!!!
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# რეჰაგელი საბერძნეთში რჩება

### გერმანიის ნაკრები კი ისევ უმწვრთნელოდაა

აკა ტონია

გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია დაახლოებით ისეთივე სიტუაციაშია, როგორშიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იყო სულ ცოტა ხნის წინათ. ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ რუდი ფიოლერმა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი დატოვა, მისი შემცვლელის პოვნა კი ვერა და ვერ მოხერხდა. ოდესღაც მრისხანე გერმანიის ნაკრები უმწვრთნელოდაა დარჩენილი. გუნდის თავკაცობაზე უკვე უარი თქვეს ოტმარ ჰიცფელდმა, თომას შააფმა და არსენ ვენგერმა. უპირველესი კანდიდატი იყო "ბაიერნიდან" სულ ახლახან გათავისუფლებული ჰიცფელდი, რომელმაც ჯერ მოსაფიქრებელი დრო ითხოვა, შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებს ცივი უარი სტკიცა. თომას შააფი ბრემენის "ვერდერთან" ერთად წლეულს გერმანიის ჩემპიონი გახდა და ამ კლუბიდან წასვლას საერთოდ არ აპირებს. არსენ ვენგერმა კი გერმანელთა წინადადება არც კი განიხილა და დამცინავად უპასუხა, "გერმანელებს ფეხბურთის ნიჭი არა გაქვთო".



რეჰაგელი საბერძნეთის ერთგული რჩება.

მას შემდეგ, რაც ოტო რეჰაგელმა საბერძნეთის ნაკრებთან ერთად სასწაული მოახდინა და ევროპის ჩემპიონი გახდა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის სასურველ მწვრთნელთა სიაში, ცხადია, მისი გვარიც აღმოჩნდა. მშობლიური ნაკრების სათავეში ჩადგომის სურვილი რეჰაგელს ნამდვილად არ გამოუხატავს, თუმცა, არც უარი უთქვამს. ჰიცფელდის, შააფისა და ვენგერის კანდიდატურების გამორიცხვის შემდეგ რეჰაგელი გერმანელთა ერთადერთ იმედად იქცა. თუმცა, ახლა უკვე რეჰაგელმაც დააფიქსირა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება - ის უარზეა. ასე რომ, გერმანელები ისევ უმწვრთნელოდ დარჩნენ.

გასულ შაბათს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერსა და ოტო რეჰაგელს შორის გაიმართა სატელეფონო საუბარი. სწორედ ამ საუბრისას დააფიქსირა რეჰაგელმა თავისი უარყოფითი პასუხი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ფრანც ბეკენბაუერი ჩაუდგა სათავეში "ნაკრების მწვრთნელის მოძიების კომისიას" და სწორედ მის უშუალო კომპეტენციაში შედის გერმანიის ნაკრებისთვის დამრიგებლის "შოვნა".

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრესმდივანმა ჰარალდ შტენგერმა რეჰაგელის პოზიცია უკვე ოფიციალურად გაახმაურა და ბერძნეთა მწვრთნელის პოზიციაც გაგვანდო. მისი თქმით, რეჰაგელს მიაჩნია, რომ საბერძნეთში არაფრისგან შექმნა გუნდი და შემდეგ ევროპის ჩემპიონად აქცია. საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციასთან მისი კონტრაქტი 2006 წლამდე ძალაშია და რეჰაგელს მისი დარღვევა არ სურს.

მანამ, სანამ რეჰაგელი თავად გააკეთებდა განცხადებას, საბერძნეთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იანის ოიკონომიდისმა ათენის ყოველდღიურ გაზეთ "ესპრესოსთან" საუბარში გაამხილა, რომ გერმანელ მწვრთნელს საბერძნეთში დარჩენა სურდა. "ბატონ რეჰაგელს პარასკევს ვესაუბრე ტელეფონით. ის დამპირდა, რომ ჩვენს ნაკრებს გასაჭირში არ დატოვებდა", - განაცხადა ოიკონომიდისმა.

რეჰაგელის ამ გადაწყვეტილებამ საბერძნეთში დიდი სიხარული გამოიწვია. "რეჰაგელი თავის პირობას არ არღვევს. ჩვენ ამაში არასოდეს გვეპარებოდა ეჭვი", - გადასცა ბერძნულმა ტელეკომპანია "ანტენამ" შაბათ საღამოს. "ერასპორტმა" კი თავისი მაუწყებლობა შეწყვიტა, რათა ბერძენი გულშემატკივრისთვის ეს სასიხარულო ამბავი საგანგებოდ ეხარებინა: "რეჰაგელი რჩება. ახლა ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებზე შევძლებთ კონცენტრირებას. ეს ამბავი ლუდით უნდა აღვნიშნოთ!"

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა რეჰაგელიც დაკარგეს, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ახალი კანდიდატურები განიხილება. ესენი არიან უნგრეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ლოთარ მათეუსი და ჰოლანდიური "ეინდჰოვენის" თავკაცი გუუს ჰიდინკი. ჰიდინკის პოზიცია ჯერ უცნობია, მათეუსს კი გერმანიის ნაკრებში მუშაობის უდიდესი სურვილი აქვს. თუმცა, მათეუსმა ისიც აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციიდან მისთვის ჯერ არავის მიუმართავს.

"ის, რომ ახალგაზრდა მწვრთნელებსაც დიდი წარმატება აქვთ, ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელმა ფინალმაც დაამტკიცა. ამ ფინალში მონაწილეობდა არა არსენ ვენგერი, არამედ 35 წლის დიდიე დესამი და 41 წლის ჟოზე მაურინიო", - ამბობს 43 წლის მათეუსი.

მიუხედავად იმისა, რომ მათეუსი თანახმაა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას მაინც არ ჩქარობენ. ადგილობრივი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ "ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მოძიების კომისიას", რომელშიც ამ კომისიის ხელმძღვანელთან, ბეკენბაუერთან ერთად შედიან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერფორფელდერი, გენერალური მდივანი ჰორსტ შმიდტი და საფეხბურთო ლიგის შეფი ვერნერ ჰაკმანი, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ისინი მაინც შეძლებენ ჰიცფელდის დაყოლიებას. "ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მან გადაიფიქროს", - განაცხადა "ბაიერნის" რეგიონული ფედერაციის შეფმა ჰაინრიხ შმიდჰუბერმა.

გერმანელი ჩინოვნიკები იმისთვისაც მზად არიან, რომ ჰიცფელდი 3-4 თვე დაისვენონ და მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვონ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. "ვინ იცის, იქნებ ამ ხნის განმავლობაში მან კარგად დაისვენოს და თავის თავში გერმანიის ნაკრების მწვრთნელობისთვის საჭირო ენერგია აღმოაჩინოს", - ამბობს შმიდჰუბერი. მანამ, სანამ ჰიცფელდი მოიფიქრებს, გერმანელები დროებითი მწვრთნელის დანიშვნას გეგმავენ.

რეჰაგელი კი, როგორც უკვე გითხარით, საბერძნეთში რჩება. მის ერთგულებას ბერძნები ღირსეულად აფასებენ. "რეჰაგელს ბევრად გავუზრდით ხელფასს. ამ საკითხზე უკვე ვესაუბრე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს ვასილის გეგატსისს", - ამბობს ოიკონომიდისი. შეგახსენებთ, რომ რეჰაგელის ახლანდელი ხელფასი წელიწადში 600 ათასი ევროა.

ფორმულა 1

# "ფერარის" "მაკლარენი" გამოუჩნდა

გიგა გურასაშვილი

დასავლეთში ძალიან უყვართ სტატისტიკა. რას აღარ ითვლიან. მაგრამ რაღაც არ მახსოვს, დაეთვალოთ, თუ რომელი ქვეყნის მოსახლეობაა ყველაზე მეტად შეიარაღებული ქოლგებით. მართალია, ქოლგა ყველა ოჯახშია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ერთ სულ მოსახლეზე ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ინგლისელები უნდა გამოირჩეოდნენ (მიუხედავად იმისა, რომ ქოლგა ჩინელებმა აჩუქეს მსოფლიოს). ალბათ, იკითხავთ, რა შუაშია აქ ქოლგაო. საქმე ისაა, რომ ნისლიანი ალბიონზე ხშირად წვიმს, ხოლო სადაც წვიმს, ქოლგაც იქ ხდება საჭირო. რაში დამჭირდა ეს ყველაფერი? გუშინ გაიმართა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპი. მასპინძელი კი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ინგლისი გახლდათ. როგორ გგონიათ, "სამეფო რბოლებით" მოწამლულები "სილვერსტოუნს" ქოლგის გარეშე ეწვეოდნენ? მით უმეტეს, რომ შესაძლო წვიმის თაობაზე სინოპტიკოსები სამი დღის განმავლობაში საუბრობდნენ. გუშინ კი ეს ალბათობა 20 პროცენტამდე დაეცა.

საერთოდ, "ბრიტანეთის დიდ პრიზამდე" ბევრ რამეზე მარჩიელობდნენ. უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ მიხაელ შუმახერს "სილვერსტოუნზე" გაუჭირდებოდა. იმასაც ამბობდნენ, საკუთარ კედლებში წარმატებისთვის თავს არ დაზოგავს 2004 წლის აღმოჩენა, BAR-ის ახალი იმედი ჯენსონ ბატონიო. ზოგადად კი, "მაკლარენ-მერსედესის" ახალ ბოლიდს - MP4-19B-ს უწინასწარმეტყველებდნენ წარმატებას.



ეს ესაა შუმიმ პირველმა შემოუქროლა "სილვერსტოუნს".

ახლა იმაზე, თუ რატომ უნდა გასჭირვებოდა "შუმის" ბრიტანეთის მიწაზე. ამასთან დაკავშირებით RTL-ის რეპორტიორმა კარლ ებერმა ათი მიზეზიც კი დაასახელა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს "სილვერსტოუნზე" ფეხი უნდა დასცდენოდა. უმთავრეს მიზეზად კი ამ ტრასასთან დაკავშირებული არცთუ ტკბილი მოგონებები სახელდებოდა. საქმე ისაა, რომ გუშინდელი რბოლა ზუსტად დაემთხვა ხუთი წლის წინანდელ ავარიას. ხუთი წლის წინათ მიხაელმა მარჯვენა ფეხი მოიტეხა, როდესაც მისი "ფერარი" მწყობრიდან გამოსული მუხრუჭების გამო ტრასიდან გადაფრინდა.

ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა – გერმანელმა ისევ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და სეზონის მეათე გამარჯვება იზეიმა.

ბუნებრივია, შუმახერის გამარჯვებამ ბევრი გააწბილა. პირველ რიგში კი ინგლისელები, რომლებსაც თანამემამულის, ბატონის გამო იმედის ნაპერწკალი უღვიოდათ. მაგრამ გუშინ ბატონმა გულშემატკივართა იმედი ვერ გაამართლა, თუმცა, შეეძლო, მესამე ადგილისთვის გამოეკრა ხელი. სხვათა შორის, მსოფლიოს არც ერთ ჩემპიონატს არ ჩაუვლია "დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის" გარეშე. ასეთი პატივით მხოლოდ "იტალიის დიდი პრიზი" თუ დაიკვეხნის.

ტრასა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მე-11 ეტაპს უმასპინძლა, ძველი სამეფო აეროდრომის ადგილზეა აღმოცენებული, იმ აეროდრომის, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელი მფრინავები იყენებდნენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონმა შუმახერის თანაგუნდელთან, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოსთან ჯაჯგურში გაატარა მთელი ასპარეზობა. მათ შორის უკეთესი ფერარელი აღმოჩნდა (მესამე შედეგი).

ბატონთან დაკავშირებით ისიც უნდა ვთქვათ, რომ BAR-ს ინგლისელთან ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე განუზრახავს თანამშრომლობის გახანგრძლივება. ამბობენ, დიდ ჰონორარზეა საუბარიო – დაახლოებით 22 მილიონი ევრო! ახლანდელი ხელშეკრულება კი 2005 წლამდეა ძალაში.

რაც შეეხება კვარცხლბეკის მეორე საფეხურს, ის მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა დაიკავა. არადა, ვარაუდობდნენ, რომ რაიკონენი, რომელმაც შაბათის კვალიფიკაცია მოიგო, მიმდინარე ჩემპიონატში გარდატეხას შეიტანდა. უფრო სწორად, გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად "მაკლარენს" თვლიდნენ.

"მაკლარენ-მერსედესს" სამეფო რბოლების მეორე ნახევრის გამარჯვებათა უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევენ, რაც, პირველ ყოვლისა, ახალი ძრავის დამსახურებად მიაჩნიათ. მით უმეტეს, რომ ახალი ბოლიდის ძალა პირველ ასპარეზობაზე - კვალიფიკაციისას და შემდეგ უკვე გუშინ გამოჩნდა.

"ბრიტანეთის დიდ პრიზზე" ძირითადი ბრძოლა სწორედ შუმახერსა და რაიკონენს შორის წარიმართა. პირველ რიგში გამწესებული ფინელი ერთხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ სურათი მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც პილოტებს პიტ-სტოპებზე გასვლა მოუხდათ. თუმცა, შუმახერმა სათავეში ჩადგომა მაინც მოახერხა. გარდამტეხი შეიძლებოდა გამომდგარიყო 44-ე წრე, მაგრამ რაიკონენმა დაწინაურების შანსი ვერ გამოიყენა. რბოლის დამთავრებამდე 20 წრით ადრე "რენოს" იტალიელმა მრბოლმა იარნო ტრულიმ საჭეზე კონტროლი დაკარგა და 160 კმ. სთ. სიჩქარით მიმავალი კედელს შეასკდა, შემდეგ სამჯერ დატრიალდა და ბოლოს ერთხელ ამოტრიალდა კიდეც. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ტრული ჯანმრთელი და უვნებელი ამოვიდა ბოლიდიდან და თავისი ფეხით გაემართა დამცავი ჯებირისკენ. უხმეს პეის-ქარს (უსაფრთხოების მანქანა). ბარიკელოსა და რაიკონენს შანსი მიეცათ, ამ ვითარებით ესარგებლათ - პიტსტოპზე გასულიყვნენ, რათა შემდეგ შუმახერთან უპირატესობა მოეპოვებინათ. ერთი სიტყვით, ზედმეტად რომ არ ჩავუღრმავდეთ დეტალებს, განახლებული რბოლის შემდეგ ისევ შუმახერმა იმარჯვა. ჩასათვლელი ქულები კი ასე განაწილდა: მონტოია ("უილიამსი"), ფიზიკელა (ზაუბერი"), კულჰარდი ("მაკლარენი") და ვებერი ("იაგუარი").

# „საოჯახო ლოტო"-ს 10 ივნისის №66 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000506 | 2,0 |
| 000510 | 6,5 |
| 000514 | 2,5 |
| 000525 | 1,5 |
| 000526 | 1,0 |
| 000547 | 2,0 |
| 000549 | 6,0 |
| 000568 | 1,5 |
| 000586 | 2,0 |
| 000606 | 1,5 |
| 000616 | 1,0 |
| 000619 | 1,0 |
| 000622 | 1,0 |
| 000628 | 5,5 |
| 000633 | 1,5 |
| 000636 | 1,5 |
| 000662 | 2,0 |
| 000703 | 2,5 |
| 000715 | 1,0 |
| 000724 | 5,5 |
| 000735 | 1,0 |
| 000746 | 1,0 |
| 000781 | 1,5 |
| 000811 | 1,0 |
| 000829 | 2,0 |
| 000855 | 30,0 |
| 000863 | 1,5 |
| 000880 | 2,0 |
| 000908 | 1,0 |
| 000912 | 1,0 |
| 000964 | 1,5 |
| 000970 | 1,5 |
| 000985 | 1,0 |
| 000986 | 2,0 |
| 000988 | 1,5 |
| 001006 | 1,5 |
| 001028 | 1,0 |
| 001040 | 1,0 |
| 001083 | 1,0 |
| 001090 | 1,0 |
| 001094 | 2,0 |
| 001099 | 2,5 |
| 001124 | 1,5 |
| 001162 | 4,5 |
| 001175 | 3,0 |
| 001205 | 1,5 |
| 001229 | 2,5 |
| 001231 | 7,5 |
| 001239 | 1,0 |
| 001271 | 1,0 |
| 001276 | 3,5 |
| 001292 | 1,0 |
| 001301 | 1,5 |
| 001308 | 3,5 |
| 001340 | 6,5 |
| 001347 | 1,5 |
| 001369 | 2,0 |
| 001387 | 2,5 |
| 001398 | 1,5 |
| 001430 | 3,0 |
| 001439 | 4,0 |
| 001462 | 1,0 |
| 001466 | 3,5 |
| 001499 | 1,0 |
| 001501 | 1,5 |
| 001505 | 1,5 |
| 001507 | 1,0 |
| 001521 | 1,0 |
| 001523 | 1,5 |
| 001551 | 2,0 |
| 001559 | 1,0 |
| 001584 | 1,0 |
| 001599 | 6,0 |
| 001601 | 2,5 |
| 001602 | 2,0 |
| 001608 | 1,5 |
| 001616 | 1,5 |
| 001631 | 1,5 |
| 001636 | 2,0 |
| 001661 | 1,5 |
| 001664 | 4,0 |
| 001693 | 1,5 |
| 001699 | 1,5 |
| 001708 | 1,0 |
| 001746 | 2,0 |
| 001751 | 5,5 |
| 001758 | 2,0 |
| 001790 | 3,5 |
| 001794 | 1,0 |
| 001806 | 1,5 |
| 001807 | 1,0 |
| 001823 | 1,5 |
| 001827 | 1,0 |
| 001848 | 1,5 |
| 001884 | 1,5 |
| 001979 | 2,5 |
| 002043 | 2,5 |
| 002046 | 1,5 |
| 002050 | 1,0 |
| 002058 | 2,0 |
| 002064 | 1,0 |
| 002072 | 2,0 |
| 002095 | 1,0 |
| 002101 | 2,0 |
| 002107 | 5,0 |
| 002117 | 1,0 |
| 002137 | 1,5 |
| 002174 | 1,5 |
| 002180 | 1,5 |
| 002184 | 4,0 |
| 002193 | 6,5 |
| 002234 | 1,0 |
| 002237 | 1,5 |
| 002278 | 1,0 |
| 002287 | 1,5 |
| 002338 | 1,0 |
| 002392 | 1,5 |
| 002408 | 4,0 |
| 002431 | 1,5 |
| 002434 | 1,0 |
| 002447 | 2,0 |
| 002452 | 2,0 |
| 002481 | 2,0 |
| 002491 | 1,5 |
| 002496 | 2,5 |
| 002511 | 2,0 |
| 002522 | 1,5 |
| 002560 | 1,0 |
| 002565 | 1,0 |
| 002620 | 1,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 002625 | 1,0 |
| 002631 | 2,0 |
| 002650 | 2,0 |
| 002662 | 1,0 |
| 002673 | 1,0 |
| 002675 | 2,0 |
| 002677 | 1,0 |
| 002683 | 5,0 |
| 002718 | 1,5 |
| 002724 | 5,5 |
| 002727 | 4,5 |
| 002775 | 1,5 |
| 002813 | 1,0 |
| 002814 | 1,5 |
| 002839 | 1,5 |
| 002877 | 1,0 |
| 002887 | 35,0 |
| 002898 | 1,0 |
| 002922 | 1,5 |
| 002936 | 1,0 |
| 002937 | 1,5 |
| 002951 | 1,5 |
| 002966 | 2,0 |
| 002973 | 2,0 |
| 002982 | 2,5 |
| 003505 | 2,0 |
| 003540 | 1,5 |
| 003549 | 1,0 |
| 003551 | 3,0 |
| 003634 | 1,5 |
| 003638 | 1,5 |
| 003654 | 3,0 |
| 003692 | 1,5 |
| 003700 | 3,0 |
| 003725 | 3,5 |
| 003738 | 1,5 |
| 003765 | 5,0 |
| 003771 | 1,5 |
| 003787 | 1,5 |
| 003789 | 1,0 |
| 003805 | 1,0 |
| 003810 | 6,0 |
| 003822 | 3,5 |
| 003823 | 1,0 |
| 003844 | 1,5 |
| 003894 | 1,5 |
| 004418 | 2,5 |
| 004419 | 1,0 |
| 004422 | 2,0 |
| 004425 | 2,0 |
| 004447 | 2,0 |
| 004494 | 2,0 |
| 004508 | 4,0 |
| 004563 | 1,0 |
| 004567 | 1,0 |
| 004570 | 1,0 |
| 004574 | 1,0 |
| 004602 | 1,5 |
| 004603 | 2,0 |
| 004619 | 1,0 |
| 004627 | 2,0 |
| 004656 | 1,5 |
| 004664 | 12,5 |
| 004687 | 1,0 |
| 004750 | 2,0 |
| 004758 | 1,5 |
| 004764 | 1,5 |
| 004808 | 1,5 |
| 004829 | 15,0 |
| 004874 | 1,5 |
| 004897 | 6,5 |
| 004902 | 1,5 |
| 004918 | 1,0 |
| 004946 | 2,0 |
| 004960 | 5,0 |
| 004983 | 1,0 |
| 004989 | 1,0 |
| 005006 | 1,5 |
| 005038 | 2,0 |
| 005039 | 4,0 |
| 005041 | 1,5 |
| 005049 | 2,0 |
| 005086 | 4,0 |
| 005113 | 1,5 |
| 005130 | 1,5 |
| 005135 | 2,0 |
| 005142 | 1,0 |
| 005162 | 1,0 |
| 005174 | 6,5 |
| 005186 | 1,0 |
| 005197 | 12,5 |
| 005210 | 1,5 |
| 005211 | 4,5 |
| 005221 | 2,0 |
| 005222 | 1,5 |
| 005227 | 1,0 |
| 005245 | 1,0 |
| 005247 | 1,0 |
| 005281 | 1,0 |
| 005290 | 2,0 |
| 005292 | 7,0 |
| 005295 | 1,5 |
| 005306 | 5,5 |
| 005341 | 1,0 |
| 005383 | 3,0 |
| 005393 | 1,0 |
| 005436 | 1,5 |
| 005453 | 1,0 |
| 005463 | 5,0 |
| 005475 | 1,0 |
| 005489 | 1,0 |
| 005492 | 2,0 |
| 005501 | 1,0 |
| 005503 | 1,0 |
| 005506 | 2,0 |
| 005532 | 2,0 |
| 005588 | 2,5 |
| 005599 | 1,0 |
| 005612 | 7,0 |
| 005616 | 1,0 |
| 005624 | 6,5 |
| 005645 | 1,5 |
| 005673 | 1,5 |
| 005677 | 2,5 |
| 005678 | 7,0 |
| 005679 | 2,0 |
| 005696 | 1,5 |
| 005703 | 2,0 |
| 005706 | 1,0 |
| 005724 | 4,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 005753 | 1,5 |
| 005768 | 1,5 |
| 005812 | 1,0 |
| 005828 | 1,0 |
| 005829 | 1,0 |
| 005832 | 1,0 |
| 005857 | 1,5 |
| 005888 | 2,0 |
| 005908 | 2,0 |
| 005932 | 4,5 |
| 005934 | 3,0 |
| 005935 | 1,0 |
| 005943 | 1,0 |
| 005969 | 1,0 |
| 006000 | 1,0 |
| 006002 | 1,0 |
| 006014 | 1,0 |
| 006047 | 1,0 |
| 006058 | 2,5 |
| 006069 | 7,5 |
| 006082 | 1,0 |
| 006123 | 1,0 |
| 006131 | 1,0 |
| 006139 | 1,0 |
| 006188 | 2,0 |
| 006208 | 1,5 |
| 006211 | 1,5 |
| 006229 | 1,5 |
| 006252 | 3,5 |
| 006264 | 1,5 |
| 006310 | 4,0 |
| 006312 | 1,0 |
| 006316 | 1,5 |
| 006323 | 2,0 |
| 006331 | 1,5 |
| 006357 | 2,0 |
| 006364 | 3,0 |
| 006394 | 1,5 |
| 006403 | 2,0 |
| 006405 | 1,0 |
| 006445 | 4,0 |
| 006458 | 6,0 |
| 006483 | 35,0 |
| 006498 | 1,0 |
| 006524 | 1,5 |
| 006525 | 1,0 |
| 006534 | 1,0 |
| 006596 | 1,5 |
| 006612 | 2,0 |
| 006615 | 3,5 |
| 006638 | 1,0 |
| 006642 | 1,5 |
| 006652 | 1,0 |
| 006654 | 1,0 |
| 006663 | 4,0 |
| 006685 | 1,0 |
| 006704 | 2,5 |
| 006718 | 1,0 |
| 006728 | 4,5 |
| 006734 | 1,0 |
| 006743 | 1,0 |
| 006754 | 1,5 |
| 006778 | 1,0 |
| 006784 | 1,5 |
| 006789 | 1,5 |
| 006810 | 1,0 |
| 006822 | 1,0 |
| 006823 | 1,0 |
| 006839 | 1,5 |
| 006842 | 3,5 |
| 006846 | 1,5 |
| 006859 | 1,0 |
| 006922 | 1,5 |
| 006924 | 2,0 |
| 006927 | 1,5 |
| 006928 | 1,5 |
| 006935 | 1,0 |
| 006946 | 1,5 |
| 006968 | 4,5 |
| 006982 | 1,0 |
| 006983 | 1,5 |
| 007004 | 5,0 |
| 007011 | 2,0 |
| 007016 | 1,0 |
| 007019 | 1,0 |
| 007033 | 2,0 |
| 007045 | 1,0 |
| 007076 | 1,5 |
| 007078 | 2,0 |
| 007080 | 1,0 |
| 007125 | 1,0 |
| 007404 | 1,5 |
| 007423 | 2,0 |
| 007433 | 1,5 |
| 007444 | 4,5 |
| 007462 | 3,5 |
| 007466 | 1,0 |
| 007476 | 1,0 |
| 007477 | 1,5 |
| 007481 | 1,0 |
| 007492 | 1,0 |
| 007493 | 1,0 |
| 008339 | 1,0 |
| 008366 | 1,5 |
| 008370 | 1,5 |
| 008381 | 1,0 |
| 008403 | 4,0 |
| 008405 | 2,0 |
| 008418 | 1,0 |
| 008425 | 2,5 |
| 008436 | 1,5 |
| 008438 | 1,0 |
| 008449 | 1,5 |
| 008454 | 2,5 |
| 008487 | 4,5 |
| 008498 | 1,5 |
| 008514 | 3,5 |
| 008540 | 2,0 |
| 008542 | 1,0 |
| 008548 | 1,0 |
| 008568 | 1,0 |
| 008602 | 2,5 |
| 008612 | 1,5 |
| 008627 | 1,0 |
| 008630 | 1,0 |
| 008634 | 1,0 |
| 008639 | 1,0 |
| 008641 | 1,5 |
| 008642 | 2,5 |
| 008649 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 008667 | 1,0 |
| 008676 | 1,0 |
| 008696 | 1,0 |
| 008724 | 2,0 |
| 008742 | 1,0 |
| 008810 | 1,0 |
| 008883 | 1,0 |
| 008945 | 2,0 |
| 008955 | 35,0 |
| 008971 | 1,0 |
| 009026 | 1,0 |
| 009029 | 3,0 |
| 009058 | 1,0 |
| 009071 | 1,0 |
| 009110 | 5,0 |
| 009121 | 1,0 |
| 009145 | 1,5 |
| 009150 | 1,0 |
| 009151 | 15,0 |
| 009162 | 1,5 |
| 009173 | 2,0 |
| 009174 | 5,0 |
| 009184 | 3,0 |
| 009202 | 2,0 |
| 009215 | 1,0 |
| 009227 | 1,5 |
| 009265 | 7,0 |
| 009273 | 2,5 |
| 009302 | 1,0 |
| 009309 | 1,5 |
| 009311 | 3,5 |
| 009342 | 1,5 |
| 009346 | 1,0 |
| 009350 | 1,0 |
| 009364 | 1,5 |
| 009367 | 6,5 |
| 009372 | 1,0 |
| 009399 | 1,5 |
| 009542 | 2,5 |
| 009545 | 1,0 |
| 009722 | 2,0 |
| 009767 | 4,5 |
| 009768 | 1,0 |
| 009773 | 3,5 |
| 009775 | 1,0 |
| 009781 | 1,0 |
| 009814 | 2,0 |
| 009846 | 1,0 |
| 009858 | 1,0 |
| 009871 | 1,0 |
| 009897 | 1,5 |
| 009899 | 1,0 |
| 009918 | 1,0 |
| 009921 | 2,0 |
| 009929 | 6,0 |
| 009943 | 5,5 |
| 009953 | 1,0 |
| 009957 | 2,0 |
| 009967 | 1,0 |
| 010000 | 1,5 |
| 010001 | 5,5 |
| 010029 | 4,5 |
| 010037 | 1,5 |
| 010041 | 2,5 |
| 010058 | 1,0 |
| 010071 | 2,0 |
| 010086 | 1,0 |
| 010096 | 1,5 |
| 010108 | 1,5 |
| 010151 | 1,0 |
| 010161 | 2,0 |
| 010167 | 1,0 |
| 010179 | 1,5 |
| 010186 | 1,0 |
| 010188 | 2,0 |
| 010215 | 1,5 |
| 010217 | 2,0 |
| 010225 | 4,0 |
| 010240 | 1,0 |
| 010247 | 7,0 |
| 010253 | 2,0 |
| 010270 | 2,0 |
| 010308 | 1,5 |
| 010311 | 3,0 |
| 010318 | 1,0 |
| 010350 | 2,0 |
| 010357 | 2,0 |
| 010363 | 4,0 |
| 010404 | 1,0 |
| 010417 | 1,0 |
| 010420 | 3,0 |
| 010468 | 1,5 |
| 010486 | 12,5 |
| 010489 | 1,5 |
| 010498 | 1,5 |
| 010500 | 1,5 |
| 010535 | 4,5 |
| 010541 | 1,5 |
| 010550 | 1,0 |
| 010578 | 1,5 |
| 010593 | 1,0 |
| 010617 | 1,0 |
| 010632 | 1,0 |
| 010660 | 1,5 |
| 010673 | 1,0 |
| 010722 | 6,0 |
| 010784 | 1,5 |
| 010792 | 1,0 |
| 010801 | 1,5 |
| 010810 | 1,5 |
| 010822 | 5,0 |
| 010829 | 1,0 |
| 010835 | 1,5 |
| 010836 | 1,0 |
| 010842 | 1,5 |
| 010847 | 2,0 |
